„-დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე



# ლიტერატურული მესხეთი

№11 (215)
ნოემბერი
2016 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეთვრამეტე წელი
"-LITRTURULI SKHTI"
"-ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"



## შოთა რუსთაველი-850

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.“



„რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს:
მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს;
კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,
არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სხვათა უწუნობდეს.“



„მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი;
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი,
ნურვინ გაჰრევთ ერთმანეთსა, გესმას ჩემი ნაუბარი!“

„მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა, რგულია;
უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია;
სმა-ჭამა – დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?!
რასაცა გასცემ, შენია; რაც არა, დაკარგულია!“



„რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მხმეჭელსა,
შედრეკილ-შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა!
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!“

შოთა რუსთაველი



### განცხადება

შოთა რუსთაველის 850 წლის საიუბილეოდ გამოცხადებული ლიტერატურული კონკურსისათვის ნომინაციაში — „რუსთველოლოგია“ — სამეცნიერო ნაშრომის (მონოგრაფია) წარმოდგენის ბოლო ვადაა ამა წლის 30 ნოემბერი.

შევახსენებთ კონკურსში მონაწილე ყველა დაინტერესებულ პირს, საკონკურსო მასალა წარმოადგინოს როგორც ნაბეჭდი ფორმით, ასევე დისკზე ჩაწერილი ელექტრონული ვერსიით (საკონკურსო ნაშრომის მოცულობა შეუზღუდავია).

*გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია*

## რეზო ადამია

# მ ზ ე

## (პატარა წიგნი დიდ მოვლენაზე)

(გაგრძელება.
დასაწყისი იხ. N9,10)

მრავალფეროვანი სახეები, ხასიათები, ნიჭიერნი და საშუალონი, ასევე კაცთა სიმდაბლეების უსასრულობაა ჩვენს პლანეტაზე, ცაზე განფენილი ვარსკვლავებისა არ იყოს; მარადიული კანონია, მომაკვდავნი უფრო ღამე მიემგზავრებიან იმ ქვეყნად, აქაც კოსმოსური იდუმალება დევს ღრმად საკვლევი...

მხატვრობის გარდა, უცნაურობად მიმაჩნია ჩემი პროზაული ცხოვრება: აზრები, წარმოსახვები და მუზების შორეთიდან მოსვლა როგორც კი გამთენიისას დამეწყება, მაშინვე შემეყრება ტანთ ტკივილები, თავის ქალადან დაწყებული. ყოველივე ეს თითქმის ახლოა ამოუხსნელ ტანჯვასთან, რომელიც გარკვეულ კვალს ტოვებს აუცილებელ აზრთა დაბადებით (სრულიად განსხვავებულს), თითქოსდა ეს ფაბულა მხოლოდ გონებიდან არ იბადებაო, არამედ მთლიანად სხეულიდან ორგანიზმის ყოველი ნერვი და სისხლძარღვები მონაწილეობენ. ეს ყველაფერი უცნაურია; ამიტომ, თუ რამე შემიგრძნია ინტუიციისა და წარმოსახვების მეოხებით, ზემოთ აღწერილ ჭეშმარიტებას უახლოვდება...

ქვეყნიერების დიდი ნათების უსაზღვრო ძალამ კუნაპეტი ბნელი, ღრმა მიმზიდველ სილურჯედ რომ აქცია, ვარსკვლავეთის დღესასწაული იყო უსაზღვრო და ცათა სივრცეში თეთრი კეთილი ანგელოზები კვლავ მომრავლდნენ.

ამჟამად მინდა გაახლოთ წრფელი მოგონება: „აღდგომის დილაა მოწმენდილი უღრუბლო ცით. მშვიდი ამინდი და მზე თავისებური ციმციმით ამოვიდა, ცხრა თუ ათი წლის ბავშვი ვდგავარ ამ ზეციური საოცრების წინაშე. კარგად მახსოვს, სრულიად განსხვავებული მზის ამოსვლა იყო, უმშვენიერესი დღესასწაული გახლდათ ნათლით მოსილი. ამ სულითვე ზედმიწევნით მიხაროდა რომ დღეს ღვთიური ზეიმი იყო, ბრწყინვალე აღდგომა უფლისა; დედაჩემისგან წითლად შეღებილი უამრავი, საფლავებზე მისაბრძანებელი კვერცხი, ცოცხალივით ელაგა გობზე. ჩემს ცხოვრებაში უფრო გამორჩეული სიამოვნება და კეთილწმინდანური ამაღლება მის მერე არ მიმიღია, ორმა დიდმა ზეძალამ მაგრძნობინა ყოველივე განმწმენდავი ღვთივდიადური“...

ისევ დუმდა მიუწვდომლად ყველგანმყოფი უფალი...

ამ მოთხრობის იდეური სახე და მხატვრული აზრთ საუბარი სრული ჭეშმარიტებაა, ადამიანთა ათასწლეულ რელიგიურ, ნაწილობრივ ფანატიზმს რომ უპირისპირდება სამყაროს ვარსკვლავეთის უმკაცრესი რეალური მოვლენებით. მაგრამ გონებაღვთიურ ჭეშმარიტ რელიგიათა გარეშე ხომ გამორიცხულია ცხოვრება, რომელიც ეჭვგარეშე მოედინება კოსმოსისა და უფლის უცილო სწავლის იდუმალებიდან...

მზის ახლად შობით გაიხარეს იესო ქრისტემ, ბუდამ, ისლამმა, იუდამ, ასევე წარმართებმა, მზისთაყვანისმცემლებმა, იეღოველებმა, ათეისტებმა და სხვადასხვა სექტების წარმომადგენლებმა... ეკლესიების ზარების ხალისიანი რეკვა და იმედით სავსე გუგუნითი შეძახილები გაისმა და საყოველთაო დაღუპვისგან გადარჩენილთა სრული ხსნა ეუწყა ქვეყანას. იზეიმეს აურაცხელმა ვარსკვლავებმა, მთვარემ, მზემ თავად დიდებულმა, და უჩვეულო კოსმოსური ბრწყინვალება იწყეს. თითქოს მთები გადაბრუნდნენ და ქვედა მიწიერი მუქი ლურჯი, სევდაჩამდგარი, უფრო ღამისფერი თვალებიდან ცას ახედეს ღრმად მზიურს. ზეციურმა სინათლემ უძირო ბნელი გააშუქა და ურვა-ბოროტება შენელდა, სიძულვილის და უკეთურობის სულგაძარცული და ტანჯვისმომგვრელი ეშმაკი გაურკვევლობაში დაბანაკდა. პირველყოფილ რელიგიათა ვერც ერთი ღმერთი ვერ გაუმკლავდა და მომავალშიც ვერ დაძლევს იმ საშინელ და უდიდეს ზნე-თვისებებს, რომლებიც ვარსკვლავეთით იმართება და მყარად დევს ადამიანის სხეულში. ისევ ვიტყვი: — უარყოფითი აურის ნაწილობრივ შენელება შეიძლება და არა ამოძირკვა... ახლად აფეთქებული სიცოცხლის მზიური ფერთ ზეიმი გაჩაღდა ყველგან: ფერმწერლებმა პალიტრა, ტილო და ფუნჯები მოიმარჯვეს; კომპოზიტორები როიალებს და ნოტებს მიუსხდნენ, მგოსნებმა ლექსთ შეთხზვა იწყეს და ახალი ბრძნული რითმები ფეხშიშველად აედევნა მზის მოძრავ სხივებს. აკვნის ჩვილებმა ანგელოზთა ხმით წაილუღლუნეს და ღიმილით სათამაშოებს წაეპოტინნენ. გაისმა მილიონობით ადამიანის ლოცვა-კურთხევა: შენ, უფალო, ყოვლის გამგებელო და მზეო! ნათელსულო წყაროვ სიცოცხლისა და სიკეთისა!!!... მრავალმა ბრძენმა სოფლის მუშაკმა სიკეთის თოხები ალესეს და მზესთან ერთად ოფლჩაღვრილი ყანისკენ გაეშურნენ. ამუშავდა ფაბრიკა-ქარხნები და ელექტროსადგურები.

ახალდაქორწინებულები კი სარეცელს მიუბრუნდნენ და დილის სულიერი უწყვეტი ბიბლიური სიმფონია ჯანსაღი სხეულით გაიზიარეს და ისევ შეერთდნენ მიწიერ-ზეციური კანონებით... სიცოცხლე მარადიული არ შემწყდარა — გაგრძელდა, ახალი აღთქმა — მზის სხივთ შემკულ-ნაწერი ოთხი სახარება ზეიმობდა...

უსახო სიკვდილი სიახლოვეს არ ჩანდა. საოცრება მზის კოსმოსური ზეამტაცი კეთილჟღერადი ხმაღა ისმოდა სხივთ ორკესტრით. სადღაც შავ წერტილებში საშინელების მომტანი ომი კვლავ განახლდა და თოფის სიკვდილმომდინარე ხმაც გაისმა. ადამიანთა გამანადგურებელ კვლას უხმობდნენ გონ-სახეშეშლილნი და კაცთა უბედურების გველის და მორიელის შხამისფერ აზრობრივ სულიერ დინებას თავადვე გზავნიდნენ. მზე მათაც ანათებდა, უზომოდ კეთილი, დედამიწაზე მკვეთრი მოზაიკური ცხოვრების უსასრულობის მფარველი. კვლავინდებურად გაიღვიძა ღვთიურმა შემოქმედებამ, ფანტაზია, მუზა და წარმოსახვები რჩეულ ნიჭიერთ ეგზავნებოდათ. მთვლემარე შური, ბოღმა, ღალატი, სიძულვილი, სიყვარული და სიკეთე, ისევ დაიარებოდა ფეხადგმული. არაკაცებმა იწყეს წართმევა-წაგლეჯვა, ფიქრი კაცის კვლაზე და ბოროტება ისევ აფართხალდა, ავის მომასწავებელი სიზმრები აღსდგა და დაეუფლა ღამეულ მშვიდ საფარველს, მკაცრად გაიღვიძა სისასტიკემ და შუღლმა.

ერთი მხრივ სამართლიანნი ვიქნებით, თუ თამამად ვაღიარებთ, რომ საშინელებაა ეს რეალური ამქვეყნიური ცხოვრება, ცოცხალმა თუ გინდა იარსებო, უნდა მოკლა, მოსპო, აითვისო, რათა მიიღო ხორციელი საზრდო და იარსებო, თუ არადა თვითონ ეწირები შენეულ გამოგონილს. უსაშველო კოსმოსური მისჯაა, ცოცხალი არსებანი ერთმანეთით რომ იკვებებიან, პლანეტების ურთიერთმოქმედებათა ზნეობიდან ხომ არ გადმოდის ამდაგვარი თვისება? წარმოიდგინეთ, ათასწლეულებში რელიგიათა ეტაპობრივი მოსვლა-გაქრობა და ურთიერთდამოკიდებულების სახე-მსგავსებაც მათთანაა... ჩვენს ირგვლივ არსებულ რომელიმე ულამაზეს სულდგმულს, დავუშვათ ცხოველს, ფრინველს ან ზღაპრული სილამაზის მქონე კოლხურ, ზღვის სურნელით გამთბარ ხოხობს თუ მოვკლავთ, მხეცურად განვძარცვავთ შეუდარებელი მშვენიერებისგან, მერმე ჩავაღწევთ ხორცამდის, დავძიძგნით და ცხოველურ შიმშილს დავიკმაყოფილებთ... თევზს, კოსმოსურად ტანხატულ, მრავალფერად დაწინწკლულ კალმახს, უნდა მოუსწრაფო ცხოვრება თავად განვითარებულმა, გონიერმა ცხოველმა, როგორმე რომ ისულდგმულო და იარსებო. წარმოიდგინეთ, ამ სახის ცხოვრებისეული მოქმედება ყოველმხრივ შეუცვლელია და ბუნებრივი, აუცილებელი პროცესია, მაგრამ სასტიკი. აქედან გამომდინარე, თვალ-გონდახუჭული უგულო ბოროტება მარადიულია და მომავლის სასიცოცხლოდ აუცილებელი, სამყაროს უკიდეგანო ჩრდილოვანი მძაფრი სტიქიის წეს-კანონია გაუსწორებელი. ღვთიური შეგონების და ღრმა რწმენის ადამიანებიც მას ვერა და ვერ გაექცევიან და ვერ ამოძირკვავენ, რადგან თვით უზარმაზარი რელიგიები ვერაფერს შველიან ან ვერც უარყოფენ. აქ უცილოდ მორჩილი და ძალდაყოლილი ხარ, როგორც ყოველგვარ კანონებს ამცდარ სიკვდილთან როგორც ღამეს ვერ შეცვლის ზეძალა, ასევეა ზემოთ ცხოვრების შავ ტილოზე მოხატული დრამატულ-ტრაგიკული გარდუვალობაც. თუმცა ეს სამყაროს მეორე უცნაური მხარის, სამუდამო კანონია და აქ აზრი ვერ კვეთავს... დასკვნა: ამ ფორმის ბოროტება რომ შეწყდეს დედამიწაზე, სიცოცხლე მასიურად მოისპობა, მაშინ ყოველივე ზემოთ ხსენებული მოქმედებანი უმძიმეს დაკანონებულ-კანონგამიზნულია პლანეტარიუმის შორეულ უმძიმეს ზნეობასთან შეფარდებით და სიცოცხლემ სხვისი სიცოცხლის ფასად უნდა იარსებოს, ერთი თუ მრავალმხრივ ჩვენს მიმართ აზრთმიუწვდომელი და გამაოგნებელი მისჯაა უმკაცრესი და სამყაროსეული ამ წესკანონის წინაშე ყველა ადამიანი და ცოცხალი არსებაც საცოდავია...

„უნდა ჭამო, რომ იცხოვრო და არა იცხოვრო, რომ ჭამო“ — სოკრატე.

სოფელში გახლავართ. ადრიანი დილაა. უკვე გაეღვიძა ჩემს მეუღლესაც ნანის, (ბავშვებს — მედეას და მაიას — სძინავთ). და ვეკითხები: - დღეს რა ვჭამოთ სადილზე? — ხო! ჭრელა დედალს დავკლავ კვერცხმდებს. — არ გეცოდება, ადამიანო? — ვეუბნები. — აბა როგორ ვიარსებოთ? — აი და ჩვენი დაბადება, სიცოცხლე და აუცილებლობა დღიდან გაჩენისა. უცნაური ზეკოსმოსური, ზექვეყნიური, ზეღვთიური და ზეადამიანური არსიც, რომელიც იმუხტება სხვადასხვა ფერხასიათის და გაურკვეველი ზნეობის ვარსკვლავებიდან, აგრეთვე ისიც გამოსაკვლევია, თუ რა განუზომელი ელემენტთა ტევადობა გვეგზავნება მზის იდუმალებით სავსე სხივების მეოხებითაც... რომელიც გამუდმებით იწვის და უთვალავი, რაღაც სხვა უზარმაზარი დინამიკის და სიმხურვალის აფეთქებებია მზეზე. უსასრულო ფუნქციების ენერგიაა სამყაროში და აურაცხელი პლანეტებიც. მათი აალებულმბორგავი ალიაქოთია სივრცეში. ზოგზე კი, პირიქით, დიდი გამყინვარებაა. მრავალთვისებიანი გაზაფეთქებული წვათა გალაქტიკების სიშორე კი მათგან აღუწერელი სანახაობისაა. უკუნეთისმიერი და დაუსრულებელი სივრცის კოსმოსური უმძიმესი ჯოჯოხეთს მიმსგავსებული ტრაგედია ხომ არაა ციურ სხეულთა უწყვეტი ცეცხლმოდებულთა არსებობა და უმძიმესი გამყინვარება?.. ადამიანის და ყოველი ცოცხალი არსების მრავალმხრივ ბოროტად ამტეხი თუ ბრძნული დამწყნარებელი ელემენტებითაა ყველაფერი დამუხტული.

ყოველივეს, ცუდის და კარგის, გამჟღავნების მეთოდით გადავხედოთ კაცთა მოდგმის ისტორიის ერთ-ერთ უმძი-



მეს - ჩაჟამებულ მონაკვეთს, რომელიც ზემოთ ასახულ პლანეტათა მოცარტისეულ მუქ რეკვიემს აგვიღწერს. დაახლოებით მეთოთხმეტე საუკუნეა. შუა აზიიდან აიყარა თურქმენული მოდგმის ხალხი, მშიერ-მწყურვალნი, და შეესივნენ სამხრეთის მრავალ ცივილიზაციაგამოვლილ ულამაზესსა და უძველეს რასებს. დაიპყრეს ბიზანტია, კაბადოკია თავისი ქრისტიანული ლაზეთით, გაანადგურეს ანტიკური ხელოვნების უნიკალური ნიმუშები, დაასახიჩრეს კაცობრიობის ერთ-ერთი საოცრებათაგანი აკროპოლი და ქანდაკება „ვენერა მილოსელის“ ქმნილება ზღვაში ჩაძირეს, რომლის ბადალი შედევრი დედამიწაზე ჯერ არ შექმნილა. კაჭკაჭებივით დაეპატრონენ ირგვლივ მოვლილ მამულ-ბუდეებს, გააუქმეს ლეგენდარული კონსტანტინეპოლი, ქრისტიანული მართლმადიდებლობის ცენტრი და დაარქვეს ისტამბული. არ იკმარეს ყოველივე და შეესივნენ ევროპას, ალალმართალი ხალხის ხოცვით და დაპყრობებით ბულგარეთამდე გავიდნენ... ალაჰი მოუძლოდა მათ? თუ სხვა სალოცავები, უფალი! — მაშინ ისინი მრავალნიშნად რატომ დუმდნენ? არა მგონია! უთუოდ რომელიღაც უძლეველი გალაქტიკის თუ ბოროტი ვარსკვლავის მოუთოკავი ენერგია იყო მათში დაგუბებული. შემდეგ სასტიკად აკოსმოსებულებმა დაიპყრეს საქართველო, სომხეთი და ჩვენთვის მხოლოდ მომავლის იმედი — დუმდა ხანგრძლივად... (ამ შემთხვევაში წარსულის ჯვარცმაზე თავს ვიკავებ, რადგანაც კაცობრიობის ყველაზე უმძიმესი ბოროტებათაგანია...) უფრო უარესი ბოროტება მოხდა ამერიკის კონტინენტზე — დამპყრობი ევროპელები ჩაუვიდნენ მტერსტუმრებად. ამოწყვიტეს აბორიგენი ანუ ადგილობრივი რასა, პირღიად დატოვეს მათი სავარაუდოდ კოსმოსურ-ლეგენდარული მზიური ცივილიზაცია და საცოდავ ღია ცისქვეშეთის ექსპონატებად აქციეს. მოსპეს ყველაფერი და ამაყად დააარსეს თავიანთი ახალი სახელმწიფო. აი, უხილავი კანონი შორეულიდან გადმოსროლილი ვარსკვლავეთის სხივბოროტებისა; თუ... არსებობს კიდევ რაღაც უმძიმესი ზეძალა?! — შევახსენოთ ერთმანეთს.

მშიერმა მამალმა ლომმა მოინადირა ულამაზესი ტანხატულა, გიშრისთვალება, მუქი ჩალისფერი შველი. მხეცური დაუოკებელი ჟინით დაბრდღვნა, დაგლიჯა და გაავებული თვალცეცხლოვანი ხვრეპდა მის უმანკო სისხლს. როცა შიგნეულს მიადგა, ბალახის ღერო გაეჩხირა ალმოდებულ ხახაში, არ ესიამოვნა მხეცს და სისხლიანად გადმონერწყვა. თურმე ერთი საათის წინ ამ უმშვენიერეს არსებას ახლად ამოჯეჯილებული ხასხასა მწვანე ბალახი, რომელიც მცენარეული სიცოცხლის წყურვილით მზის სხივებს ეალერსებოდა, მშიერ ცხოველს გულმოდგინედ მოუძოვია მიწის პირამდე და ალმასისფერი ცრემლიანი მდელოთი გამძღარა. საღამოს გადიდგულებული და ძალაშემატებული ლომი გორასავით უზარმაზარ სპილოს შესჭიდებია, გაბრაზებულ სპილოს მფრინავი მეტეორივით ერთი შეუკივლია და უმოწყალოდ გაუსრესია ეს აღზევებული ბოროტი. აქაა, ხომ, განვრცობილი და უწყვეტი ჯაჭვი მარადიული ცოცხალთ ავსულობისა? არსებულიდან გამომდინარე, დაახლოებითი დასკვნის გამოტანაც შეიძლება — ყოველი ცოცხალი არსება ჭარბხასიათიანი ბოროტებითაა გაჟღენთილი, მაგრამ ხშირად სიკეთის სხივებიც გამოინათებს მათგან: უთუოდ სიკვდილის არსებობა ამძაფრებს ყოველივეს.

„რა არის ადამიანი? ღმერთის ტრაგედია“ (მორგენშტერნი).

ამ სახის ყოფილა თურმე კოსმოსური, ძირფესვიანად ამოუხსნელი დისციპლინა და არავითარი მხოლოდ ჯუნგლების კანონი. თავადვე მიწიერი ბუნება მსხვერპლია სამყაროს ანუ პლანეტარიუმის სასტიკი ზოგიერთი ზემაგნიტოვანი სხივთ ენერგიის და ლაზერული ჰიპნოზმტყორცნელი ვარსკვლავძალმომრეობისა.

გადავხედოთ ადამიანის კიდევ ერთ-ერთ უცნაურ,





მაგრამ გასაგებ, ბუნებით თანდაყოლილ თვისებას. ყოველი ცალკეული პიროვნება გაუცნობიერებლად ცდილობს, აჯობოს სხვა მოპირდაპირეს: მეგობარი იქნება, ახლობელი, ნათესავი თუ უცნობი (უფალი იესო დიდ-კეთილი არასოდეს მიისწრაფოდა და მიილტვის სხვათა დაჯაბნისაკენ, რათა ჭეშმარიტების და მაღალი ზნეობრიობის გამრიგეა...). მხოლოდ ასეთია ღვთიური ეთიკა, იტყვიან, პრიმიტიული გაგებით ურთიერთშეჯიბრია ცხოვრება და ამ შემთხვევაში თავს იჩენს, ვინ — ვის. მჯობნნი სპორტსმენები ამარცხებენ მოწინააღმდეგეს, ეს უკვე განეიტრალებაა ანუ გაუქმებაა სახიერებიდან პიროვნებისა. აქტიური დიპლომატი და დიქტატორი პოლიტიკოსი კი თიშავს მოპირისპირეს, გაიმარჯვებს და არავინ იცის, როგორი გონებით და ზნეობით უხელმძღვანელებს ხალხს. ამდაგვარი ფსიქოლოგიურ-ფიზიკური თავდასხმები უხეშად თუ ევოლუციურად — ჩუმ-ჩუმად მრავალი სპეციალობის ადამიანებში, მუქ ლაქად ჩაკირული თანდაყოლილი ტრადიციაა... ხოლო ნაღდი, სულიერად ამაღლებული და მოწოდებით დიდი ხელოვანი, არასოდეს არავის ამარცხებს და ამოაგდებს თავისი ღვთიური ფუნქციებიდან. პირიქით, ის ძლიერი, სულიერად და გონებრივად აამაღლებს თავის მოწინააღმდეგესაც. ხოლო მოშურნეს, თუ ის ოდნავ მაინც მოაზროვნეა და წინგახედული, უთუოდ მასაც კეთილად კვებავს თავისი მაღალი შემოქმედებით — ნიჭით. ამ დროს პიროვნება გამარჯვებული კი არა, უფრო წმინდანურად წარმატებულია და ამაღლებული ანგელოზთსულიერებითი ზნეობით. ნაღდი ხელოვანი ღვთისმიერია და უფლის მრავალი თვისებითაა დაჯილდოებული, რადგანაც ღმერთი უდიდესი შემოქმედია, უზენაესი თავის რჩეულს უნაკლოდ მართავს, ზე-წარმოსახვებით — ფანტაზიით და გენიით. სამწუხაროდ, თითზე ჩამოსათვლელია ასეთები და აქაც ფარული სიღარიბე ტრაგედიაა პლანეტისა... ხოლო მიწიერი ქმედება ნებისმიერი ადამიანისა თუ ზნეობრივი მისწრაფებაა უფლისაკენ, უთუოდ ბედნიერია თავისი გარემო არსებით. როდესაც პიროვნება ცდილობს და ემსგავსება ღმერთს, დროთა ჟამში მოსალოდნელია წმინდანამდე ამაღლდეს, რაც ზეციური დასის შევსებაა. ხოლო, როგორც მოგახსენეთ, მათგან უკიდურესად განსხვავებული უაღრესად ნაყოფიერი ანუ გენიალური შემოქმედი განუწყვეტლივ ღვთიური მადლით ივსება, იმართება და სამყაროს სივრცის მარადიულ — ხატულ სახედ ინახება...

უსასრულო სიკეთე და ბოროტება საპირისპირო განუყრელობაა. უზენაესისგან რჩეული ადამიანი თავისი ნიჭიერ-ბრძნული გონებით და მაღალი გენიით ღმერთს უახლოვდება, მაგრამ მაინც ვერ მიეწევა მიუწვდომელ მარადიულს. ამ შემთხვევაში გულწრფელად ვამბობ, რადგანაც ყოველივე სამყაროს რეალური მოვლენებია...

ეშმაკი, უზნეო და ქვეყნიერების კანონგარეშე სატანაა. დედამიწის და საერთოდ პლანეტარიუმის სივრცეში მოხეტიალე ყველაფრისა და ყოველივეს გამშავებელ-დამნახშირებელ-ფერფლად მქცეველი. თავისთავადი რაღაც ბნელეთის წარმომადგენლობა კი არაა მხოლოდ! ის ერთ-ერთი შხამმომწამვლელი უბოროტესი, ნივთიერებათა და სხივთა გაზ-შემადგენელი, უზარმაზარი ვარსკვლავიდან დედამიწაზე მარად მომდინარე უფერული მყრალი სხივია... სანამ „ეშმაკეთის“ ვარსკვლავი იარსებებს რომელიღაც გალაქტიკაში, მისგან ეშმაკ-უხილავ სხივთ სვლა სამუდამოა. ხოლო მეცნიერ-ასტრონომების მტკიცებით, ადამის მოდგმა ვერასოდეს ჩააღწევს თუ მიაღწევს იმ ყველასაგან განსხვავებულ უცნაურ-ფერად-შემადგენელ ვარსკვლავამდე. თუნდაც მიაღწიო, ადამიანო! დააკლებ კი რამეს მაგ ვარსკვლავეთურ ეშმაკეულ უძლეველობას?! ჩვენი დედამიწელების მისგან ხსნა-საშველი მხოლოდ ნებისმიერი რელიგიის გაძლიერება და ჭეშმარიტი ერთგულებაა. აი-და, უზარმაზარი მზისფერი ფარი — ჩვენი პლანეტის დაცვა მოვლა-პატრონობისა...

თავისი სიცოცხლის მოსვლის დღიდან ადამიანი ცდილობს უბოროტესი ომების და ურთიერთხოცვის გაუქმებას, ანუ რაც შეიძლება, ეს მძიმე მოვლენები მინიმუმამდე დაიყვანოს, მაგრამ უკეთური — უმსგავსოება უსასრულოდ გრძელდება და გამანადგურებელი ომების გამჩაღებლებს ძეგლებს უდგამენ ისევ ბნელისკენ გადახრილი ხელოვანი ინტელექტუალები და რატომ?! როცა მათი გვარ-სახელიც უნდა ამოიძირკვოს ის-

ტორიიდან. იწერებოდეს მხოლოდ ბოროტი ომების მსვლელობებზე, მათი წინამძღოლი დემონების გამოკლებით, მართალი, შავი და ტანეკლიანი ასოებით. ქვეყნის თავდაცვითობა კი გამოუვალი, აუცილებლობაა, როგორც ღვთიური მართალი განაჩენი. ისევ უმკაცრესი კოსმოსური გარდაუვალობაა ნათელი, მცირე, დიდი და შავი ბოროტების მოსპობის ფასად... მაინც, ჩემო მეგობარო, როგორი უსაშველო ყოფილა ამქვეყნიური ცხოვრება?!.. ალბათ არც იმქვეყნიურია მთლად დალაგებული. აბა, ვინ და რა გაქცევია პლანეტარიუმის კოსმოსურად თითქოს მოწესრიგებულ, მაგრამ სასწაულებრივ ორომტრიალს... უთუოდ ამ სახისაა ვარსკვლავეთის წყობითი დისციპლინაც. ამდაგვარი უკეთურობანი უნდა მოაწესრიგოს, როგორც მოგახსენეთ, და შეანელოს ადამიანმა მხოლოდ ნებისმიერი ჯანსაღი რელიგიათა მეოხებით, და თავად მიხედოს თავის სიკეთის კერიას. თუ არადა პლანეტას ჩვენსას შეუწყდება უძვირფასესი სიცოცხლე დროებით ან დიდი ხნით და ადამის მოდგმა დაკარგავს ათასობით წლებში მისხალ-მისხალ მიღწეულ სხვადასხვა რელიგიის, კულტურისა და ცივილიზაციის ღვთიურ მადლს... ცივილიზაცია და კულტურა არასოდეს კვდება, მხოლოდ ბერდება მარადიულობასთან ყოფნით, ზოგჯერ, საუბედუროს, მას სპობენ.

მზის სხივებით სავსე სიკეთე კვლავ განაგრძობდა დაპირისპირებით ბრძოლას...

ყველაზე დიდი ლოცვა სიკეთის ქმნა და ბოროტების უარყოფაა...

უხილავ სამყაროსეულად დუმდა ქვეყნიერების მეუფე:

დუმილს გააჩნია უსაზღვრო მაგიური მოქმედება. მისეული მიუწვდომელი ფუნქციით იმოსება შორეული წარსულის, აწმყოსა და მომავლის სვლა-გაგზრებები, რითაც იდუმალების ბურუსში ახვევს ყოველივეს და რთულსა და მიუწვდომელს ხდის...

შორეული, საშინელ მიუწვდომლობას შთაუნთქავს...

სატანა არ ისვენებს, ის ძილსაც არ იკარებს...

ისევ ვიმეორებ, და მაინც ვერცერთი ზეძალა ვერ შეძლებს სამყაროს სრულიად გაკეთილშობილებას, ეს კი მარადიული ტკივილ-ტრაგედიაა...

სამყაროს გარკვეული ნაკვეთი სიცოცხლე კი ურყევი კალაპოტით მიედინებოდა, ყოველის სახიერებით სავსე, უკიდეგანოდ მრავალფერადი და ნეტარების მზე, ცის თვალთ მიუწვდომელი გუმბათისკენ მიისწრაფოდა, ბოლომდე აზრთგაუშიფრავი უსასრულო ასტრონომიული ფუნქციით. როგორც მოგახსენეთ, დედამიწამ მზის ირგვლივ მისეული ბრუნვა იწყო და სისტემური სრული წრიული სვლაც აღსდგა. ასევე აღსდგა მრავალ რელიგიათა ლოცვები და სხვადასხვაშინაარსიანი ნატვრა-ოცნება. თვალთ ღიმილიანი სინათლე ჩაუდგათ ადამიანებს და ყოველ ცოცხალ არსებათ. განახლდა მომავლის მყარი იმედი.

შენელდა უმზეობისგან გამოწვეული კატასტროფული უმისამართო მზერა, მუქყალიბიანი სევდა, უსასრულო უიმედობა და, ამ დროს გაუცნობიერებელი სივრცის იდუმალი-ოპტიმისტური ხმა გაისმა. კლდეები, ლოდები და სტიქიურად მიმოყრილი ქვები ხალისით შეხმიანდნენ. მიწის გახშირებული ანდამატური იმედსავსე სუნთქვა-განწყობილება იგრძნობოდა ირგვლივ. ბრძენი მწერალ-ისტორიკოსი, ქვეყნიერების ფანტასტიკური მოვლენებისგან აღტყინებული სულიერებით მიუჯდა საწერ მაგიდას, წარმოსახვებსხმული ჯადოკალამი აიღო და ყოველივეს აღწერა დაიწყო. თემატურად ახალი წიგნი იქმნებოდა ღრმა ფილოსოფიურ-მეცნიერულ-ასტრონომიული მხატვრული აზრებით. ყველა კეთილშობილი მოწოდების მქონე პირები შეუდგნენ ღვთისგან ბოძებულ შრომით შემოქმედებას... კანონიერი ქურდები კი კაცთა მიდგომებს თავისებურად ხვეწდნენ და ურთიერთმრუდე საქმეებსაც არჩევდნენ. ხულიგნები, ლოთები, ნარკომანები, მეძავები და უსაქმურები უშიშრად გადანაწილდნენ თავიანთ სევდისმომგვრელი ცხოვრების ჩარჩოებში და სიცოცხლის ავ-კარგ დინებას მიჰყვნენ... ხანში შესული ქალბატონები და თმაგათეთრებული ბატონები წარსულის საინტერესო ამბებს ყვებოდნენ. ხელოვანნი კი ახალ და ახალ მხატვრულ, ამაღლებულგანწყობილებიან ნაწარმოებებს ქმნიდა, ნებისმიერი სპეციალობის, ხელობის და ზნეობის ადამიანისთვის, რომელსაც, მთავარია, კაცურკაცობა უნდა ახლდეს და ნათელი ღვთისშვილობა...

დიდი თუ პატარა ქვეყნების გამოჩენილმა მეცნიერებმა უახლესი და ურთულესი აღმოჩენები ისევ წამოიწყეს. ზოგიერთმა გამომგონებელმა მასიურ გამანადგურებელ იარაღზეც დაიწყო ფიქრი და ოცნება. უფერული იმ უმძიმესთვისებიანი პლანეტის გზავნილი ეშმაკი თავისებურად ავზრახვებიანია და არ ზოგავდა მათზე შთაგონებასა და ყოვლის წამშლელ საქმიან თანადგომას. რამდენიმე წმიდათაწმიდა ამაღლებული სულის სწავლულმა, ისევ განაახლა მიწის სიღრმეებში გონებრივი მზერა-ძიება, ისტორიიდან გამქრალი ხალხების და ცივილიზაციებისა, ოცნება უკვალოდ დაკარგული, უძველესი კოლხური დამწერლობის აღმოჩენაზე.

განძი ციური მზისგან ყოველგვარი მაცოცხლებელი ენერგიის სახით კვლავინდებურად ჭარბად იგზავნებოდა. ზოგმა გონნათელმა და მწიგნობარმა მხატვარმა სივრცეში აბსტრაქტულად განფენილი უხილავი ფერების, ფორმების, ხაზებისა და იდეების კვლევა-აღმოჩენებს უბოძა თავისი სიახლეთა შემოქმედება, კოსმოსს მიმსგავსებული ძიებანი.

მეგობარო! და ღრმად დაინტერესებულო მკითხველო! როგორც გიამბეთ შორეული ეს მოვლენა-ამბავი მომხდარა კაცთ მეხსიერების ფიქრებითაც, ძნელად მისაწვდომ ბუნდოვან წლებში, უახლესი ათასწლეულის ლეგენდისმაგვარი ჩვენივე ცივილიზაციის სიმბოლურად ზუსტად შემადარ დროს. შემდგომ ამისა უამრავმა პერიოდებმა გამოიარა თავიანთი დასაწყისითა და დაბოლოებით, რასაც უდროოდ სპობდნენ მარხავდნენ და აქრობდნენ გაბოროტებული, პოლიტიკაში ბრბოსგან დაწინაურებული ადამიანები ან ციური მოვლენები, ზოგჯერ მიწიერი წარღვნებიც. დედამიწა საფლავთ სიმრავლეა ცივილიზაციებისა და, რატომ?! რაზე აწყობს ასე?! ან რაში სჭირდება შორეულ პლანეტებს, კოსმოსს? როგორი ვარსკვლავეთის საშინელი იდუმალების კანონ-ფარდაა ჩამოფარებული დედამიწაზე? მაგ, ყოველი ჩვენგანისთვის წარმოუდგენელ უხსოვარდროინდელ წარსულში, საკვირველია რომ, არარაობასაც გაუღვიძია თურმე უსახო აბსტრაქციად და სიკეთესთან ჭიდილში გამქრალა.

ადამიანისა და ქვეყნის წარსული სიზმარს მიმსგავსებული გახსენებაა, მომავალი ოცნებაა — მიზნებია. აწმყო! თავად და ყველასათვის ძალიან პატარა მონაკვეთისაა, მაგრამ რეალურ-მატერიალისტური უთვალავი შრეებით და უდიდესი ტევადობის: მის უხილავ სივრცეში თავსდება ყველაფერი, მცირედი მოლეკულის მოძრაობიდან დაწყებული, უზარმაზარი პლანეტების ჩათვლით. თითქმის უმნიშვნელო მოქმედებიდან უდიდეს მოვლენებამდე, რომელიც მომავალში უკლებლივ მარადიულობის გალერეებში მუდმივ მეხსიერებად ექსპონირდება, აწმყო უმცირესი და უკიდეგანო წარმოუდგენელი მოქმედების უდიდესი ფენომენია. დრო უმთავრესი სამი განზომილებისაა, მათგან თვალგონსულხილული და სრულიად მართალი ოქროს ღერძის „აწმყო“!..

მივყვეთ ქვეყნის გადარჩენის ასტრონომიულ-ისტორიულ ბედნიერ დროთა სვლას და ამ მადლმოსილ, თვალწინ მიმდინარე დინებას. სიცოცხლე მზის სხივთ კეთილდინებით ზეიმობდა როგორც მიწის ზევით, ასევე ქვესკნელშიც.

განახლდა მითების მოსვლა, ლეგენდების დაბადება, ზღაპართ შეთხზვა, სიზმართხილვები და ბუნება-ქვეყნის თანმიმდევრულ რეალურ მოვლენათა ისტორია...

გაიღვიძა ირგვლივ ასობით კეთილმა თუ ბოროტმა სურვილმა, მიზნებმა, მრავალშინაარსიანმა ფანტაზიამ, ძლიერმა სულმა, ჯანსაღმა მუზებმა, შემოქმედებითმა ძიებამ და ფრთებშესხმულმა ოცნებამ; რჩეულთ, წარმოსახვებიც გამოეცხადა და მომრავლდა ათასფერადთვისობრივი ადამიანური შეუპოვარი ენერგია. სამომავლო ფიქრები ოცნებებს აედევნა. მზის იმედით სავსე რწმენითი შეგრძნება, რელიგიურ გულწრფელ ლოცვებად განახლდა. უხსოვარდროინდელმა კაცთ სითამამემ, სიმხდალემ, დიდგულოვნებამ, ორგულობასულთა ბორგვამ ახლებურად იწყო ფორიაქი და ვერ ეტევა თავის სამყოფელში. სრულიად დამრეგულირებელი კი ისევ დუმს. მხოლოდ სარწმუნოებას ძალუძს თურმე პლანეტის და ქვეყნიერების ნაწილობრივი თუ მთლიანი ზნეკეთილი მოწესრიგება.

რელიგია ზეგონებაა, სამყაროსეული აზროვნებაა და დედამიწაზე მცხოვრები ადამიანების წმიდათაწმიდა ზნეობის მუდმივი მარეგულირებელია... ათი მცნება ხომ კაცობრიობის ყველა კანონზე მაღალთმაღალი მარადისობის წესდებაა, მილიარდ წლებს რომ გადასწვდება მისი შეუფასებელი უფლისმიერი მადლი. ზნეობა დაუსრულებელი დროის სვლათა პერიოდშიც უფრო ძვირფას ადგილს დაიკავებს კაცთა მოდგმის გონებრივ და სულიერ არსებაში.

ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩვენი გალაქტიკის რომელიმე ციური სივრცის ცოცხალ პლანეტაზეც გავრცელებულია სიბრძნე, ესაა უბრძენესი ათი უკვდავი მცნება.

„ადამიანის უკვე აღდგენილი გონება უკეთურობის გარდა სიკეთეს ავრცელებდა ჯეროვნად“. სიახლედ სიხარულის და ნეტარების ცრემლი გაჩნდა კამკამა წყაროსფერი და მზე არ აშრობდა, პირიქით, უფრო და უფრო აძლიერებდა მის ნათელ, წმიდად წარმოქმნის მისტიკურ ბუნებას. შემდგომ აწ წარსულის მოულოდნელი ხიფათი და ნახევარწრედ გადასული პირველი დღე მშვიდად მიიწურა. განახლებულმა, მარად ანთებულმა პლანეტამ კანონიერ-სისტემური ჩასვლა იწყო და დღის ისევ საშინელი კოსმოსური შემთხვევის მოლოდინში, შეშინებული ქვეყანა მაინც კანკალით შეეგება ულამაზეს დაისს.

მზის ჩასვლა ბოლომდე გაუმჟღავნებელი და ფარული ციურ-პლანეტური სილამაზეა, დიდ იმედებთან ერთად უზარმაზარ სევდას რომ ტოვებს და ჩაიყოლებს; ხატული სიშორე თითქოსდა ჩაძირვაა გრძნობათა და ემოციათა უსასრულობისა.

თანმიმდევრობით ახალამოსულმა მორჩილმა, ნახევრადმდუმარე მთვარემ უწყვეტად ჩამოგზავნა სანუკვარი სიმშვიდე, ღამეული ოცნება და უშფოთველი ძილი. უკვე ძალიან შორს გადასული, მზისგან განათებული წრესრული მთვარე, კეთილმოსილებით ძვირფას ნათელ ვერცხლწრედ, ზანტი პლანეტური სვლით, მიცოცავდა მიუწვდომელი მფლობელისგან დროებით მიტოვებულ ზეცაში. უიმედობა არ იყო არსად. ხვალინდელი მზის ამოსვლის მოლოდინით, ყველგან სრული რეალობის გრძნობა სუფევდა უსაზღვროდ.

ჩვენეულ ეპოქაში დიდმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ისეთი მიკროსკოპული ატომგულის ელექტრონებზე მილიარდობით უმცირესი ნაწილაკ-ელემენტი, რომლის სიცოცხლის შეჩერება ან განადგურება ვერანაირი ლაბორატორიული ექსპერიმენტებით ვერ შეძლეს. ეს უკვე უცილო დასტურია ღვთივსამყაროსეული სიცოცხლის უძლიერესი ღერძის არსებობისა; რომ მარადიულია სიცოცხლე და მას ვერაფერი ვერ გაანადგურებს.





სამყაროების ცოცხალ პლანეტებზე შეიძლება მხოლოდ ფიზიოლოგიური სახეების შეჩერება ან გაუქმება და გადასხვაფერება დროთა ჟამში და ცივილიზაციების ტრადიციული განვითარების წყვეტა, მაგრამ „მზე, დედამიწა, მთვარე, ვარსკვლავები და სიცოცხლე ხომ სამყაროს მარადიული შედევრ-პორტრეტია“...

ვერ დამაჯერებთ, რომ მითხრათ, არ არსებობს საკვირველი, უკიდეგანოდ-ქვეყნიური უხილაობის უმდიდრესი ფონდი ადამიანის (პიროვნებათა) დაბადებამდე უსასრულობაში მათი არსებობის თაობაზე. მტკიცედ მჯერა, იმ იდუმალი სივრციდან ხდება ინდივიდის გამოყვანა. ჩვეულებრივი ბედი ან შემთხვევითობა რომ არა, ისინი იქ იარსებებდნენ მარადიულად, მიწიერი მწვალებლური სიცოცხლის გაუვლელად. უთუოდ ამ უხილავი-უმდიდრესი და ურთულესი სამყაროს რაობა უფრო უფალმა იცის.

საოცრებაა, რომ არსებობს ატომგულის ელექტრონებზე ტრილიონჯერ უმცირესი ფიზიკური ნაწილაკი, რასაც ზემოთ ვახსენებ. მაშინ ეს ჩემეული ნააზრევის თამამი ვერსიაც უთუოდ სარწმუნოა, სამყაროს ურთულესი ფილოსოფიიდან გამომდინარე...

სანამ მზე და დედამიწა არსებობს, სასწაულ სიცოცხლესთან ერთობლიობაა განუყრელი. ოღონდ გონებაშერყეულმა პოლიტიკოს-ძალადგენიოსებმა ანუ ცუდდროულმა დემონებმა თავიანთი იდეოლოგიურ-ბარბაროსული გეგმა-მოქმედებებით არ გაანადგურონ და არ მოშალონ დედამიწაზე დიდი თუ პატარა სახელმწიფოები, ერები, ტომები, ენები, გვარები, შეუფასებელი ინდივიდი, დამწერლობები, კულტურა და ცივილიზაციები. თუ ყოველივე ეს ბუნებრივ-კოსმოსური წყობა მოისპო, მილიონობით თუ მილიარდი წლები დასჭირდება პლნეტას, რომ აღიდგინოს დღევანდელობა. ვიმეორებ! დამაღონებელია, რომ ვერცერთი ზეძალა ვერ შეძლებს ქვეყნიერების პირწმინდად გაკეთილშობილებას... მამაზეციერმა უფალ იესო ქრისტეს ჯვარმცმელ-მწამებელთ, დაცემულ ადამის მოდგმას ერთხელ თუ შეუნდო უსაშინლესი ბოროტება, მოსალოდნელია, თავისივე ჯილაგის ამოძირკვა და გაქრობა არ აპატიოს და ვერ დაუბრუნოს მათ ყოველივე და ადამიანებზე გაუთავებელი ფიქრი-ზრუნვა, სწავლება-ზედამხედველობა მოიცილოს მთავარ — თავსამყაროდან. ამ დროს, წარმოვიდგინოთ, მზეს თუ გააჩნია მისეული ხედვა და აზროვნება, როგორი განწყობით იქნება სხივაყრილი ადამის მოდგმის მიმართ. ზენაარს თუ ადამის მოდგმაზე ბევრად უფრო კეთილშობილური-გონიერი, ზნეობრივად მაღალი არსებანი ჰყავს სადმე, რომელიმე გალაქტიკის ბედნიერ პლანეტაზე, მაშინ ამდაგვარი მკაცრი გადაწყვეტილება მოსალოდნელია. გამოდის რომ, ადამიანი ის ფიზიკურ-გონებრივ-სულიერი და ზნეობრივ-ფიზიოლოგიური გაჩენაა, რისი გამოსწორება-დარეგულირება ღმერთსაც არ ძალუძს (ისტორიაში მაგალითები მრავალია). შესაძლებელიცაა, უთვალავი სამყაროებისთვის ჩვენი გაქრობა-არყოფნაც, უფალმა ნუ ქნას და, დიდი დანაკარგიც არ იყოს... ანუ ალბათ, არსებობს შორეულზე იქითა ფორმა, რომ სამყაროთა თვითგანვითარება არავის და არაფერს ემორჩილება. ისიც დასაფიქრებელია, რომ ქვეყნიერება თავადვე აღმოაცენებს სიცოცხლისათვის ყოველივეს. მაშინ გამოდის, რომ ჩვენს წარმოდგენებზე, ხილვებზე, სწავლება-აზროვნებაზე უფრო კოსმოსური მიუწვდომელი ზესაიდუმლოება არსებულა, რითაც რეალურად იმართება ბუნების უმცირესი ნაწილაკიც კი. სამყაროთა და მათი მთლიანობის გრანდიოზულ-მიუწვდომელი ინერციულობა, სარწმუნოა, უფრო ღრმად დაკანონებული, უსასრულო, უკვდავების მაპროცესირებელი მექანიზმის გონება, სული და გულია. ამ ყოველივეს, მოსალოდნელია, ადამიანებმა დავარქვათ მიახლოებითი ზესახელები, გონებრივი მარაგიდან გამომდინარე. ხოლო დაუსრულებელი ფორმის ქმედებები უხილავ ტალღებად მიედინებიან და მოედინებიან სამყაროთა უთავბოლო აღუვსებლობიდან, რომელიც ემორჩილება, ანუ განუშორებელი სხეულია პლანეტარიუმის მიუწვდომელი შინაგანი ზნე-არსებისა...

როგორი ცისმიერი მშვენება და სასოებითი ბედნიერებაა, თუ ჩვენი სული მარადიულია, ამ სამყაროსეული სივრცის გონმიუწვდომელ საოცრებებში, მოძრავი-მოქმედი სიცოცხლისეული რეალური იდუმალი ნაწილაკი თუა?!... ასევე შესაძლებელია არსებობს სამყაროს, მეხსიერების, დროის, სივრცის, გარემოს და აზროვნების შიდა სიღრმისეული აბსტრაქციაც (რომლის მოდერნისტული გამოხატვა შეიძლება ფერწერაში, მუსიკაში, და პოეზიაში). გამორიცხული არაა, მოქმედებდეს სწავლამიუდგომელი რთული იდუმალება, რომელსაც მხოლოდ პლანეტარიუმის ზემაგნიტური სხივთქმედებათა წარმოსახვების მონათესავე არეალები აღიქვამენ და ჭეშმარიტებად იხილავენ. მერწმუნეთ, სულ-გონებ-აზროვნებით ახლობლებო — ადამიანებო! ამდაგვარი სამყაროსეული რეალური მიახლოებებიც არსებობს უთუოდ, ჩვენგან ძალიან შორეულში და მათი უცხო შემადგენლობების უკიდეგანობაა, რომ ბევრი რამე ქვეყნიური მიუწვდომელ-შეუსწავლელია...

უმჯობესია, ყველა ჩვენგანმა ვილოცოთ, რათა დედამიწაზე არ მოხდეს ადამიანთა მიერ შექმნილის წამშლელი მოვლენები. დავუშვათ, თუ მოხდა, მეორედ მოსულ ადამიანებზე უფალი უთუოდ იზრუნებს, რომ შეუნარჩუნდეს ღვთივკურთხეული ზნეობრიობა. ისინი მხოლოდ ღვთის კანონების წამკითხველ-მოსაუბრენი კი არ იქნებიან, არამედ — პირველადშობილი ადამივით, წმიდა ღვთიური ბუნების. მაშინ დედამიწა მართლაც გახდება ღვთივმოსილების უპირველესი პლანეტა, რომლის სფეროდან მხოლოდ კეთილი მირონი წვეთავდეს იქნება, გარემოს ყველგან მწვდომი. ამ დონეზე სიცოცხლის ამოძირკვის გარეშეც ძალუძს სამყაროს ზეძალებს ადამიანთა სულიერ-გონებრივ-ზნეობრივი გაჯანსაღება, თუ „ათ მცნებას“ და ახალ აღთქმას ყველა ჩვენგანი ზნეობრივად მტკიცედ გავითავისებთ. აურაცხელი ვარსკვლავების უსასრულო სივრცე, შორეული სიმართლეა ამქვეყნიდან გასვლა. ღმერთთან ლოცვით და შენდობით გადარჩენილია სული, ხოლო უკეთურთა მიერ ძლეული — დაცემულია. მწარედ მოშლილ-გაფანტულნი ჩვენც უცილოდ წავალთ.

პლანეტა ჩვენი სიცოცხლის მარადიული წყაროა; ყოველივე უკვდავება, მზის და მიწის ერთობლივ ელემენტებშია ჩაკირული...

სინათლემიუწვდომელი სამყაროების მადლით ქვეყნიერების ჩვენეული მაცოცხლებელი მზე კვლავინდებურად ბარჩხალებს. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, არავისაგან და არსაიდან სამაგიეროს ის არა და არ ითხოვს, ანუ რაში გამოადგება და გამოიყენებს. განუზომელია წვაცეცხლოვანი განუსაზღვრელი მზეობის და სიკეთის უფალ-ვარსკვლავი, ჩვენს ნამცეცა, მისთვის გამოუყენებელ ფერფლს, ის მხოლოდ მიწას სჭირდება... მარადის მანათობელ უძლიერეს ვარსკვლავეთურად უშურველად გასცემს წერტილდაუსმელი სიცოცხლის უებარსა და უსაზღვრო ენერგიას, სითბოს, სინათლეს და მრავალთა წმიდა სახეობათა ურთიერთობას. ციური მფლობელი დაუსრულებელი სიკეთეა სისტემის გარემოსი... ოდითგანვე მასზე შექმნილი მრავალრელიგიამიძღვნილი სრული ალმსარებლობებია პირდაპირი მიმართებით, ანუ ზოგადიდეურით. ვინ იცის, ადამიანი მომავალ ათასწლეულებს სარწმუნოებრივ ახალ და ახალ ჰიმნს მიუძღვნის და მუდამჟამს სულიერად ისევ აუწონავი შემოქმედებითი მადლიერებით მიეახლება. ხოლო ჩვენგან მისდამი ზნედაცემული სამარცხვინო ფიზიკური შეწირვა ქვეყნიერების სიცოცხლის წყაროზე უნდა შეწყდეს სამუდამოდ, რადგან ის მხოლოდ გაურკვევლობას ან ეშმაკს ეგზავნება და ხარობს. მზე! მასზე მრავალმხრივ დამოკიდებული პლანეტებიდან, კერძოდ კი, დედამიწიდან, ნამცეცისოდენა სამაგიეროს დაბრუნებას არ ითხოვს. ამდაგვარი მიდგომა-გაგებით გამართლებული იქნება მზის მიმართ ჩვენეული ნეტარებითი სიყვარული, რწმენა და კოსმოსურ-ზნეობრივ-ადამიანური დამოკიდებულება...

არ შეურაცხვყოთ პლანეტის უძველესი ქვეყნების, შუმერების, ხეთების, ქალდეველების, ატლანტიდელების, ძველკოლხთა, ინდიელების, სპარსელების, ეგვიპტელების და უკვე დამარხული ერების ბეჭედი — მზიური მადლი, რადგან ის უსაზღვროდ თავის ირგვლივ, უანგაროდ შუქთგანმვრცობი, მრავალფორმიან-ენერგიამგზავნელია, სიცოცხლის, სიკეთის და კოსმოსური უმდიდრესი მთლიანობის უშრეტი დედისეული წყაროა. ზეცად თავის კუთვნილი ურთულესი სისტემის მამოძრავებელ-მომწესრიგებელი და უფლის უკეთილშობილესი, მიუწვდენელი სახე-ფორმაა ვარსკვლავეთური...

# დალი ყარაულაშვილი

***

მოურჩენელო ტკივილო,
ჩემო უძირო სევდავ,
ფურცელზე გრძნობის კალმიდან
დარდო სისხლივით წვეთავ...

ტკივილს ვწერ, მწარე ღიმილი,
ველარ სცილდება ბაგეს,
ჩვენი ოცნება, ზეციდან,
საპნის ბუშტებით აგეს.

გვეგონა ერთად გავხედნეთ,
თეთრი მუზების რაში,
როცა საყდრამდე მივედით,
ცა ჩამოგვექცა მაშინ...

ვაიმე! ჩვენ რომ გვიყვარდა,
მე ველარ ვხედავ იმ მზეს,
ეს არეული სიზმრები,
შენი თვალებით მიმზერს.

კიდევ ერთ ღამეს გავათრევ,
ღამეს, გალეშილს გრძნობით,
თურმე მირაჟი ყოფილხარ,
ჩემო ლოდინო წლობით...

განთიადს ავეყუდები,
ზეცის ალისფერ კალთას,
ხვალ მარმარილოდ ვიქცევი,
შენი საფლავის კართან.

მოურჩენელო ტკივილო!
ჩემო უძირო სევდავ.....

***

იქნებ სიზმარია, იქნებ...
კვლავ ვსვამ მოგონების შარბათს,
ვერა, ვერ ვერევი ფიქრებს,
ალბათ, მირაჟია, ალბათ...

იქნებ, სიზმარია, იქნებ...
გელის... ისევ ისე გელის...
გული, სიზმარში თუ ცხადში,
გახსოვს?! მონატრება მწველი...

გრძნობა ჩაფერფლილი ალში...
ვერა, ვერ ვიჯერებ, ვერა,
ვფიქრობ, იმ წარსულზე, ვფიქრობ...
როგორ აგიტანა წერამ…

მიწას ხელისგულით გითბობ...
გითბობ, მიწას გულზე დაყრილს,
ცრემლი დამალვარა ზეცამ,
სულში დანასავით გაყრილს.

ტკივილს დავატარებ მეცა,
დამდევს უსაშველო კითხვა,
რატომ გაიწირე ასე,
— „გასვლა უნდოდაო!“ — ითქვა...

სცლიან მოგონების თასებს,
ვიცი, სიცრუეა, რამაზ!
რას არ მოიგონებს ენა,
ვიღას დავაჯერებ ამას.

როგორ მოითხოვდი შველას...
გრძნობდი....
წინათგრძნობა გკლავდა,
გული საუბრობდა ავზე,
გასვლა ჭექა-ქუხილს ჰგავდა.

ცისფრად პირმომღიმარ ცაზე
ყოფას ბედისწერა მართავს,
წარსულს ვერაფერი ვერ შლის,
ვდგევარ გაგიჟების კართან.

ვიცი, უშენობა შემშლის
და ვსვამ მოგონების შარბათს,
ვერა, ვერ ვიოკებ ფიქრებს,
ალბათ, მირაჟია, ალბათ...

იქნებ, სიზმარია, იქნებ...

## შენი ჩრდილის ქვეშ ვივლი...

დაღლილს, ძალიან დაღლილს,
თოთო ბავშვივით მივლი,
რაღაც სიმშვიდე ვპოვე,
შენი ჩრდილის ქვეშ ვივლი.

სულში დაკრეფილ იებს,
შევკრავ, მოგიძღვნი კონად,
მინდა მიყვარდე ძლიერ,
ოღონდ, ნუ მაქცევ მონად...

მინდა მოგეყრდნო მხარზე,
უღელი ერთად ვწიოთ,
მეც გაპატიებ ბევრს და,
იქნებ შენც მაპატიო...

დაღლილს, ძალიან დაღლილს,
თოთო ბავშვივით მივლი,
მთელი ცხოვრება თუ გსურს,
შენი ჩრდილის ქვეშ ვივლი...

***

ცამ მაპატიოს,
თუკი ბაგემ თავი იმართლა...
მე ჩამოვცილდი სასახლეებს,
ნათელ დარბაზებს,
შეშლილ თვალებზე ავიფარე
შავი სათვალე,
დღეს ჩემი სიტყვა,
ხმამაღალი,
აღარ გაბრაზებს...
ცრემლს კვირტად ისხამს.
შენ, აზარტულად მიჰყვებოდი
კლდეთა ქარაფებს,
ბედის მწერლებო!
მორჩა როლი, დაუშვით ფარდა,
დასმულ კითხვაზე,
დღეს გპასუხობ,
ვნანობ?
— არაფერს!
ამ სიყვარულით უნდა მოგყვე
საფლავის კართან,
ბედის მწერლებო!
კიდევ ერთი წერტილი დასვით,
თქვენს არენაზე
კიდევ ერთი დამთავრდა კაცი,
მე კი,
გრძნობების მოგონების ბადაგი მასვით.
თავგზაარეულს
ველარაფრით გადამრევთ აწი...
თვალს აღარ ხიბლავს
აქაური სხივთა სინათლე,
ჩემთვის საყდრებში
დღეს სანთლებიც უალოდ იწვის,
ლამაზ ფრაზებით,
მეგობრებო,
თავს არ ვიმართლებ.



დღეს ჩემი სულიც,
შენი სულის გვერდით ჩათვალე,
მე ვერიდები ხმაურიან,
ხალხმრავალ ქუჩებს,
მამშვიდებს ზეცით დაშვებული
რითმების მძივი,
ახლა ნიავი ეფერება
გაბუტულ ტუჩებს
და არეული ფიქრი ისევ
შენს სახელს ყვირის....
ბედნიერი ვარ,
დამიტოვე უფლება გლოვის,
ველარ ავწიე,
მაპატიე,
თავი დახრილი,
შენამდე თითქოს გზაა მოკლე
და მაინც შორი,
მოვდევ ნაკვალევს,
მოვდევ,
გულში ტყვიადახლილი.
მე ახლა მხოლოდ
მონატრების უფლება დამრჩა,
შენ კი მუზებს და რითმებს ალბათ
მზეში გახედნი,
შეჭმუხნულ სახეს მშვიდად ლანდავს
ღრუბლების ფარჩა,
დავცქერი საფლავს,
მერიდება ცაში ახედვის...
რომ ვერ გავუგე
ტკივილიან გრძნობის კაეშანს,
ვერ მოგეფერე,
ვერ ამოვდე ლაგამი რისხვას,
მოგონებების ფიალიდან
სულს სურს გალეშვა,
ბავშვურ თვალებზე წამწამები
ჩემს სინანულზე ქვა ღაღადებს,
სამყარომ იცის.
მე ჩამოვცილდი სასახლეებს,
ნათელ დარბაზებს,
და შეშლილ თვალებს ავაფარე
შავი სათვალე,
დღეს სიჯიუტე ჩემი
უკვე აღარ გაბრაზებს.
მიიღე სული,
შენზე დარდით გარდავიცვალე...
ცამ მაპატიოს,
თუკი ბაგემ თავი იმართლა,
თუკი შეშლილ სულს
კიდევ ერთი კვნესა წამოცდა,
ხომ მოვიხადე ტანჯვის ვალი
ისევ პირნათლად
და ჩავაბარე კიდევ ერთი
მწარე გამოცდა...

## დუმილში ვდგევარ....

(რამაზ ბერაძეს)

თურმე, ფარულად... მაინც მიყვარდი,
ახლა შეშლილი, მარტის ქარს ვგევარ,
შემპირდი წასვლას... ზემოთ, იმ ცამდის...
გაოგნებული.... დუმილში ვდგევარ...
მესმის, ხარხარით ეშმა თავს იქებს,
უკვდავების წყალს მოგიტან პეშვით...
ახლა გვამები გაწვდიან ჭიქებს,
არ გამართლებულ გრძნობების შესვი!
სადა ხარ! სული უხმოდ ღრიალებს,
მაინც მიყვარდი, თურმე ფარულად,
იმ ძველ ტკივილებს, ყოფა ტიალი,
ერთიანად შლის, გტირი მალულად...
და მახსენდება მხოლოდ ნათელი,
შენი ზღაპარი, იმ წრფელ გრძნობებზე,
დღეს მომიყვები, ნატვრას ახდენილს
და ახალ ზღაპარს ანგელოზებზე?!
აღარ გვაშორებს ჩვენ არაფერი,
ზეცამდე ასვლა მხოლოდ წამია,
ღამეს მოწყდება სიზმრის ნამქერი,
კვლავ დამიკოცნი თვალებს ნამიანს...
ჩურჩულით ისევ მეტყვი: „მიყვარხარ"!—
წარმომიდგები სულ სხვა იერით,
მეც ვიჩურჩულებ, შენ ხომ ის არ ხარ?!
დამშვიდებული და ბედნიერი?!
ცამ დაგიმშვიდა სული ეული?
შეკრული შუბლი ზეცამ გაგიხსნა?
შენ ვერ მოირგე მიწა წყეული,
ბედმა ტკივილის მუზა აგისხა.
ლივლივით გაჰყევ ღრუბლების ფარას,
შეშლილი ქარი ყურში მიწივის,
სარკმლების ფარდა ჩემს ცრემლებს
მალავს,
შენი სურათი უხმოდ მიცინის.
თურმე, ფარულად, მაინც მიყვარდი,
ახლა ბობოქარ, შეშლილ მარტს ვგევარ,
მაინც წახვედი? მაინც!... იმ ცამდის?!
გაოგნებული... დუმილში ვდგევარ...

## სადა ხარ?!

სული აწყდება სხეულს,
სადა ხარ?!
ალბათ ვარსკვლავებს წვდები...
გიხსენებს გული, მიწაზე ეულს,
და გრძნობას სულხარ ჩაქოლილს ქვებით.
აღარ მჯეროდა, არც ერთი სიტყვა,
თუმც მაჯერებდი, „შენ სულ სხვა ხარო",
ვერ დავიოკე, ძვირფასო, რისხვა,
დღეს კი, უშენოდ ვერ ვგრძნობ სამყაროს.
ვიცი, ებრძოდი დემონთა ხროვას,
იქილიკეს და მწარედ დაგვცინეს,
თურმე, სასწავლი მქონია გლოვა,
ღმერთო! როგორ ვერ გადაგარჩინე...
ებრძოდი ყოფას, შენთვის დაწყევლილს,
ეხუტებოდი ქუჩის სიცივეს,
ემდურებოდი, შენს დღეს გაჩენის,
ფიქრი გვერდიდან ველარ გიცილებს.
გრძნობას, რომელიც ჩავქოლე კირით,
დღეს შენი სახე ამოაქვს თვალწინ,
ჩვენით დანგრეულ იმ წარსულს ვტირი,
სიყვარულს? საგზლად გაგატან აწი...
სადა ხარ?! მივდევ კლდეებს ალესილს,
მსურს მიჩურჩულო, —
„შენ სულ სხვა ხარო",
როგორ მჭირდება შენი ალერსი,—
დაცარიელდა უცებ სამყარო.
ღმერთო! როგორ ვერ გადაგარჩინე...
ვერ ვაპატიებ ჩემს ყოფას ამას,
ბედისმწერლებმა მწარედ დაგვცინეს,
ვერ გავუფრთხილდით ერთმანეთს
რამაზ!!!

# მაჰმადიან მესხთა პრობლემებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები

## 1.„ვათანი“

დღეს მსოფლიოში საბჭოთა კავშირის დროს 1944 წელს საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის სახელით 20-მდე საზოგადოებრივი ორგანიზაციაა დარეგისტრირებული. ზოგი შედარებით აქტიურია, ზოგი – ნაკლებად. შესაბამისად, ზოგიერთი მათგანის საქმიანობის შესახებ ცნობილია, ერთი ნაწილი კი უცნობი რჩება. საზოგადოებაში დამკვიდრდა გარკვეული სტერეოტიპებიც. რეპატრიაციასთან დაკავშირებული პროცესების სწორად გასააზრებლად საჭიროა თითოეული ორგანიზაციის შესახებ სწორი ინფორმაციის შესწავლა-გაცნობა, მათი პოზიციის დაფიქსირება. ეს მხოლოდ ხელს შეუწყობს სწორ შეფასებასა და მართებული დასკვნების გამოტანას.

იცვლება დრო, იცვლება გარემოებები, ინტერესები, რომ არაფერი ვთქვათ, მთავრობებსა და ადამიანებზე. სრულიად ლოგიკურია, რომ შეიცვლოს შეხედულებებიც. ყოველთვის, როდესაც ჩვენს ქვეყანაში იწყებოდა საუბარი დეპორტირებული მოსახლეობის პრობლემების შესახებ, ხშირად ორგანიზაცია „ვათანის“ სახელი ისმოდა.

მაჰმადიანი მესხების არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია ,,ვათანი“ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ფუნქციონირებს. ცენტრალური ოფისი ორგანიზაციას აქვს მოსკოვში, არსებობს „ვათანის„ რეგიონული ორგანიზაციები როგორც რუსეთის ფედერაციის შიგნით (ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში), ისე მის ფარგლებს გარეთ. ორგანიზაციას გააჩნია ოფიციალური ვებგვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია როგორც მიზნებისა და ამოცანების შესახებ, ისე იმ სიახლეების თაობაზე, რომელიც „ვათანის“ საქმიანობას უკავშირდება (http://tag.fuen.org/ru/chleny/chlen). თვალის ერთი გადავლებითაც ნათელია, რომ ორგანიზაცია აქტიურია, განსაკუთრებით საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით.

ორგანიზაციის სრული სახელწოდებაა: *„მესხეთელი თურქების საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ვათანი„* **(Международная общественная организация месхетинских турок "Ватан")**. იქვე მითითებულია **„თურქი-მესხები“,** ფრჩხილებში კი **„ახისხა ტურკი„** (Ахыска турки). ამის შემდეგ წარმოდგენილია მოკლე ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ, სადაც ვკითხულობთ: *„თურქი მესხები (თავს უწოდებენ ახისხა თურქებს), მცხოვრებნი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით 1944 წლის დეპორტაციამდე წარმოადგენდნენ ამ რეგიონის მკვიდრ მოსახლეობას. რამდენადაც რეგიონის ქართული სახელწოდებაა მესხეთი (Месхетия), ახისხა თურქები ასევე იწოდებიან, როგორც მესხეთელი თურქები ან თურქი მესხები.*

*1944 წელს, სტალინის განკარგულების მიხედვით, თურქი მესხები დაექვემდებარნენ ტრაგიკულ დეპორტაციას შუა აზიაში. ორ საათში 120 ათას ადამიანზე მეტი შეყარეს ვაგონებში და ამას შემდეგ საქართველოს მკვიდრ ხალხს არა აქვს სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა. დეპორტირებულების ძირითადი ნაწილი გადასახლებული იყო ყაზახეთში, ყირგიზეთსა და უზბეკეთში, უმაღლესი განათლების მქონეთ კი ასახლებდნენ ციმბირში.*

*მესხეთელი თურქები თავის უმთავრეს მიზნად მიიჩნევენ 1944 წელს დეპორტირებული მოსახლეობის პრობლემების გადაჭრას. ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას საქართველოს მიერ დეპორტირებული მოსახლეობის სამშობლოში დაბრუნების შესახებ აღებული ვალდებულების მიუხედავად, ამ საკითხის გადაწყვეტის მრავალწლიანი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.*

*დღეს რუსეთის ფედერაციის გარდა ისინი კომპაქტურ ჯგუფებად ცხოვრობენ ყაზახეთში, აზერბაიჯანში, ყირგიზეთში, თურქეთში, უკრაინასა და აშშ-ში. ევროპის საბჭოს დაჟინებით, საქართველოში მიღებულ იქნა კანონი დეპორტირებული ჯგუფების სამშობლოში დაბრუნების თაობაზე.*

*თუმცა ამ კანონის რეალიზაცია აღმოჩნდა ძალიან გართულებული და ჯერ დაუსრულებელი. დეპორტაციის შემდგომ გადასახლებაში მცხოვრები მესხეთელი თურქები მწვავედ საჭიროებენ საკუთარ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და კომპეტენტურ ადამიანებს სამართლებრივი მხარდაჭერისათვის, ასევე სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრების პირობებში საკუთარი კულტურული და ჰუმანიტარული ღირებულებების მხარდასაჭერად“.* _ ასე გამოიყურება ის მთავარი ინფორმაცია, რომელიც სურთ, საზოგადოებას მიაწოდონ ორგანიზაციის მესვეურებმა. ჩნდება კითხვა, თან არაერთი! ალბათ, უფრო სრული იქნებოდა ინფორმაცია, თუ საქართველოში მცხოვრებ მაჰმადიან მესხებზეც ითქმებოდა რამდენიმე სიტყვა, ან ევროპის საბჭოს დაჟინებული მოთხოვნის გვერდით ქართული საზოგადოების ზეწოლა და სურვილიც აღინიშნებოდა.

ერთი ძალიან სერიოზული პერიოდი „ვათანის“ საქმიანობისა, დაკავშირებულია **იუსუფ სარვაროვთან** და მისი თავმჯდომარეობის დროს ორგანიზაციის ფუნქციონირებასთან. ძნელი იყო 90-იან წლებში ორგანიზაციის ჩამოყალიბება. სირთულეს ქმნიდა რამდენიმე გარემოება. როგორც რუსი ავტორები (ნიკოლაი ბუგაი, მახაჩ მამაევი) ) აღნიშნავენ, რუსეთის ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები დეპორტირებულ მოსახლეობაზე არ ვრცელდებოდა, მათ შორის 1991 წლის 26 აპრილს რუსეთის ფედერაციის მიერ მიღებული კანონი *„რეპრესირებული მოსახლეობის რეაბილიტაციის შესახებ“.* მოსკოვში **„თურქი მესხების საზოგადოებრივი გაერთიანება „ვათანი“** ჩამოყალიბდა ჯერ როგორც ასოციაცია. 1992 წლის ნოემბერში ჩატარდა საზოგადოება „ვათანის“ პირველი ყრილობა, რომელმაც თავისი საქმიანობის მთავარ მიმართულებად აირჩია საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. როგორც აღვნიშნეთ, 2003 წლამდე ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა *იუსუფ სარვაროვი,* რომლის საქმიანობა თავად ორგანიზაციის წევრთა მიერ შეფასებულია ცალსახად დადებითად. ეს რთული, მაგრამ საინტერესო პერიოდია და ჩვენ მას აუცილებლად შევეხებით.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ეტაპი ორგანიზაცია „ვათანის“ საქმიანობაში დადგა *სულეიმან ბარბაქაძის* დროს. ს. ბარბაქაძე ორგანიზაციას 2003-2007 წლებში ხელმძღვანელობდა. შემდეგ თავმჯდომარე გახდა *ტაშტან ასლანოვი,* 2015 წლის 21 ნოემბრის ყრილობაზე კი „ვათანის“ საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს *ჟავიდ კაზანფარ ალიევი.*

დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაციის პროცესს თუ განვაზოგადებთ, გარდამტეხ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს პარლამენტის მიერ რეპატრიაციის შესახებ კანონის მიღების ფაქტი. ამას უდავოდ, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა საზოგადოება „ვათანისთვისაც“. ამ დადებით მოვლენას, როგორც აღმოჩნდა, საკმაო დაძაბულობა მოჰყვა ორგანიზაციის შიგნით: სამი თვის განმავლობაში გაიმართა „ვათანის“ ორი ყრილობა, ორივე მეხუთედ წოდებული, ერთი თბილისში, მეორე _ მოსკოვში. ჩვენი წერილის პირველი ნაწილი სწორედ ამ პერიოდს ეხება.

როგორც ცნობილია, 90-იანი წლების ბოლოს დეპორტაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მცდელობაში ჩაერთვნენ საერთაშორისო ორგანიზაციები და განახლდა მუშაობა დეპორტირებულთა რეპატრიაციისა და რეინტეგრაციის პროცესის დაწყებისათვის აუცილებელი საშუალებებისა და გზების მოსაძიებლად. 1999 წელს ევროპის საბჭოში გაწევრიანების დროს საქართველომ აიღო რიგი ვალდებულებები, მათ შორის: _ საქართველოს უნდა მოემზადებინა საბჭოთა რეჟიმის მიერ დეპორტირებული მესხი მოსახლეობის რეპატრიაციისა და ინტეგრაციის, მათ შორის საქართველოს მოქალაქეობის უფლების შესახებ სამართლებრივი ბაზა (PACE Opinion № 209, 27 იანვარი, 1999). ხოლო 2007 წლის 22 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით დაამტკიცა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა 2008 წლიდან მაჰმადიანი მესხების ან მათი შთამომავლების რეპატრაციისთვის საჭირო პროცედურების დაწყებას. კანონპროექტის თანახმად, მათ, ვისაც სურდა საქართველოში დაბრუნება, განაცხადებით უნდა მიემართა საქართველოს უახლოესი საკონსულოსთვის, ან საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთვის, 2008 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. კანონპროექტი არ ავალდებულებდა საქართველოს ხელისუფლებას დაბრუნებული მაჰმადიანი მესხების ფინანსურ უზრუნველყოფას. კანონის მიღება უბრალო საქმე არ იყო. პრობლემის გადაწყვეტის პროცესში ამ საკმაოდ მნიშვნელოვან ეტაპზე დგება ორგანიზაცია „ვათანის“ თავმჯდომარის სასწრაფოდ შეცვლის საკითხი და, როგორც ჩვენს ხელთ არსებული მასალები გვიჩვენებს, საკმაოდ მწვავედაც.

2007 წლის 17 ოქტომბერს თბილისში გაიმართა დეპორტირებული მოსახლეობის პრობლემებთან დაკავშირებული კონფერენცია, რომელსაც ევროსაბჭოს წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ დეპორტირებული მოსახლეობის წარმომადგენლებიც. მათ დელეგაციას ხელმძღვანელობდა „ვათანის„ თავმჯდომარე სულეიმან ბარბაქაძე. 17 ოქტომბერსვე, კონფერენციის დასრულების შემდეგ, სულეიმან ბარბაქაძე თბილისში მართავს ორგანიზაციის მე-5 ყრილობას. როგორც ჩანს, სწორედ ეს კონფერენცია, თავმჯდომარის მიერ გამოხატული პოზიცია და თბილისში გამართული ყრილობა გახდა მისი თანამდებობიდან გადაყენების უმთავრესი მიზეზი.

17 ოქტომბრიდან მალევე, 3 ნოემბერს, მოსკოვში გაიმართა „ვათანის„ წარმომადგენელთა სასწრაფო შეკრება. სწორედ ამ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ანულირებული უნდა ყოფილიყო თბილისში ჩატარებული ყრილობა, ახალი, ისევ მე-5-დ წოდებული ყრილობა კი უნდა გამართულიყო მოსკოვში. ასეც მოხდა. „ვათანის“ საბჭოს წევრების 3 ნოემბრის სხდომა დასრულდა შემდეგი გადაწყვეტილებით:

*„1. 2007 წლის 17 ოქტომბერს საქართველოში ჩატარებული ყრილობა ჩაითვალოს არაკანონიერად.*

*2. 2007 წლის 8 დეკემბერს ქალაქ მოსკოვში გაიმართოს „ვათანის„ ყრილობა“.*

ამისათვის შეირჩა საორგანიზაციო კომიტეტი და საბჭოს წევრებს დაევალათ, სხდომები დელეგატების ასარჩევად რეგიონებში ჩაეტარებინათ.

მოსკოვის ყრილობაზე განვითარებულ მოვლენებზე დეტალურ ინფორმაციას იძლევა სხდომის ოქმი (http://tag.fuen.org/ru/chleny/chlen), რომელიც იუწყება, რომ ყრილობაში მონაწილეობდა 75 ადამიანი, მათ შორის 38 დელეგატი. სხდომას თავმჯდომარეობდა ტ. ასლანოვი, მდივანი იყო ნ. გუჟდაევი. საინტერესოა ერთი ფაქტიც: ყრილობას, რომელიც გაიმართა მოსკოვში, მხოლოდ ორი ტელევიზია აშუქებდა, ორივე იყო ქართული, ერთი _ ტელეკომპანია „რუსთავი 2„ და მეორე _ ტელეკომპანია „მზე„, რომელიც, ვფიქრობთ, ოქმში შეცდომით მოხსენიებულია, როგორც „მზი„. პრესიდან მხოლოდ გაზეთ "Vatan Yolunda"-ს კორესპონდენტია დასახელებული.

ყრილობის დღის წესრიგი სულ 4 პუნქტისაგან შედგებოდა:

*„1. საზოგადოება „ვათანის“ მიერ 2003 წლის 25 ოქტომბერიდან 2007 წლის 25 ოქტომბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში. მომხსენებელი უნდა ყოფილიყო საზოგადოების თავმჯდომარე სულეიმან ბარბაქაძე;*

*2. 2007 წლის 3 ნოემბრის საბჭოს სხდომის შესახებ ინფორმაცია, მომხსენებელი ი. კადიროვი;*

*3. საქართველოს მიერ რეპატრიაციის შესახებ კანონის მიღებასთან დაკავშირებით რეგიონებში მცხოვრები თურქი მესხებისა და საზოგადოება „ვათანის“ სიტუაცია;*

*4. საზოგადოების საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევნები“.*

სულეიმან ბარბაქაძე ყრილობას არ ესწრებოდა. როგორც ჩანს, მისთვის კარგად იყო ცნობილი სხდომის მონაწილეთა წინასწარი განწყობა, თუ რით იყვნენ უკმაყოფილო „ვათანის“ საზოგადოების წევრები, გასაგები გახდა ბარბაქაძის პირველი მოადგილის იაშარ კადიროვის გამოსვლიდან. სხდომის თავმჯდომარემ მას სთხოვა, მოეხსენებინა თბილისში ჩატარებული ყრილობის შესახებ ინფორმაცია. ი. კადიროვის გამოსვლის პირველივე სიტყვებიდან გამოიკვეთა, რომ საზოგადოების შიგნით სერიოზული განხეთქილება არსებობდა: *„მადლობა თქვენ,* **-** მიმართა მან დელეგატებს, - *რომ არ დაუჯერეთ მათ, ვისაც სურდა დღევანდელი ღონისძიების ბოიკოტირება და ჩაშლა. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ თქვენთვის სულერთი არ არის ჩვენი ხალხის ბედი და ჩვენი საზოგადოების შიგნით არსებული სიტუაცია„.* იაშარ კადიროვმა მთელი პასუხისმგებლობა, როგორც თვითონ უწოდა, _ „შექმნილი საგანგებო მდგომარეობის“ გამო, დააკისრა სულეიმან ბარბაქაძეს და მისი ქმედება შეაფასა, როგორც არასამართლებრივი და გაუაზრებელი.

რა ქმედებებზე იყო საუბარი და რა ბრალი ედებოდა საზოგადოება „ვათანის„ ჯერ კიდევ მოქმედ თავმჯდომარეს? საქმე ეხებოდა 2007 წლის 17 ოქტომბერს ქალაქ თბილისში საქართველოს რეპატრიაციის შესახებ კანონის განხილვასთან დაკავშირებულ ზემოთ უკვე ნახსენებ კონფერენციას, რომელსაც ესწრებოდნენ დეპორტირებულები სხვადასხვა ქვეყნიდან. ამაში არაფერი უნდა ყოფილიყო უკანონო.

ს. ბარბაქაძისადმი უკმაყოფილების მიზეზად სახელდებოდა ის, რაც კადიროვის ინტერპრეტაციით, ამ შეხვედრის შემდეგ მოხდა: *„ბარბაქაძემ მოულოდნელად სთხოვა თავის თანამემამულეებს დარჩენა და გამოაცხადა, რომ აუცილებელი იყო დაუყოვნებლივ ჩატარებულიყო საზოგადოება „ვათანის“ ყრილობა. კონფერენციის მონაწილეები იყვნენ გაურკვევლობაში. უხსნიდნენ, რომ ყრილობის ჩატარებამდე, წესდების მიხედვით, საჭირო იყო წინასწარი ღონისძიებების გატარება, საბჭოს წევრების სხდომა, ასევე რეგიონებში შეკრება, დელეგატების არჩევა„.* როგორც ჩანს, ს. ბარბაქაძემ არ გაითვალისწინა „ვათანის“ წევრთა ერთი ნაწილის უკმაყოფილება. კადიროვის განცხადებით, თურქეთის რესპუბლიკიდან ჩამოსულმა ახალციხელმა თურქმა (კადიროვის ტერმინი) პროტესტის ნიშნად დატოვა დარბაზი. თბილისში შეხვედრა გადაზრდილა საზოგადოება „ვათანის“ მე-5 ყრილობად, რომლის უკანონოდ გამოცხადების მიზეზად კადიროვი ასახელებს მონაწილეთა ძალიან მცირე რაოდენობას.

მოსკოვში გამართული ყრილობის ცენტრალურ საკითხად იქცა საქართველოში მიღებული კანონი, რომლის მიმართ საზოგადოება „ვათანის„ იქ მყოფმა წარმომადგენლებმა დააფიქსირეს ცალსახად ნეგატიური დამოკიდებულება. რა არგუმენტები მოჰყავთ გამომსვლელებს, რა მიაჩნიათ მიუღებლად და რა მოთხოვნები აქვთ ქართული სახელმწიფოს მიმართ, ამ საკითხებს ჩვენ შემდეგ წერილში შევეხებით. ამჯერად დავუბრუნდებით სულეიმან ბარბაქაძის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს. ყრილობაზე ამ თვალსაზრისით ყველაზე კრიტიკული, ბარბაქაძის პირველი მოადგილე იაშარ კადიროვია. მთავარი მოთხოვნა „ვათანის“ ხელმძღვანელის მიმართ იყო ის, რომ ბარბაქაძეს კანონთან მიმართებით უნდა გამოეხატა ცალსახად უარყოფითი დამოკიდებულება, თუმცა ასე არ მოიქცა. საკმაოდ რადიკალურია კადიროვი, როდესაც ამბობს: *„ეს კი მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ბარბაქაძის მოსვლასთან ერთად ჩვენმა ორგანიზაციამ არსებობა შეწყვიტა. მას (ბარბაქაძეს – მ. კ.) მოქმედების სრული თავისუფლება ჰქონდა. ის მოქმედებდა ხალხის სახელით მხოლობით რიცხვში და ეთანხმებოდა ქართული მხარის მიერ წამოყენებულ ყველა მოთხოვნას“.* კადიროვი ახსენებს სხდომის წევრებს, რომ ოთხი წლის განმავლობაში არ გამართულა არცერთი შეხვედრა და სვამს რიტორიკულ კითხვას: *„რას დაუპირისპირებდა ქართულ სახელმწიფოს დაშლის პირას მდგარი საზოგადოება„.*

გაუგებარია, რატომ იყო აუცილებელი ქართულ სახელმწიფოსთან დაპირისპირება. თუ კანონში მართლაც ეწერა საკამათო მუხლები, რატომ არ შეიძლებოდა ის დიალოგის საშუალებით გადაწყვეტილიყო და რა შედეგის მომტანი იქნებოდა ბარბაქაძის რადიკალიზმი.

თავმჯდომარის კრიტიკაში მისი პირველი მოადგილე მარტო არ ყოფილა. ყრილობის სხვა მონაწილეებმაც არაერთხელ დააფიქსირეს თავიანთი უკმაყოფილება.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იმ პერიოდის ქართულმა მედიასაშუალებებმა კანონთან მიმართებით გააშუქეს სულეიმან ბარბაქაძის საკმაოდ კრიტიკული შენიშვ-

გაგრძელება მე-6 გვ. ▶

სტამბოლიდან, სულ ახალახან, სიმონ ზაზაძის გარდაცვალების შემზარავი ცნობა მივიღეთ... ქართველი საზოგადოება მას იცნობდა, როგორც ღირსეულ სტამბოლელ ქართველს, ქველმოქმედსა და საზოგადო მოღვაწეს. ამჯერად საზოგადოებას მინდა მივაწოდო ის მასალა, რაც ნაკლებადაა ცნობილი და, ვფიქრობ, კიდევ უფრო მოჰფენს ნათელს მის ცხოვრება-მოღვაწეობას. უპირველესად, მხედველობაში მაქვს ცხრა წლის ასაკში თავისი მასწავლებლის შალვა ვარდიძისადმი მიწერილი წერილი:


14/V/1941.

თავშივე ვიტყვი, რომ ბატონი სიმონ ზაზაძე, ამ წერილის ავტორი, სტამბოლში დაიბადა, იქვე გაიზარდა და მოღვაწეობდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანეში მოღვაწეთა შორის აღზრდილი იყო სულითა და გულით ქართველი. ამაყობდა თავისი ქართველობით და ცდილობდა ეკეთებინა ღირსეული ქართული საქმე სტამბოლშიც და საქართველოშიც. სავანის „უკანასკნელი მოჰიკანის“ პავლე ანდღულაძისა და მამისაგან მემკვიდრეობით მიიღო ქართული სავანის ფონდ-არქივზე მზრუნველობის პასუხისმგებლობა. რასაც სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ასრულებდა, რაც მის მოვლა-პატრონობასა და დაცვაში გამოიხატებოდა. დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად, რუდუნებით უფრთხილდებოდა თითოეულ ხელნაწერსა და ნივთს — თავის საქართველოს. ბოლომდე იმ სულისკვეთებით იცხოვრა, რომელიც სრულიად პატარას ჰქონდა.

ბედნიერება მქონდა ახლოს გამეცნო ბატონი სიმონი და საკუთარი თვალით მენახა მისი მზრუნველობით დაცული ქართული სავანის მდიდარი მემკვიდრეობა: უნიკალური ხელნაწერები თუ სხვადასხვა სახის ნივთები.ასევე ფერიქოის ქართული ეკლესია. 2009 წლის ზაფხულში, პროფესორ შუშანა ფუტკარაძის ხელმძღვანელობით, ჩემი და ქალბატონ ციური ლაფაჩის მონაწილეობით მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია (სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის რექტორის ქალბატონ თინა გელაშვილისა და ახალციხის რაიონის გამგებლის დავით ათუნაშვილის ფინანსური დახმარებით მოხდა ჩემი სტამბოლში მივლინება). სავანეში გატარებულმა ორმა კვირამ ჩემზე ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მისი ფურცელზე გადმოტანა აქამდე ვერ შევძელი, მაგრამ ბატონ სიმონის გარდაცვალების ცნობამ ჩემში თითოეული წუთი თუ განცდა გააცოცხლა. არ დამიტოვა იმის უფლება, რომ ჩემი განცდები მხოლოდ ჩემთვის შემენახა და არ გამეზიარებინა მკითხველისათვის. გამიჩნდა იმის სურვილი, რომ ზოგი რამ მოვუთხრო ერთ დიდ ქართველზე. სამწუხაროდ, ცხოვრებამ ბევრი ღირებულიც გადააფასა,მაგრამ, საბედნიეროდ, დღეს ისევ შემორჩნენ ადამიანები, რომელთათვისაც მამულიშვილობა, ეროვნულობა, სამშობლოს სიყვარული, ისევ მთავარ ღირებულებად დარჩა. ასეთი ადამიანი იყო ბატონი სიმონი. ამაში ყველა დამეთანხმება, ვინც კი მას, თუნდაც ერთხელ მაინც შეხვედრია, ან უნახავს სტამბოლის სავანის არქივი.

ბატონ სიმონს პირველად მის სამუშაო კაბინეტში შევხვდი. კაბინეტში შესვლისთანავე ჩემი ყურადღება მიიქცია პავლე ზაზაძის — მამამისისა და ათათურქის დიდმა პორტრეტებმა, რომელიც მისი სავარძლის უკან, კედელზე იყო განთავსებული. მამამისი მისი კერპი იყო...

თბილად მიგვიღო. დაინტერესდა ჩვენი საქმიანობით. ძალზედ გაიხარა და ისიამოვნა სავანის აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკისთვის ჩვენი ჩატანილი წიგნებით. მასაც ვაჩუქეთ უნივერსიტეტისა და მუზეუმის მიერ გამოცემული წიგნები. ქალბატონმა შუშანა ფუტკარაძემ ჩემს წიგნზე — „ხიზაბავრაზე“ მიანიშნა, რადგან წიგნში შეტანილი მქონდა მასალები და ფოტოსურათები სავანეში მოღვაწე ხიზაბავრელების: ალფონს ხითარიშვილის, პიო ბალიძისა და დომინიკე მულაშაშვილის შესახებ. ასევე, მცირე ცნობები, თვითონ სავანის შესახებაც. ისიამოვნა. იქვე მაგიდაზე დატოვა და თქვა: ამ წიგნს დღესვე წავიღებ სახლშიო.

ჩვენი სტუმრობით ამაყობდა. ჩვენთან შესახვედრად სავანის სკოლაში, სტამბოლში მცხოვრები ქართველები მოიწვია. სიამაყით ამბობდა — საქართველოდან პროფესორები მყავს სტუმრადო. ერთი ასეთი მომენტიც იყო. სტუმრად მიგვიწვია, გულუხვად გაგვიმასპინძლდა. სადილობისას, ჩემდაუნებურად, შევამჩნიე, რომ მხოლოდ ჩვენს მაგიდას ჰქონდა გადაფარებული თეთრი საფარი. სხვა მაგიდები გადასაფარებლების გარეშე იყო. მან ჩემს სახეზე ამოიკითხა ყოველივე და მიპასუხა: მაგიდაზე მე გადავაფარებინე თეთრი სუფრა, ვუთხარი: საქართველოდან ძვირფასი სტუმრები მყავს — სამი პროფესორი და შესაფერისად უნდა დავხვდეთო.

# სიმონ ზაზაძე - დიდი მამულიშვილი, რომელიც დააკლდა ქართველ ერს!

ბატონმა სიმონმა ყველანაირად


ნატო ყრუაშვილი, ციური ლაფაჩი, შუშანა ფუტკარაძე და სიმონ ზაზაძე

შეგვიწყო ხელი, რომ რაც შეიძლება მეტი მასალა წამოგვეღო იქიდან. სწამდა, რომ იმ მასალებს სინათლეზე გამოვიტანდით, ქართველ მკითხველს გავაცნობდით სავანეში, უცხოეთის ცის ქვეშ მოღვაწეთა ცხოვრების შესახებ. უფლის ნებით, ასეც მოხდა... ამასთანავე, ბატონ სიმონს უნდოდა, რომ ისევ მივბრუნებულიყავით და კვლავ გვემუშავა სავანის არქივში. ეს სურვილი წამოსვლისას გაგვიმჟღავნა. გამომგზავრებისას თანამშრომელს რაღაცა ანიშნა. ვერ მივხვდი, მაგრამ მალე ყველაფერი ცხადი გახდა: თანამშრომელმა თასით წყალი გამოიტანა და ჩვენს გზაზე გადაასხა. როცა ვიკითხე, ეს რას ნიშნავს-მეთქი, ბატონმა სიმონმა თვითონვე მიპასუხა: გვინდა, რომ ისევ მალე დაბრუნდეთ და ჩვენთან კვლავ იმუშაოთო. ეს მისი მხრიდან უდიდესი პატივისცემის გამოხატვა იყო... სურდა, რომ რაც შეიძლება ბევრი მკლევარი ჩასულიყო საქართველოდან, რომლებიც იმუშავებდნენ სავანის მასალებზე.

ჩვენი სტუმრობის დროისათვის, ბატონ სიმონს სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტისთვის უკვე გადმორიცხული ჰქონდა დიდი თანხა. რომლითაც უნივერსიტეტის მეორე კორპუსში სააქტო დარბაზი მომზადდა. ქალბატონმა თინა გელაშვილმა — უნივერსიტეტის რექტორმა, იზრუნა და შესაბამისი ვიდეო და ფოტომასალაც გაგვატანა. ბატონმა სიმონმა როცა ნახა, ძალიან გაუხარდა. მისი სურვილი იყო, რომ დარბაზი მამამისის სახელობის ყოფილიყო. ჩვენი გამომგზავრებისას ბატონ სიმონს ვუთხარი, რომ მამამისის სახელობის დარბაზში სურათის განთავსება გვინდოდა და ვთხოვე, უბრალოდ, მიეთითებინა, რომელ სურათს ისურვებდა. ერთი წუთით გაირინდა და, ჩემდა გასაოცრად, მითხრა: აი, ამ სურათს გაგატანთო. მე უხერხულობა ვიგრძენი, ვიფიქრე, სწორად ვერ გადავეცი ჩემი სათქმელი-მეთქი. ეს შემამჩნია და გაიმეორა: — მამაჩემი მთელი ცხოვრება სამშობლოს მონახულებას ნატრობდა. ვერ ეღირსა საქართველოში დაბრუნებას, ვეღარ მოასწრო მისი მონახულება. ამიტომ მინდა, რომ სწორედ ეს სურათი წაიღოთო. ეს ის სურათი იყო, რომელიც, მთელი ცხოვრების განმავლობაში, თავის კაბინეტში ჰქონდა ჩამოკიდებული და ეთაყვანებოდა. ენითაუწერელი გრძნობა დაგვეუფლა იქ მყოფთ, ყველას თვალზე ცრემლი მოგვადგა... პავლე ზაზაძის სურათმა რაღაც განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ჩემს მეხსიერებაში... სურათი საკმაოდ მოზრდილი იყო, თვითმფრინავის საბარგულში ვერ ავიტანეთ იმის შიშით, რომ არ გამტყდარიყო. სალონში მოვათავსეთ. მგზავრები დაინტერესდნენ, რა მოგვქონდა. ქალბატონმა შუშანა ფუტკარაძემ აუხსნა, რომ სტამბოლის ქართულ სავანეში აღზრდილი და დიდი საზოგადო მოღვაწის პავლე ზაზაძის სურათი იყო. მოუთხრო მის შესახებ. კერძოდ, ის, რომ ცამეტი წლის ყმაწვილი ჩავიდა სავანეში, იქ ისწავლა, იქვე მოღვაწეობდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი, როცა საზღვარი ჩაიკეტა, ვეღარ შესძლო სამშობლოში დაბრუნება. მთელი სიცოცხლე ოცნებობდა სამშობლოში დაბრუნებაზე, მშობლების, ახლობლების და მშობლიური სოფლის მონახულებაზე. მის მეხსიერებას განსაკუთრებით დედის სახე და სოფლის წყარო შემორჩა. გასული საუკუნის 90-იან წლებში შესაძლებლობა მიეცა, სამშობლოში ჩამოსულიყო. როცა ყველა საბუთი მოამზადა და დღე-დღეზე ელოდებოდა გამომგზავრებას, სიზმარი ნახა: მშობლიურ სოფელში იყო, წყაროსთან მისულა და წყლის დალევა სურდა, მაგრამ წყარო დამშრალიყო. დილით ბატონმა პავლემ ოჯახის წევრებს გულისტკივილით უთხრა, რომ ის ველარ მოესწრებოდა სამშობლოს მონახულებას. სამწუხაროდ, სიზმარი აუხდა. იგი სამშობლოში გამომგზავრებამდე, რამდენიმე დღით ადრე, გარდაიცვალა. ეს ისტორია თვითმფრინავის მგზავრებმა გულგრილად ვერ მოისმინეს. ზოგმა ჩუმად მოიწმინდა ცრემლი, ზოგი კი მოურიდებლად ატირდა. როცა ბათუმში, აეროპორტში ჩამოვფრინდით და ტრაპზე ჩამოვდიოდით, ბატონ პავლეს სურათით, ჩემდა უნებურად, ქართული ფილმი — „ფესვები“ გამახსენდა და კიდევ ერთხელ აგვიცრემლდა თვალები. მგზავრები გაკვირვებულები გვიყურებდნენ...... ბატონ პავლეს სურათმა — ბატონ სიმონის ყველაზე ძვირფასმა ნივთმა, სამუდამო ადგილი დაიდო ჩვენი უნივერსიტეტის მეორე კორპუსში, თავისივე სახელობის სააქტო დარბაზში.

ბატონი სიმონი სტამბოლის ქართულ სავანეში მოღვაწეთა წრეში აღიზარდა. იმ დიდი ქართველების გვერდით, რომლებიც


პავლე, სიმონ და პოლ (პავლე) ზაზაძეები

მთელი სიცოცხლის განმავლობაში უცხოეთის ცის ქვეშ უსახელოდ და უანგაროდ იღწვოდნენ სამშობლოსათვის. სავანის უმთავრესი მიზანი თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის ქართველობის შენარჩუნება იყო. სავანეში მოღვაწენი ყოველთვის ცდილობნენ ხმა მიეწვდინათ სამშობლოში. ეს ის სავანე იყო, რომელმაც 1921 წელს შეიფარა და უმასპინძლა საქართველოდან გაძევებულ ეროვნულ მთავრობას. ასევე, თავის დროზე, შეიფარეს ათენიდან გამოძევებული ქართველი მართლმადიდებელი ბერებიც... წლების განმავლობაში სავანესთან და იქ მოღვაწე პირებთან ურთიერთობა შეუძლებელი იყო. ამის შემდგომ პრობლემის წინაშე პირისპირ დარჩა მხოლოდ და მხოლოდ სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანე, რისი გადაჭრაც მის ძალებს აღემატებოდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სავანე თავისი საუკუნოვანი არსებობის მანძილზე (1859-1979წ.წ.) სხვა-

დასხვა ღონისძიებით ცდილობდა, რომ ახლო ურთიერთობა ჰქონოდა თურქეთში ბედუკუღმართობით გადასახლებულ ქართველებთან. საქართველოს ხელისუფლება კი ყოველთვის ინერტიული იყო როგორც სავანის, ისე სტამბოლში მცხოვრები ქართველების მიმართ. ეს კარგად ჩანს სავანის წინამძღვრის პიო ბალიძის მიერ ჯერ კიდევ 1949 წელს საქართველოს ხელისუფლებისადმი გაგზავნილ წერილში: „ჩვენ ვართ განწირულნი ერისათვის და სამშობლოსათვის. ნიკოლოზმა სახლის კარი გადგვიზირზა, მენშევიკებმა ბამბით ყურები დაიცვეს, ნუთუ საბჭოთა მთავრობაც დაგვივიწყებს!.... გაბედულათ მოვითხოვ იმ უფლების აღდგენას და პატრონობას, რომელიც მეკუთვნის წესიერათ. კონსტანტინოპოლის ქართული მონასტერი იყო, არის და იქნება ქართული სულის მატარებელი, თავშესაყარი ყველა ლტოლვილი და გაჭირვებული ქართველისა, მიუხედავად მისი რწმენისა და პოლიტიკური შეხედულებისა. იგი ფხიზელი დამცველი და დარაჯია ქართული ინტერესებისა. სასურველი იქნება ღირსეულათ შეფასდეს მისი ღვაწლი და ეს პატარა საქართველო უცხოეთში დაცული და შენახული იქმნეს“.. დიახ, პეტრე ხარისჭირაშვილმა სტამბოლის ფერიქოის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის სახით შექმნა ქართული კულტურის, მეცნიერებისა და ქრისტიანული ეკლესიის მძლავრი კერა. დიახ, „იმ პატარა საქართველოს“ ერთადერთი დამცველები კი, წლების განმავლობაში, იყვნენ სავანის წიაღშივე აღზრდილნი, მამა–შვილი პავლე და სიმონ ზაზაძეები. სამწუხაროდ, დღემდე საქართველოს ვერცერთმა ხელისუფლებამ ვერ შეაფასა ვერც სტამბოლის ქართული სავანის მნიშვნელობა და ვერც ზაზაძეთა ღვაწლი. მათი აღიარება და შეფასება მხოლოდ მეცნიერთა მიერ მოხდა.

ქართველი მეცნიერების მუშაობა და, საერთოდ, თანამშრომლობა განახლდა გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს. კერძოდ, პროფესორი შუშანა ფუტკარაძე იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც დაიწყო მუშაობა ქართველ მამათა მიერ დაარსებულ ბიბლიოთეკაში არსებულ მასალებზე და დღემდე სწორედ იგი ხელმძღვანელობს იმ მასალების სისტემატიზაციისა და კატალოგიზაციის საქმეს, რათა მას სრულყოფილი სახე მიეცეს. დღეისათვის ბიბლიოთეკაში გარჩეულია და აღწერილია 90.000 ერთეული და დასამუშავებელია კიდევ რამდენიმე ათასი ერთეული. 90-იან წლებში სტამბოლის მამათა სავანის ქართული ბიბლიოთეკა ასევე მოინახულა პროფესორმა გურამ შარაძემ. მან აღნიშნულის შესახებ გარკვეული ინფორმაცია შეიტანა კიდეც ნაშრომის — „უცხოეთის ცის ქვეშ“ — მესამე წიგნში. ავტორს მითითებული აქვს ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერების ვრცელი სიაც. ქართველი მეცნიერების პირველი მასპინძლები იყვნენ ზაზაძეების ოჯახის ღირსეული წარმომადგენლები — პავლე და სიმონ ზაზაძეები. ის ადამიანები, რომლებმაც, თავის დროზე, დაიცვეს და დღემდე შეინახეს ქართული სიმდიდრე.

ბატონ სიმონის ერთადერთი საზრუნავი ის იყო, ამ ქვეყნიდან ისე არ წასულიყო, რომ ვერ მოესწრო სავანის მამათა მიერ ფურცელ-ფურცელ შეკრებილი და შექმნილი უზარმაზარი და უმდიდრესი ფონდ-არქივის დალაგება და მისი სისტემაში მოყვანა. უფალმა შეისმინა მისი ვედრება. რა თქმა უნდა, მისი უდიდესი ძალისხმევით, პროფესორებმა შუშანა ფუტკარაძემ და როინ მალაყმაძემ, მეცნიერთა ჯგუფთან ერთად, გასულ წელს დაიწყეს მასალების დახარისხება – კატალოგიზაცია. ეს ყველაფერი არ არის. ქართულმა სახელმწიფომ თავისი ყურადღება და მზრუნველობა უნდა გამოხატოს მის დასაცავად და შესანარჩუნებლად. იმედს ვიტოვებთ, რომ ზაზაძეების ოჯახის ღირსეული მემკვიდრე პოლი, მამა-პაპათა საქმეს ღირსეულად გააგრძელებს და მოვლა-პატრონობას არ მოაკლებს „იმ პატარა საქართველოს“.

და კიდევ, სტამბოლში ყოფნის პერიოდში ბატონმა სიმონმა მოგვატარა და სათითაოდ გვიჩვენა სტამბოლის ერთ-ერთ სასაფლაოზე დაკრძალული ქართველ მამათა და დედათა სავანეში მოღვაწეთა საფლავები. მათ შორის, თავისი მშობლების საფლავებიც. „მეც მათ გვერით დავიდებ სამუდამო ბინასო“, — გვითხრა. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ხომ იქ განსვენებული ყველა ქართველის სასაფლაოს მომვლელიც თვითონ იყო...

ერთ პატარა საგაზეთო წერილში შეუძლებელია ყველაფერი გაიხსენო და თქვა ისეთი დიდი ადამიანის შესახებ, როგორიც ბატონი სიმონ ზაზაძე იყო. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მისი გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია, საერთოდ, ქართველი ერისათვის, სტამბოლელი ქართველებისათვის კი დიდი ეპოქის დასასრული...

უფალმა ნათელში ამყოფოს ბატონი სიმონის სული.


ექსპედიციის წევრები და სტამბოლელი ქართველები

ნატო ყრუაშვილი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი

# მაჰმადიან მესხთა ჭრობლემებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები

◀ დასაწყისი გვ. 5

ნები. როგორც პრესით, ისე ტელევიზიითა და რადიოთი „ვათანის“ თავმჯდომარეს დასმული აქვს შემჭიდროებული ვადების, საქართველოში დასახლების ადგილის, დოკუმენტაციის სიმრავლის, ენის ბარიერის, ერთი წლით განცხადებების შეტანის გადავადებისა თუ ბევრი სხვა პრობლემა. ის, უბრალოდ, მოვლენებს რეალურად აღიქვამს და ამბობს: **„მაგრამ ცუდია თუ კარგია, სხვა კანონი არ არსებობს და თანახმა ვართ, ამ კანონით ვიმუშაოთო“** (*გაზეთი „მთელი კვირა“, 03. 08. 2007*). ნაკლებად სავარაუდოა, ამის შესახებ ყრილობის მონაწილეებს არ სცოდნოდათ. გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: ყველა ის პრობლემა, რომელსაც ახალ კანონთან მიმართებით მოსკოვის ყრილობის მონაწილეები მწვავედ სვამდნენ, სულეიმან ბარბაქაძეს არაერთგზის ჰქონდა დაფიქსირებული საკმაოდ მნიშვნელოვან შეხვედრებზე, როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

მოსკოვში გამართულ მე-5 ყრილობაზე საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ვათანის“ თავმჯდომარეობის სამი კანდიდატურა დააყენეს, სამივე დაასახელა ა. ბეზგინოვმა: ი. კადიროვი, მ. ფახრატოვი და ტ. ასლანოვი. ბეზგინოვმა დასძინა, სამართლიანობისთვის ყრილობაზე ბარბაქაძე რომ ყოფილიყო, მის კანდიდატურასაც აუცილებლად დავასახელებდითო. თითოეულმა კანდიდატურამ მოკლე ბიოგრაფია წარმოადგინა და გაიმართა კენჭისყრა. ტაშტან ასლანოვმა 6 ხმით აჯობა კადიროვს და გახდა „ვათანის“ მესამე თავმჯდომარე.

ამ ყრილობამდე ხუთი თვით ადრე რადიო „თავისუფლებისადმი“ მიცემულ ინტერვიუში (www.radiotavisupleba.ge/a/1552988.html) სულეიმან ბარბაქაძე ამბობს: ***„ერთი რამ ვიცი: ადამიანს შეუძლია იცხოვროს ნებისმიერ ადგილას, იმუშაოს და გამდიდრდეს კიდეც, მაგრამ სამშობლოს გარეშე მაინც არარაობად დარჩება. სამაგალითოდ, თუნდაც ჩვენი ბედი გამოდგება: ჩემი თანამემამულეები სამართლიანი შრომით შოულობენ ლუკმა პურს და ირჩენენ თავს, მაგრამ ამის მიუხედავად უამრავი დამცირებისა და ტანჯვის ატანა უწევთ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მუდმივად სტუმრის როლში ვერ ვიქნებით, რომ დროულად უნდა დავბრუნდეთ შინ. ამიტომ ჩემი სამშობლო ჩემთვის ყველაფერია. სამშობლოს გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია“.***

ამ სიტყვების მთქმელი, ალბათ, ვერც იმას წარმოიდგენდა, რომ რამდენიმე თვეში ორგანიზაცია, რომლის სახელითაც საუბრობდა, მას სწორედ სამშობლოს წინაშე **„პოზიციების უსიტყვო დათმობას“** არ აპატიებდა.

2007 წლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, საბედნიეროდ, ზოგიერთი საკითხი უკეთესობისკენაც. უცვლელი რჩება ერთი რამ _ შინ დასაბრუნებელი უმოკლესი გზა მხოლოდ ქართულ სახელმწიფოსთან, ქართველ ხალხთან უშუალო, ღია დიალოგზე გადის.

მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე,
*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში*

## ფოლკლორი

# ბედისწერა

იყო ერთი ხელმწიფე. დიდი ხანი შვილი არ ჰყავდა. წაიყვანა ხელმწიფემ თავისი ცოლი მკითხავთან სამკურნალოდ, რომ შვილი შესძენოდა. მკითხავმა უთხრა: მე ისეთ წამალს მოგცემ, რომ შვილი გეყოლებაო, მაგრამ 16 წლისა მოგიკვდებაო.

ოღონდ შვილი მეყოლოს და ისე გავზრდი, ისეთ პირობებში ვამყოფებ, რატომ უნდა მომიკვდესო. დაეთანხმა მკითხავს მეფე. მისცა მკითხავმა ერთი ვაშლი მეფის ცოლს და უთხრა: ამ ვაშლს 16 დღეში შეჭამ და დაფეხმძიმდები, ვაჟიშვილი გეყოლებაო.

მართლაც, დაფეხმძიმდა მეფის ცოლი და შეეძინა ვაჟი.

მეფეს გაახსენდა მკითხავის ნათქვამი, რომ 16 წლის რომ შესრულდებოდა მეფის ვაჟი, იგი მოკვდებოდა. ბევრი იფიქრა მეფემ, რა ეღონა, რომ შვილი გადაერჩინა.

მეფემ, დიდი ფიქრის შემდეგ, შუა ზღვაში ააშენა სასახლე, შვილი იქ გადაიყვანა და მსახურიც მიუჩინა. ყველაფერს მზა საჭმელ-სასმელს აწვდიდა მეფე. სხვა ადამიანის ჭაჭანება იქ არ იყო.

გავიდა წლები. მეფის ვაჟიშვილს უკვე თექვსმეტი წელი უნდა შესრულდებოდა. მსახური ერთგულად ემსახურებოდა მეფის შვილს. ერთ დღესაც, სადილის შემდეგ, მსახურმა ვაშლი გათალა. გათლილი ვაშლის ნაჭერი დანის წვერით მიაწოდა მეფის შვილს. ამ დროს მეფის შვილმა ცხვირი დააცემინა და დანის წვერზე ჩამოეგო. მოკვდა მეფის შვილი. სწორედ ამ დღეს შეუსრულდა მას 16 წელი. მეფემ და მისმა ცოლმა გადაწყვიტეს შვილი მოენახულებინათ, — უკვე 16 წელი შეუსრულდაო.

მივიდნენ შუა ზღვაში აშენებულ სასახლეში და რას ხედავენ: მსახური ტირის, მაგრამ რას ტირის, იქაურობას იკლებს.

მსახური მეფეს ეხვეწება, — მეც მომკალით, რომ თქვენ შვილს ვერ მივხედე, კარგადო და უამბო ყველაფერი, თუ როგორ მოხდა ეს ამბავი.

მეფემ უთხრა: — შენ არაფერ შუაში ხარ, — სადაც არ უნდა წამეყვანა ჩემი შვილი, არაფერი ეშველებოდა, — ბედისწერამ თავისი ქნაო!

*მთქმელი* დავით ზედგინიძე, *70 წლის, ჩაიწერა* სოფიო ზედგინიძემ *2016 წელს სოფელ ჭობარეთში, ასპინძის რაიონი*

# ავთანდილ ბერიძე

## შენი ქართველობა მტკივა



ორჰან ბერიძეს

საფლავში რომ მამას ჩასძახოდი,
ქართულად რომ სიტყვა უთხარ, ძმაო,
შენი ქართველობა მტკივა,
ჩემი დაკარგული ტაო.

თითქოს ახლოსა ხართ ახლა,—
თითქოს დაგვიმოკლდა გზები,
მაინც თქვენზე ფიქრი მტანჯავს,—
ჩემი „თურქეთელი“ ძმების.

თქვენი ქართველობა მიყვარს,
მაგეთ დაძახილი „ნენე“,
როცა ქართველურად უქცევთ,—
როცა ქართველურად მღერენ.

ახლაც სისხლი მოსდის ტაოს,
კლარჯეთს არ აშრება ცრემლი,
მე ხომ შენითა ვარ ასე,
შენც ხომ სევდა გტანჯავს ჩემი.

## ასე იყო და არის

ადამიანი ქვეყნად
რომ გააჩინა ღმერთმა,
ზოგს ტანი მისცა ალვის
ზოგს _ სახე ბაყბაყ დევთა.

ზოგი დაბადა ქალად,
კაბა ჩააცვა მდედრის,
ადგილი მიუჩინა _
პირმშოს აღმზრდელი დედის.

ზოგს კაცად ყოფნის ხვედრი
მოჰმადლა უშურველად,
დიდი პატივი ერგო
თავად მდედრების მცველად.

ქალს, კლდემამოსით მავალს,
ძალა არგუნა ქარის,
ათას ფერებში ფერად
თაიგულად ჩანს ქალი.



თუნდ შეუცვალო სახე
არა იყოს რა რაიც,
ეკალ-ბარდებში რგული,
„ქალი ქალია მაინც“.

კაცი რომ კაცად შექმნა,
თავზე დახურა ქუდი,
მოვალეობის ნიშნად
ქედზეც დაადო ხუნდი...

რომ კაცად ყოფნა არის
მარადიული ვალი,
ქალისთვის იგი რჩება
მტკიცე, ვით ბასრი ხმალი.

ადამ ევათი ცოცხლობს,_
ღმერთმა უკურთხა როდის...
ვნებააშლილი გრძნობა
ადამ! _ ევათი მოდის!

ასე იყო და არის,
ასე იქნება ოდენ,
ნიავს ნიავი ჰქვია,
ქარები უნდა ქროდენ!

როლანდ თოფჩიშვილი

## შესავალი

*საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებში — სამცხესა და ჯავახეთში — ქართველთა ბევრ კულტურულ და სახელმწიფოებრივ წარმატებას ჩაეყარა საფუძველი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად სამცხე-ჯავახეთი XVI საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთმა საქართველოს ჩამოაშორა და ყოფილი სამცხე-საათაბაგოს სამთავრო იმპერიის შემადგენელ ნაწილად აქცია. ამ დროიდან მოყოლებული სამცხესა და ჯავახეთში არა მხოლოდ სხვაგვარი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა, არამედ ეთნიკური და რელიგიური პროცესებიც სხვაგვარად წარიმართა. დაიწყო ქართველთა დეეთნიზაციის ხანგრძლივი პროცესი და ბევრმა ქართველმა თანდათან რელიგია, ენა და ქართული ეთნიკური ცნობიერებაც დაკარგა. ისტორიის არენაზე XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს კი ახალი იმპერია — რუსეთი გამოჩნდა, რომელმაც ასევე რადიკალურად შეცვალა უძველეს ქართულ მხარეთა ეთნიკური შემადგენლობა. ამ დროს აქედან ქართველი მაჰმადიანები აყარეს და ოსმალეთში გადაასახლეს და აქ სხვა, უცხო ეთნოსები (სომხები, სექტანტი რუსები...) შემოასახლეს. სამცხესა და ჯავახეთში რადიკალურად შეიცვალა ეთნიკური ვითარება.*

*სამცხისა და ჯავახეთის შესახებ ქართულ მეცნიერებაში ბევრი საყურადღებო ნაშრომი არსებობს, მაგრამ საკვლევი კვლავაც ბევრია. წინამდებარე ნაშრომი დასახელებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული//ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების ეთნიკურ ისტორიას ეძღვნება. საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულმა XIX საუკუნის კამერალური აღწერის დავთრებმა და საოჯახო სიებმა საშუალება მოგვცა თვალი გაგვედევნებინა ქართველთა გამაჰმადიანებისა და დეეთნიზაციის პროცესისათვის. აღნიშნული საარქივო მასალებით, XVII-XVIII საუკუნეების ქართული საისტორიო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით დადგინდა, რომ ჯავახეთის ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსახლდა. ჯავახეთის მოსახლეობის მიგრაციის შესახებ წიგნი 2000 წელს დაისტამბა. მას შემდეგ ბევრი ახალი მონაცემი გამოაშკარავდა. ამ მონაცემთა გათვალისწინებით, ჯავახთა მიგრაციის ისტორია წინამდებარე ნაშრომში მეორე ნაწილის სახით იბეჭდება. სამცხე-ჯავახეთის შესახებ ეთნიკური ისტორიის კვლევას წმინდა თეორიულ ღირებულებასთან ერთად პრაქტიკული ღირებულებაც გააჩნია, რადგან ძირძველი ქართული მიწა-წყლის — სამცხისა და ჯავახეთის — შესახებ მავანნი და მავანნი ფალსიფიცირებულ ისტორიას ქმნიან, რათა აღნიშნული ტერიტორიების არაქართული სამყაროსადმი კუთვნილება „დაასაბუთონ“.*

## ნაწილი I

### ეთნიკური და რელიგიური ვითარება გვიანი შუა საუკუნეებისა და მე–19 საუკუნის სამცხეში

საყოველთაოდ ცნობილია, რომ შუა საუკუნეების მსოფლიოში რელიგიურ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეთნიკურობა და რელიგიურობა თითქმის ერთმანეთის იდენტური ცნებები იყო. ეთნოსში ახალი რელიგიის გავრცელება ხშირად ეთნიკური იდენტობის შეცვლას, ასიმილაციას იწვევდა. მსოფლიოს ხალხთა ეთნიკური ისტორიიდან რელიგიის შედეგად ეთნიკურობის შეცვლის არაერთი ფაქტი შეიძლება მოვიყვანოთ. მაგალითად, ჩრდილოეთ აფრიკაში, ეგვიპტელთა და ბერბერთა შორის, არაბთა პროზელიტური საქმიანობის შედეგად, რეგიონის არაბიზაცია შეიძლება დავასახელოთ. სამხრეთ კავკასიაში სომხური მონოფიზიტური ქრისტიანობის გავრცელებას კი ადგილობრივი ალბანელების ერთი ნაწილის გასომხება მოჰყვა (მხედველობაში გვაქვს თანამედროვე ყარაბაღი). ეთნიკურ ისტორიაში როდესაც რელიგიური ფაქტორის როლზე საუბრობენ, ხშირად სამხრეთ სლავების მაგალითი მოჰყავთ: საერთო წარმომავლობის ერთენოვანი სერბები, ხორვატები, ბოსნიელები და ჩერნოგორიელები სხვადასხვა რელიგია-კონფესიებმა სხვადასხვა ხალხებად ჩამოაყალიბა. იგივე მიზეზმა განაპირობა ჰოლანდიელებისა და ფლამანდიელების სხვადასხვა ეთნოსებად ჩამოყალიბება.

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს არაერთ სხვა ქვეყანაში, ეთნიკურობაზე წინ რელიგიურ ფაქტორს აყენებდნენ. ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, მართლმადიდებელი ქრისტიანობის ამღიარებელი ქართველად მიიჩნეოდა. VIII საუკუნის მოღვაწე იოანე საბანისძე თავისი გმირის შესახებ ასეთ სიტყვებს ხმარობს: „აბო ისმაიტელ-ყოფილისა ქართველისაი.“ აბო, რომელიც ეთნიკურად არაბი და სარწმუნოებით მაჰმადიანი იყო, ქრისტიანობისათვის ეწამა. თხზულების ავტორისათვის მაჰმადიანყოფილი არაბი უკვე ქართველია მას შემდეგ, რაც მან მიიღო ქართული აღსარება ქრისტიანობისა. ენობრივ ფაქტორთან ერთად, რელიგიურ ფაქტორზე ამახვილებდა ყურადღებას X საუკუნის მწერალი გიორგი მერჩულეც: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების.“ არაბთა ბატონობის შედეგად, მართალია, ერთიანი სახელმწიფო მოისპო და ქვეყანაში ახალი სამთავროები წარმოიქმნა, მაგრამ ეკლესია ერთიანობას იცავდა, რაც გარანტი იყო ეთნიკური/ეროვნული მთლიანობისა. ქართული საისტორიო წყაროებით, განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში ეთნიკურობასთან მიმართებაში რელიგიური ფაქტორი უკვე გადამწყვეტი აღარ იყო; ამ დროს ქართველებად ეთნიკურად არაქართველები და არამართლმადიდებელი სარწმუნოების მატარებელნიც მიიჩნეოდნენ. მთავარი იყო ესა თუ ის პიროვნება საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქე და ამ სახელმწიფოს სამსახურში ყოფილიყო. „უკვე საკმარისი არ ხდება რელიგიური მომენტი. უფრო მეტია ეროვნული შეგნება.“. (ჯანაშია. შრომები. ტ. VI. თბ. 1988, გვ. 179.).

ვითარება იცვლება გვიანი შუა საუკუნეებიდან. სხვა აღმსარებლობის (ისლამის, კათოლიკობის, მონოფიზიტობის) მატარებელ ეთნიკურ ქართველს ახლა უკვე ქართველად აღარ მიიჩნევდნენ. მაჰმადიანები „თათრებად“ მოიხსენიებოდნენ, მონოფიზიტები — „სომხებად“ და კათოლოკეები — „ფრანგებად“. ამ გარემოებამ, ერთ შემთხვევაში (ადრე და განვითარებულ შუა საუკუნეებში) თუ ეთნიკური ინტეგრაცია განაპირობა, მეორე შემთხვევაში, როდესაც ეთნოსის შემკვრელი საერთო სახელმწიფოებრიობა აღარ არსებობდა და ქვეყნის ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე სხვა სახელმწოფოს შემადგენლობაში მოექცა (გვიან შუა საუკუნეებში), პირიქით, ერთიანი ქართული ეთნიკური ერთობის რღვევა გამოიწვია. მაგალითად. ქვემო ქართლში ადრევე მკვიდრობდნენ მონოფიზიტი ქრისტიანი ქართველები, რომლებიც, ჩვეულებრივ, სომხებად მოიხსენიებოდნენ, თუმცა მათ სომხური არც ტრადიცია გააჩნდათ და არც ენა. რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს, აქ ძირითადად ისლამმა მოიკიდა ფეხი, თუმცა კათოლიკე ქართველებიც („ფრანგები“) საკმაო რაოდენობით იყვნენ. თქმული სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სამცხისა და ჯავახეთის მკვიდრმა ქართველებმა მამა-პაპათა მართლმადიდებლური რწმენა არ შეინარჩუნეს.




სამცხესა და ჯავახეთში მიმდინარე რელიგიური პროცესები პოლიტიკური ფაქტორებით იყო განპირობებული — XVI საუკუნის ბოლოს ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, მათ შორის, სამცხე. ხოლო 1625 წელს სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკურმა ერთეულმა არსებობა შეწყვიტა. საისტორიო წყაროებით აშკარაა, რომ მე-16 საუკუნის ბოლოს სამცხის მოსახლეობა ქართული იყო. ამის დამადასტურებელი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია 1595 წელს ოსმალთა მიერ შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. ამ დავთრით სამცხეში მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით იყო თურქული/მუსლიმი და სომხური მოსახლეობა. გამოანგარიშებულია, რომ მზვარეს ნაჰიეში ეთნიკური ქართველები მთელი მოსახლეობის 90%-ს შეადგენდნენ; ჩრდილის ნაჰიეში ეს მაჩვენებელი 99,49% იყო, უდის ნაჰიეში — 95,%, აწყურის ნაჰიეშიში — 99,55%, ალთუნყალას ნაჰიეში — 97,91%, ასპინძის ნაჰიეში — 97,86%, ჭაჭარაქის ნაჰიეში — 99,18%. მთლიანად ახალციხის ლივაში ქართველები მთელი მოსახლეობის 94,41% იყვნენ (თ. იველაშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნო-სოციალური დახასიათება გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით. — ანალები. 2004. N1, გვ. 48.).

საერთოდ, არც ერთ სხვა ეთნიკურ თუ რელიგიურ ერთობას იმდროინდელ სამცხეში ცალკე სოფელი არ ჰქონია, ისინი მხოლოდ ქართულ მოსახლეობაში იყვნენ გაფანტულნი.

ვიდრე „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარს“ დავიმოწმებთ, XIX საუკუნის რუსულ საარქივო დოკუმენტებს უნდა გადავავლოთ თვალი: ამჯერად 1886 წლის საოჯახო სიებზე შევჩერდებით. აღნიშნულ დროს ახალციხის მაზრაში სამი უბანი არსებობდა: ქობლიანის, აწყურისა და ურაველის. თითოეული უბანი რამდენიმე სასოფლო საზოგადოებას მოიცავდა; ეს სასოფლო საზოგადოებები იყო: (ქობლიანის უბნის) ადიგენის/ადიგიუნის, ვალის, ვარხანის, უდეს; (აწყურის უბნის) აწყურის, იდუმალის, კლდის; (ურავლის უბნის) ვალის (მეორე ნაწილი), იდუმალის, ლეფინის, კლდის, ურაველის. სულ ახალციხის მაზრაში 195 სოფელი შედიოდა. აღწერის ოფიციალური მონაცემებით მთლიანად ახალციხის მაზრაში აღრიცხული იყო 5104 კომლი და 42 675 სული (მამრობითი 22 586, მდედრობითი 20 089). ეთნიკური შემადგენლობა კი ასეთი გახლდათ: ქართველი — 2 515 კომლი, 20 455 სული (მამრობითი 10 843, მდედრობითი 9 612); თათარი — 1942 კომლი, 16 114 სული (მამრობითი 8634, მდედრობითი 7480), სომეხი — 465 კომლი, 4 625 სული (მამრობითი 2334, მდედრობითი 2291); ქურთები — 137 კომლი, 1266 სული (მამრობითი 664, მდერობითი 602), ებრაელი — 17 კომლი, 96 სული; რუსები — 12 ოჯახი, 35 სული; ბერძნები — 10 კომლი, 63 სული; პოლონელი — 6 კომლი. მთლიანად ახალციხის მაზრაში პროცენტული შემადგენლობა ასეთი გახლდათ: რუსი — 0,31%, პოლონელი — 0,24%, ბერძენი — 0,14%, ქურთი — 2,15%, სომეხი — 25,59% (მაზრაში 10,84%, ქალაქ ახალციხეში 64,64%), ებრაელი — 4,48%, ქართველი — 39,45% (მაზრაში 47,93%, ქალაქ ახალციხეში 16,92%), თათარი — 27,42% (მაზრაში 37,76%, ქალაქ ახალციხეში 0,7%) (Свод статистических данных о населении Закавказского края извлеченных из посемейных списков 1886 года. Тиф. 1893.)/

რელიგიურ-კონფესიური შემადგენლობა კი იმავე 1886 წლის საოჯახო სიებით ასეთი იყო: მართლმადიდებელი ქრისტიანი — 4004 სული, მაჰმადიანი სუნიტი — 31 754 სული, „რომაელი კათოლიკე“ — 22 სული, „სომხურ-კათოლიკური სარწმუნოების“ — 3948 სული, სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების — 2851 სული, იუდეველი — 96 სული. ამ მონაცემებში შეტანილი არაა ქალაქ ახალციხის სტატისტიკური მონაცემები. ქალაქში ასეთი მდგომარეობა გვქონდა: 16 116 სული. რუსების რაოდენობა 146 სული იყო, პოლონელებისა — 110 სული, ბერძნებისა — 19 სული, სომხებისა — 10 417 სული, ებრაელებისა — 53 სული, ქართველებისა — 51 სული, თათრებისა — 10 სული. რელიგიურ-კონფესიური შემადგენლობა კი ასეთი გახლდათ: მართლმადიდებელი ქრისტიანი — 150 სული, სომეხი-გრიგორიანი — 4069 სული, „სომეხი-კათოლიკე“ — 10 სული, „რომაელი კათოლიკე“ — 5 სული, სუნიტი — 15 სული, იუდეველი — 53 სული. ეს რაოდენობა პროცენტულად შემდეგ ციფრებში იყო გამოხატული: მართლმადიდებელი ქრისტიანი — 8,13% (მაზრაში 9,38%, ქალაქ ახალციხეში 4,82%), სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოებისა — 21,31% (მაზრაში 6,68%, ქალაქ ახალციხეში 60,05%), „სომხურ-კათოლიკური სარწმუნოებისა“ — 7,97% (მაზრაში 9,25%, ქალაქ ახალციხეში 4,58%), რომაულ-კათოლიკური სარწმუნოებისა — 3,97% (მაზრაში 0,06%, ქალაქ ახალციხეში 14,34%), მაჰმადიანი სუნიტი — 54,11% (მაზრაში 74,40%, ქალაქ ახალციხეში 0,36%), იუდეველი — 4,49% (მაზრაში 0,23%, ქალაქ ახალციხეში 15,79%) ( Свод статистических данных о населении Закавказского края извлеченных из посемейных списков 1886 года).

საყურადღებოა, რომ საოჯახო სიების მიხედვით მთლიანად ქართველი მაჰმადიანებით (სუნიტებით) იყო დასახლებული ქობლიანის უბნის ადიგენის სასოფლო საზოგადოებაში შემავალი სოფლების მოსახლეობა. ეს სოფლებია: ადიგენი, აფიეთი, არძნე, ბოლაჯური, ღაღვი, გოდერძი, გორთუბანი, გუგუნაური, დერცელი, ზანავი, ზარზმა, ზედუბანი, კეხოვანი, მლაშე, მოხე, ნამნიაური, ოსიაური, ფლატე, საირმე, დიდი სმადა, პატარა სმადა, უთხისუბანი, ციხის-უბანი, წრე, ჭეჭლა, ჩორჩანი. ამ სასოფლო საზოგადოებაში „ნაროდნოსტის“ გრაფაში „თათარი“ მხოლოდ სოფელ გომაროს მკვიდრებს (11 ოჯახი, 123 სული) აქვთ მიწერილი. დანარჩენნი ეთნიკურად ქართველებად და სარწმუნოებით სუნიტებად არიან დაფიქსირებულნი. ამ სასოფლო საზოგადოებაში მთლიანად ქართველი მაჰმადიანების რაოდენობა 651 კომლი და 5101 სული იყო. ერთ სოფელში ქართველ მუსლიმებთან ერთად, ქართველი კათოლიკებიც ცხოვრობდნენ. ეს იყო სოფელი ბოლაჯური (ქართველი მაჰმადიანები — 327 სული და ქართველი კათოლიკები — 43 სული). 1886 წლის საოჯახო სიების შესაბამისი სოფლების აღწერის დედნებს თუ თვალს გადავავლებთ, შემდეგ სურათს დავინახავთ: ერთ დავთარში ადიგენის მთელი მოსახლეობა ქართველებადაა ჩაწერილი, მაგრამ არც ერთი ოჯახი გვარით არაა ფიქსირებული. ისინი, ჩვეულებრივ, სახელითა და მამის სახელით არიან წარმოდგენილნი შვილის შესატყვისი თურქული ლექსიკური ერთეულით „ოღლი“. ადიგენის ქართველ მაჰმადიანებს „იაზიკ დომაშნის“ გრაფაში „თურქული ენა“ უწერიათ. ადიგენის შესახებ მეორე დავთარიც არსებობს. ეთნიკურობის, სარწმუნოებისა და ენის გრაფაში იგივე ჩანაწერები არსებობს. სოფელ ადიგენში 85 კომლი მაჰმადიანი ქართველი ცხოვრობდა (573 სული). ქართული გვარები კი ზედმიწევნითაა აღწერილი: მაზინაშვილი, კიკიაძე, აფაქიძე (4 კომლი), პამკიძე, უჯმანიძე, ფრაციშვილი (3 კომლი), მაკარიძე, ლაპკიძე, რატანიკიძე, იაშვილი, სადინაძე / სადუნაძე, ჩალოშვილი, ტუიკუნაშვილი, კეკელიძე, ჩხოკაძე (2 კომლი), ზაზაშვილი, მუცლიშვილი (2 კომლი), ალიშაკიძე (?) (3 კომლი), ტუიგულაშვილი, ჩაპალაშვილი, ბარამიძე, პაპიალიშვილი, მეხტარბაშევი, კიკინაძე (4 კომლი), გხოპაძე, ალიშანიძე, მარიამიძე (2 კომლი), პაპიასშვილი, იაშვილი (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.N1836, გვ. 68-100). ცალკეა აღწერილი ადიგენის პრივილეგირე-

→

# ეთნიკური ისტორიიდან

ბული ფენა. ესენი იყვნენ: „ფაგრატ ბეკ დადა ბეკ ზადე ერისთოვ“ და „სულეიმან ბეკ დადა ბეკ ზადე ერისთოვ“. ძმებ ერისთავებს ეროვნების გრაფაში ქართველი უწერიათ. სალაპარაკო ენას კი მათთვის უკვე თურქული წარმოადგენდა (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1838, გვ. 2). 1930-იანი წლების დასაწყისში გ. ბოჭორიძეს დაუფიქსირებია: „ადიგენი. აქ არიან გადმოსახლებული კეკელიძე, მაკარიძე, ჩოკოძე, ლორთქიფანიძე, ერისთავი-ჯიჯავაძე სულეიმან ბეგ“ (გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში. თბ. 1992, გვ. 81.),

ამავე წყაროთი ზემოთ ნახსენები მუხტარბაშიევების თავდაპირველი ქართული გვარი ლორთქიფანიძე ყოფილა.

სოფელ გორთუბანში 33 ოჯახი (240 სული) ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობდა. მხოლოდ 7 კომლია ჩაწერილი ქართული გვარით (მემკვიდრეობითი სახელით) — ჩხოკაძე. ყველა მათგანს „იაზიკ დომაშნის“ გრაფაში მიწერილი აქვთ „თურქული“ და „ქართული“. ე. ი. ამ სოფლის მკვიდრნი ორენოვანნი იყვნენ — ქართულთან ერთად თურქულიც იციან (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1836, გვ. 38-40).

სოფელ აფიეთის (14 კომლი, 116 სული) მკვიდრებს საოჯახო სიების დედნებში ეთნიკურობის გრაფაში „თურქი“ აქვთ მიწერილი. ამ შემთხვევაში ეთნიკური მონაცემები საარქივო დედნისა და დაბეჭდილი სტატისტიკური მონაცემებისა ერთმანეთს არ ემთხვევა. ენის გრაფაშიც აფიეთელებს „თურქი“ უწერიათ. მაგრამ ამ სოფლის მკვიდრნი ეთნიკურად ქართველები რომ იყვნენ, ამას აღნიშნული საოჯახო სიების დედნები მოწმობს. 6 კომლი აფიეთელი ქართული გვარით (დუაძე) არის მოხსენიებული (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1836, გვ. 41-44).

1886 წლის საოჯახო სიების დედანში სოფელ ზედუბანის (30 ოჯახი, 244 სული) მკვიდრებს ეთნიკურობის გრაფაში ყველას ქართველი უწერია, სალაპარაკო ენა კი — თურქული. ერთი ოჯახი ქართული გვარითაც (ჩოკაძე) არის ჩაწერილი (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1836, გვ. 45-46). ზედუბნის სხვა აღწერაც არის შემორჩენილი, რომელშიც უკვე რამდენიმე ქართული გვარია შეტანილი: ჩოკაძე (3 კომლი), ჩხოკოძე (3 კომლი), დიმიტრაძე (6 კომლი) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1842, გვ. 177-183).

მართალია, დაბეჭდილ სტატისტიკურ მონაცემებში სოფელ ნამნიაურის მკვიდრები ქართველებად არიან დაფიქსირებულნი, მაგრამ საოჯახო სიების დედნებში ენით, ეროვნებით და სარწმუნოებით თურქებად არიან აღრიცხულნი, მაგრამ ქართული გვარები მათ უდავოდ ქართველობაზე მიუთითებს; ეს გვარებია: პაპილაშვილი, ნაკაშიძე, თადგორიძე, მათოშვილი. ამ უკანასკნელი გვარის მატარებელი სოფელ ნამნიაურში 1879 წელს სოფელ ჭეჭლადან იყო გადმოსახლებული (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1836, გვ. 48-49). ამავე საოჯახო სიების სხვა დავთრით ნამნიაურელები ქართველებად არიან დაფიქსირებულნი. ამ დავთარში პაპილაშვილის ნაცვლად პიპინაშვილი იკითხება, თადგორიძის ნაცვლად — თაგდარიძე (3 კომლი). აქვე ბექაძეების 4 ოჯახს უცხოვრია. სოფელში 4 წლის გადმოსახლებული ყოფილა ჩოფაძე (ადიგენის საზოგადოების სოფელ გორთუბნიდან) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1846, გვ. 44-55). პეპინაშვილები სოფელ მარეჟშიც (დავთარში ასეა დაფიქსირებული. სინამდვილეში ესაა უდეს საზოგადოების სოფელი მარელი) ცხოვრობდნენ. აქ ამ გვარისანი (4 კომლი) რუსული სუფიქსით არიან შეყვანილი და ბეგების სოციალურ ფენას მიეკუთვნებოდნენ. ასეთი თავადური გვარი არცერთ ქართულ წყაროში არაა დადასტურებული.

სოფელ ჩორჩანაში 19 ოჯახი ცხოვრობდა (124 სული). რამდენიმე ოჯახი ამ სოფელშიც ქართული გვარებით იყო აღრიცხული: ოგიშვილები და კუნჭულაშვილები (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1836, გვ. 50). ჩორჩანის მეორე დავთარში უფრო მეტი ქართული გვარია შეტანილი. ეს გვარებია: გოგიბერიძე (2 ოჯახი), კოშაძე, კუნჭულაშვილი (2 ოჯახი), ოსიშვილი (?), რესაშვილი, ჯინჯალიძე (2 ოჯახი), დარანიძე, ბუზმარეთიშვილი, ჩაკმაძე (2 ოჯახი), ბათნიძე, ჩოლიშვილი (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1856, გვ. 62-71). XX საუკუნის 30-იან წლებში ჩორჩანის „ეკლესია ახლა უჭირავს მაადინ ეიდარ-ოღლი ლუხუმანიძეს.“ (გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 37).

პატარა სმადელების ქართული გვარები იყო: აბრაზაშვილი და თურმანიძე (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1836, გვ. 51). 1886 წლის საოჯახო სიების სხვა დავთარი უფრო მეტი ინფორმაციის შემცველია. ირკვევა, რომ სოფელში თურმანიძეები 6 კომლი ყოფილან. პატარა სმადაში ცხოვრობდნენ აგრეთვე ბარამიძეები და მოსიძეები (3 კომლი) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1850, გვ. 63-81). სოფელ ციხისუბანში თაგდგირიძეებს უცხოვრიათ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1836, გვ. 52). დერცელის (17 ოჯახი, 140 სული) მკვიდრთა ქართული გვარები იყო დუნუკიძე და წულუკიძე. გ. ბოჭორიძეს აღნიშნული აქვს: „სოფელი დერცელი. მურთაზ შაჰაბაზ-ოღლი ჭულუკიძე.“ (გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 86). რაც შეეხება სოფელ წრეს (23 კომლი, 161 სული), მისი მკვიდრნი ქართველებად არიან ჩაწერილი, მაგრამ სარწმუნოების გრაფაში „მაჰმადიანი“ უწერიათ. სალაპარაკო ენად „თურქული“ ჰქონიათ. ქართულ გვართაგან წრეში აფაქიძეს ვხვდებით. წრეს 1886 წლის სხვა დავთრით ირკვევა, რომ აფაქიძეები აქ ადიგენიდან ყოფილან გადმოსახლებული 1881 წელს. აქვე დასახელებულია ქართველ მაჰმადიანთა კიდევ რამდენიმე გვარი: მირიალაევი (3 კომლი), ლასურიძე (5 კომლი), ბერიძე (4 კომლი) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1853, გვ. 79-90).

სოფელ ჭეჭლაში (62 კომლი, 430 სული) საოჯახო სიების დედნების მიხედვით, ყველა ქართველი ცხოვრობდა, თუმცა ენის გრაფაში „თურქული“ აქვთ დაფიქსირებული. ამ სოფლის მკვიდრი ქართველი მაჰმადიანების ქართული გვარები იყო: კარწელაშვილი, დედულაძე, მათოშვილი (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1836, გვ. 56-58). თუმცა უფრო სრულყოფილია სხვა დავთარი, რომლიდანაც ჩანს, რომ ჭეჭლაში კარწელაშვილების 6 ოჯახი ცხოვრობდა, დედულაძეების - 4 ოჯახი. ამას გარდა სოფელში გვხვდება კიდევ სხვა ქართული გვარებიც: თულაბერიძე (3 ოჯახი), მახაშვილი (3 ოჯახი), ჯალაშვილი, პიპინაძე (2 ოჯახი), ტოსოშვილი (2 ოჯახი), ქურდიშვილები (2 ოჯახი), ჭილაძეები (5 ოჯახი), პიპოშვილები/პოპოშვილები (2 ოჯახი), ჩუნთოშვილები (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1856, გვ. 14-38).

ანალოგიური ვითარებაა დაფიქსირებული სოფელ ზანავში (36 ოჯახი, 302 სული). შიგადაშიგ ზანაველებს ქართული გვარებიც აქვთ მიწერილი; ესენია: ჩახოშვილი და ჩიკილაძე (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1836, გვ. 59). უფრო სრულყოფილია ზანავის მეორე აღწერა. მის მიხედვით სოფელში ჩახოშვილები 6 ოჯახი ყოფილან, ჩიკილაძეები — 3. ამას გარდა, ცალკე ერთი ოჯახი ჩიკილაშვილადაა დაფიქსირებული. აქვე უცხოვრიათ ბესოშვილებს (2 კომლი), ვარდიძეებს, ძივაძეებსა (4 კომლი) და მარკოზაშვილებს (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1842, გვ. 191-203). XX საუკუნის 30-იან წლებში გ. ბოჭორიძეს დაუფიქსირებია: „ზანავში არის გვარი ჩიკაძე (ჭიკაძე?)“ (გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 81).

სოფელ გოდერძში (27 კომლი, 225 სული) გვახიძეებს უცხოვრიათ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1836, გვ. 60-61). სოფელი გოდერძი ორჯერ აღურიცხავთ. მეორე აღწერას წინ შენიშვნა უძღვის, რომ სოფელი გოდერძი სამი უბნისაგან შედგება: „კაწარაული“, „გოდერძი“ და „გვერნი-ოღლარი“. მეორე საბუთში უფრო მეტი ქართული გვარია დაფიქსირებული. კაწარაულის მკვიდრნი ყოფილან ბაქნიძეები (ბატნიძეები-?) (3 კომლი) და შირაძეები (5 ოჯახი), მაგალითად, „იბარაგიმ ალი ოღლი შირაძე“. უშუალოდ გოდერძში უცხოვრიათ: ნაღავაშვილებს, გვახიძეებს (3 კომლი), გვერნიშვილებს (3 კომლი) და წენგოშვილებს. გვერნიოღლარის უბანში გამოიყოფოდნენ: ლაფოშვილები (მაგალითად, „დადა სულეიმან ოღლი ლაფოშვილი“) და გაფოშვილები (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1840, გვ. 1-16). გ. ბოჭორიძე აქ სხვა გვარსაც მიუთითებს: „გოდერძელი აბას ქიამალ ოღლი კორკალაძე.“ (გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 140).

ზარზმელ ქართველ მაჰმადიანთა (8 კომლი, 93 სული) ქართული გვარები ყოფილა — ჩივჩიშვილი და შავთვალიძე (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1836, გვ. 61). სხვა დავთარში ზარზმის უფრო სრულყოფილი ვითარებაა მოცემული, რომლის მიხედვითაც ჩივჩიშვილები და შავთვალიძეები 2-2 კომლი ყოფილან. აქვე მოიხსენიებიან: თურმანიძეები, მამულაშვილები, ჩიკოლაშვილები და ფოცხოვლიშვილები (თითო კომლი). ანალოგიური ვითარება იყო ადიგენის სასოფლო საზოგადოების სოფელ ღაღვაშიც (13 კომლი, 106 სული). ღაღველებიც ქართველებად არიან აღრიცხულნი, ოღონდ ქართული გვარით 13 კომლიდან მხოლოდ 9 კომლია წარმოდგენილი: ჩხოკ(პ)აძე (4 ოჯახი), ცოლიკიძე, ჩხეიძე, ჩოკაძე (3 კომლი) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1840, გვ. 112-121). „ქვედა ღაღვში არის ცაცანიძეები, ჩხიაძე (ჩხეიძე?) 10 კომლი.“ (გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 135). ეროვნება „ქართველი“ აქვთ მიწერილი ადიგენის სასოფლო საზოგადოების სოფელ გუგუნაურის/გოგონაურის მკვიდრებსაც. ამ სოფლის მკვიდრ მაჰადიან ქართველთა გვარები იყო: პიპინაშვილი, დვალიშვილი (2 კომლი), თურმანიძე, ჭალიძე და ჭაყმაძე (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1841, გვ. 27-33). „გუგუნაურში არის ძველიდან დარჩენილი კარაპანი. იგი ეკუთვნის ფაშრად აჰნად-ოღლი ფიფიას, იგივე ფიფაძეს.“ (გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 132.) 1886 წლის საოჯახო სიებში ქართველებად არის ჩაწერილი სოფელ დერცელის (17 კომლი, 140 სული) მოსახლეობაც, თუმცა მათ სალაპარაკო ენას უკვე თურქული წარმოადგენდა. დერცელი სამი უბნის ერთობლიობას წარმოადგენდა; ეს უბნებია: თვით „დერცელი“ „მარკიძელარი“ და „ჯაბიაური.“ დერცელის უბანში ცხოვრობდნენ მაჰმადიანი ჩხაიძეები, ჯაბნიაურში — წულუკიძეები (3 ოჯახი), მარკიძეებში/მარკიძელარში — მღებრიშვილები (2 კომლი), დუნუკიძეები, გელაძეები, ჯავახიძეები, ცულაპერიძეები, რემოშვილები, ჩხაიძეები (4 კომლი) და მარკიძეები (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1841, გვ. 121-139). უბანში „მარკიძელარი“ მარკიძეების ერთი ოჯახილა იყო შემორჩენილი. ბუნებრივია, ეს უბანი თავდაპირველად ამ გვარის ხალხით იყო დასახლებული. გ. ბოჭორიძეს დაფიქსირებული აქვს: „დერცელში არის თურან მგელაძე, გადმოსული გურიიდან. აქ არის 15 კომლი მგელაძენი. თურანი მშვენივრად ლაპარაკობს ქართულს. ცაცანიძეც კარგად ლაპარაკობს ქართულს.“ (გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 135.).

სოფელ მლაშეს მკვიდრებს (19 კომლი, 194 სული) 1986 წლის საოჯახო სიებში ეთნიკურობა „ქართველი“ ეწერათ, თუმცა საოჯახო ენის გრაფაში ყველა მათგანს „თურქული“ აქვს მიწერილი. ამ სოფლის მკვიდრნიც, ჩვეულებრივ, სახელითა და მამის სახელით („ოღლობით“) არიან დაფიქსირებულები, მაგრამ ზოგიერთ მათგანს ქართული გვარიც აქვთ მიწერილი: თურმანიძე, გვარაძე და კიპაბალიძე (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1836, გვ. 62-63). იმავე საოჯახო სიების მეორე დავთარით ირკვევა, რომ მლაშეში მაჰმადიან თურმანიძეთა 4 კომლი იყო, გვარაძეებისა კი — 2. დასახელებულნი არიან აგრეთვე გვახიძეები (2 კომლი), კარელიძეები, სარალიძეები, შარაძეები, კოტობანიძეები, გარელიძეები, ჩალახიშვილები (2 კომლი) და დემუბეგიშვილები (?) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1845, გვ. 1-11). ანალოგიური ვითარებაა ასახული ბოლაჯურის (48 კომლი, 370 სული) აღწერაშიც. ბოლაჯურელ მაჰმადიანებს „ნაროდნოსტის“ გრაფაში ყველას „ქართველი“ აქვს მიწერილი, თუმცა მათ ასევე ყველას ქართული ენა უკვე თურქულით ჰქონდათ შეცვლილი. მართალია ბოლაჯურელი ქართველი მაჰმადიანები „ოღლობით“ — სახელითა და მამის სახელებით — არიან საოჯახო სიებში წარმოდგენილი, მაგრამ ასევე თითოეულ ოჯახს ქართული გვარიც არ ჰქონდა დავიწყებული: ლომანიძე, ხელაძე (3 ოჯახი), ტაბატაძე (8 ოჯახი), კოლამიძე (8 ოჯახი), მაკარიძე (2 ოჯახი), ლაჩაშვილი (2 კომლი), ბალდოშვილი, გორგაძე, სანიკიძე, სარიძე, ჯინჭარაძე (5 კომლი). ამავე სოფელში „სომხურ-კათოლიკური სარწმუნოების“ ქართველებიც ცხოვრობდნენ: სარიევები (2 ოჯახი) და ბალდოევები (4 ოჯახი), რომელთა მშობლიური ენაც ქართული იყო (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1839, გვ. 75-94). ანალოგიური ვითარება გვქონდა სოფელ არძნეში (15 ოჯახი, 114 სული). ოღლობით ჩაწერილ არძნელ ქართველ მაჰმადიანებს შიგადაშიგ ქართული გვარებიც აქვთ მიწერილი; ეს გვარებია: მოსიძე, შაგანიძე, ჯავახიძე და დვალიშვილი (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1836, გვ. 175-181). „არძნეში არის გვარები: შანიძე 25 კომლი (ამათივე გვიანი ხანის გვარია კაკუჭაძე), თურმანიძე იგივე ოსიძე 1 კომლი, კეკელიძე 6 კომლი.“ (გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 131.). აფიეთელი (14 კომლი, 116 სული) ქართველი სუნიტების გვარები იყო დუაძე (10 ოჯახი) და დავლარიძე (2 ოჯახი) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1836, გვ. 193-205). სოფელ დიდ სმადაშიც მაჰმადიანი ქართველები მკვიდრობდნენ (32 კომლი, 180 სული). 1886 წლის საოჯახო სიებში დიდ სმადაში აღმწერებს მხოლოდ ერთი ქართული გვარი აღურიცხავთ — ბიძინაშვილი (3 კომლი) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1839, გვ. 156-187).



1886 წლისათვის ადიგენის სასოფლო საზოგადოების სოფელ კეხოვანშიც (18 კომლი, 193 სული) მთლიანად ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ. საოჯახო სიების დედანში დაფიქსირებულია კეხოვნელი ქართველი მაჰმადიანების ქართული გვარებიც: გოლოთიძე (9 ოჯახი), დარჩიძე (4 ოჯახი), პაპიძე და შავაძე (2 ოჯახი) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1843, გვ. 151-160).

სოფელ მოხეში 35 კომლი (326 სული) მაჰმადიანი ქართველი ცხოვრობდა. მოხელები უკვე თურქულ

გაგრძელება მე-11 გვ. ▶

# მარადიული თანამედროვე

## (მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებითი პორტრეტისათვის)

სოსო გიქოშვილი

მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებები მთელ ეპოქას ქმნიან მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ისინი გამოირჩევიან ცხოვრებისა და ადამიანის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურად გააზრების ღრმა ცოდნით, მწერლის ყოვლისმხილველ მაღალმხატვრული გემოვნებითა და მახვილი ალღოთი. მიხეილ ჯავახიშვილის ყოველ რომანში ცოცხლად, სიმართლითა და დამაჯერებლობითაა გადმოცემული წარსულისა თუ თანამედროვე ვითარების გარკვეული მონაკვეთები, სხვადასხვა სოციალურ ფენათა სულიერი სამყარო, ხასიათების ფორმირების რთული პროცესები. მიხ. ჯავახიშვილი ჭეშმარიტი ნოვატორია, მიუხედავად იმისა, რომ იგი კარგად იცნობს ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურის მიღწევებს, არავის ბაძავს, პირიქით, შემოქმედებითად იკვლევს და იყენებს მანამდე არსებულს, ქმნის ქართული მწერლობის განვითარების ახალ ეტაპს. მიხეილ ჯავახიშვილისრომანებმაიმთავითვედიდიგავლენა მოახდინა როგორც მკითხველის ესთეტიკური გემოვნების განვითარებაზე, ისე ეროვნული მწერლობის ყველა დარგის აღმავლობაზე. მწერალს სიცოცხლეშივე გამოუჩნდნენ უშუალო მიმდევრებიც, იგი პირველთაგანია მათ შორის, ვინც ქართული რომანი ახალ სიმაღლეზე აიყვანა. მიხ.ჯავახიშვილი დიდოსტატია, მის თხზულებათა თემა ყოველთვის თავისთავადია, ორიგინალური და მოულოდნელობით აღსავსე. ფაბულის მნიშვნელობაზე მას თავისი შეხედულება ჰქონდა, რომ მწერლისთვის ამბავი, უშუალოდ შინაარსი, მხატვრული ნაწარმოების უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა.

მოვუსმინოთ თავად შემოქმედს: **„ვიქტორ ჰიუგო, გენიალური ფაბულისტია, შეუსუსტეთ, ან მოუსპეთ მას ფაბულა და ვ.ჰიუგოს რომანებსაც სასიცოცხლო დღენი შეუმცირდება. ჩვენ შორის დღესაც ტრიალებს ის აზრი, თითქოს შემოქმედება უმთავრესად დაკვირვების, ხსოვნისა და ასახვის უნარი ყოფილიყოს. ეს თავისთავადაც იგულისხმება. უმთავრესი კი ფანტაზიაა, ნიჭია გამოგონებისა და შთაგონებისა“.**

მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებებში ამაოდ შეეცდებით ანალოგიების ძებნას. პარალელები, რომლებზეც ზოგიერთი კრიტიკოსი მიუთითებს, ხელოვნურია, რადგან სრულიად არ ემთხვევა არც შეხედულებათა პრინციპების მიხედვით და არც მხატვრული მსოფლმხედველობით. ის, რაც რეალიზმისაგან მიიღო, მწერლისთვის დოგმად კი არ იქცა, არამედ, შთაგონების წყაროდ, რომელმაც ღრმად ჩაახედა ცხოვრებისეული მოვლენების განვითარების პროცესებში.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში სამართლიანად აღინიშნა, რომ მე-20 საუკუნის ოციან წლებში ქართულ მწერლობას შემოქმედებითი ინტენსივობისა და ნაყოფიერების, ნაწარმოებთა იდეურ-თემატური აქტუალობის, მკითხველზე ზემოქმედების ძალის, პოპულარობის მხრივ მიხეილ ჯავახიშვილს ბადალი არ ჰყოლია. ამას სრულიადაც არ უშლიდა ხელს ის გარემოება, რომ მწერლის თხზულებებში წარსულის ბნელი გადმონაშთებისა და ნეგატიური მოვლენების მხილების პათოსი ჭარბობდა. ამ შემთხვევაში ჭეშმარიტებას მოკლებული არაა თვით მიხ. ჯავახიშვილის ასეთი მოსაზრება: **„მე პროზაიკოსი გახლავართ, პროზაიკოსი კი უკვე დამყარებულს და მკაფიოდ გამოსახულ ყოფას და ფორმას ეტანება, თუმცა ეს დებულება კანონად არ მიმაჩნია, ბევრმა მწერალმა მოახერხა „უფორმო“ მოვლენა ფორმაში მოექცია. მაგალითად, ფედინმა, შოლოხოვმა, პანფეროვმა და სხვ. ერთ დროს მგონი მეც დავძლიე ეს უძნელესი საქმე. გაიხსენეთ თუნდაც „ჯაყოს ხიზნები“ და დარწმუნდებით ჩემს სიმართლეში“.**

პირველი რომანი, რომელშიც მიხეილ ჯავახიშვილმა მთელი ძალისხმევით გამოავლინა ცხოვრების ცოდნის დიდი მარაგი და მხატვრული წარმოსახვის ფართო დიაპაზონი, იყო „კვაჭი კვაჭანტირაძე“, რომელიც, ამავე დროს, გახლდათ პირველი ფართო მასშტაბიანი მხატვრული ტილო იმდროინდელ ქართულ პროზაში (დაიწერა 1923-1924 წ.წ.-ში).

„კვაჭი კვაჭანტირაძე“ რეალისტური პროზის ნიმუშია. მისი მთავარი მხატვრული სახე ისტორიული სინამდვილის პირმშოა, იგი კვალდაკვალ მისდევს მოვლენების განვითარებას, ყოველგვარ სიტუაციას მოხერხებულად იყენებს პირადი სარგებლობისა და განდიდებისათვის, აშკარად მიმართავს შანტაჟსა და ეშმაკურ კომბინაციებს, ტრიუმფით გადის მთელ გზას რუსეთის პირველი რევოლუციიდან 20-იან წლებამდე, თუმცა, საბოლოოდ, მაინც ჩამოხსნიან ყალთაბანდის ნიღაბს.

კვაჭი კვაჭანტირაძე ქართველ მწერლობაში მანამდე არგაგონილი პერსონაჟია, თავისი ეპოქის დიდი გაქანების არამზადა და ავანტურისტი, მედროვე, რომელსაც ხანგრძლივი დღე არ ეწერა.

მიხეილ ჯავახიშვილი გმირს გვაცნობს ქვეყნად მისი დაბადებისთანავე. კვაჭი პირველი ვაჟი იყო ოჯახში, რომლის მოვლინებამ სიხარული და აღტაცება გამოიწვია. მამამ, გახარებულმა სილიბისტრომ, თავის პირმშოს კვაჭი დაარქვა იმ დროს, როცა შინ ასეთი მხიარულება სუფევდა, თითქოს ბუნება გაწყრაო, გარეთ ყველაფერი აირია, ატყდა ქექა-ქუხილი, კვაჭანტირაძეების ბაღში მდგარ ალვის ხეს მეხი დაეცა და შუაზე გახლიჩა, ჟონდიას დუქანი კი გრიგალმა დაანგრია, **„მაგრამ ერთი საათის შემდეგ ღრუბელი გაიფანტა და კვლავ გაზაფხულის მშვენიერი დარი დადგა“.** ამინდის ასეთმა არევამ თავისებური შეშფოთება გამოიწვია, თუმცა, იმავე საღამოს, მკითხავმა ახლადდაბადებულის დედ-მამა დააწყნარა: „ — **ქარიშხალი და ჭექა-ქუხილი იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდობაში კვაჭის მრავალი გაჭირვება და თავგადასავალი მოელის, მარა, ღმერთი დიდია.**



**მჯიღი რომ ისთე ჰქონდა მოჭერილი, რომე ძლივს გავუშალეთ, ეს იმის ნიშანია, რომე რაც კვაჭის ჩაუვარდება ხელში, იმის წართმევა კაცს არ შეუძლია — მზემ რომ გვირგვინი დაიდგა თავზე, ეს იმას ნიშნავს, რომე, შემდეგში კვაჭს ბრწყინვალე და სახელოვანი მომავალი მოელის. ალვის ხეს რომ მეხი დაეცა და ჟონდიას დუქანიც რომე ეშმაკებმა წაიღეს, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი და კვაჭის მტრებს მეხი დაეცემათ და ისთე დოუსკდებათ გულები, როგორც ალვის ხე გასკდა დღეს“.** მკითხავის სიტყვებმა ყველას გული მოულბო და სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაჰკრა, თუმცა სილიბისტროს მაინც დარჩა ერთი საფიქრალი — იგი აზნაურობას ესწრაფვოდა: **„აზნაურობა ჯერ დამტკიცებული არ ჰქონდა და პასპორტში წინანდებურად ეწერა სამარცხვინო და სათაკილო სიტყვა „გ-ლ-ე-ხ-ი“, მაგრამ ამ უბედურებას ადვილად დააღწია თავი განთქმულმა თაღლითმა და ყალბი საბუთების მკეთებელმა აშორდიამ, სილიბისტროს აზნაურობა უბოძა და ამით პატარა კვაჭიკოსაც „ბედნიერი მომავალი“ აღუთქვა:—„ჩემო პატარავ! მე გზა გაგიკაფე, ყველა კარი გაგიღე და დანარჩენი შენ იციო“!** შვილი როცა წამოიზარდა, გააზნაურებულმა მამამ „გონივრულად“ დაარიგა იგი: „ — შვილო, კვაჭი, აი ქვეყანა ასეა მომართული: ზოგი უფროსია, ზოგი უმცროსი; ზოგი მდიდარი, ზოგი ღარიბი; ზოგი ძლიერი, ზოგი გლახაკი; ზოგი თავადი ან აზნაური; ზოგი კიდო, ყაზახია, გლეხია, შენისთანა აზნაური-შვილმა ყველას თავი არ უნდა გაუყადროს, არ უნდა აჰყვეს. ყაზახი და გლეხი შენ ვერაფერს მოგცემენ, პირიქით, გამოგრჩებიან რამეს. აზნაურსა და მდიდარს დაუმეგობრდი, დაუახლოვდი, ასიამოვნე და ძმად გაუხდი. მდიდარი და ძლიერი ყოველთვის გამოგადგება: ერთი წინ წაგაყენებს, მეორე გაჩუქებს რამეს, მესამე ხელს გაგიმართავს. ასეა ჩემო კვაჭიკო, მოწყობილი აი ქვეყანა, უნდა მიჰყვე მას და გამოიყენო. მამის „შეგონება“ ღრმად შეიჭრა კვაჭიკოს მეხსიერებაში. ლამაზმა და მომხიბლავმა ჭაბუკმა კარგად გაითავისა ფარისეველი მამის „ფილოსოფია“, სწრაფად გამოიმუშავა ავისა და კარგის, სასარგებლოსა და საზიანოს გარჩევის უნარი: „კვაჭი ჭკვიანთან ჭკვიანი იყო“, — წერს მიხ. ჯავახიშვილი, — „დინჯთან დინჯი; ხუმარასთან — ხუმარა; დარდიანთან — დარდიანი; მხიარულთან — მხიარული; ძლიერთან — მორჩილი, პირმოთნე, ქლესა, თავაზიანი და მომღიმარე, მაგრამ თუ საჭირო იყო, მას შეეძლო უხეშთან და ჭირვეულთან — თავმდაბალი და მოქნილი ყოფილიყო, სუსტთან — კადნიერი; თავხედი, ჟინიანი; პირდაპირთან — ორგული, ფლიდი და ორპირი; ორგულთან — ათგული და ათპირი; მუხასთან — ლერწამი; ლერწამთან — მიხაკი; რკინასთან ბამბა და ბამბასთან — რკინა, სადაც პირდაპირი გზა დაკეტილი იყო და სხვა ვინმე უკან იხევდა, იქ კვაჭი ხუთიოდე მიხვეულ-მოხვეულ ბილიკს იპოვნიდა, უკარო და უფანჯრო ოთხ კედელშიც რომ ჩავარდნილიყო, **ათიოდე ხვრელს აღმოაჩენდა და ცხრაკლიტულ ციხეში ისე შეძვრებ - გამოძვრებოდა, როგორც ნემსი ბუმბულში“.**

კვაჭი ყალბის მქნელობაში, ფარისევლობასა და მომხვეჭველობაში სწრაფად გაიწვრთნა — დახელოვნდა, სამტრედიიდან ქუთაისსა და ოდესით — პეტერბურგისკენ მიმავალი რთული და დახლართული გზა ეშმაკობით გაიარა. მან დიდძალი ფული დააგროვა, კაბინეტი და სადარბაზო ოთახები ევროპულად მოაწყო, გავლენიან ოჯახებს დაუკავშირდა, დიდი თანამდებობის პირები, მინისტრები და გენერლები გაიცნო, „წმინდა მოხუცს“ — გრიგოლ რასპუტინს დაუმეგობრდა და მისი წყალობით მეფის სასახლის ნდობით აღიჭურვა, თუმცა პოლიტიკის არაფერი გაეგებოდა, მაგრამ იქაც მიუწვდა ხელი და ათასნაირი ინტრიგები მოაწყო, შექმნილ საზოგადოებრივ ვითარებას მოხერხებულად იყენებდა თავის სასარგებლოდ, რაკი ერთხელ ფეხი შედგა ამ მაღალ კვარცხლბეკზე და რასპუტინის ნდობა დაიმსახურა, მისი ბოროტი ნიჭი და სამოქმედო არეალი სულ უფრო გაიზარდა და გაფართოვდა, მეფის კარზე ისეთი გავლენა მოიპოვა, რომ თვითონ მინისტრებიც მასთან დაახლოებას დიდ პატივად მიიჩნევდნენ. კვაჭი ძალიან მალე რასპუტინის მდივანი გახდა, ირგვლივ თავისი მეგობრები შემოიკრიბა და დიდ სარფიან საქმეთა „გაიმასქნებას შეუდგა“. **„გრიშკას ბოსტანში მინადენი წყალი ერთ კვირაში მოსწყვიტა და თავის არხში გადმოაგდო“.** კვაჭი ძალიან მოქნილი, გაიძვერა გამოდგა, ყოველგვარ სისაძაგლეს იოლად აკეთებს და ღრმად ინიღბება, მისთვის უცხო არაა მხოლოდ მლიქვნელობა, მომხვეჭველობა, არამედ — ჯაშუშობაც, მეფეს რომ პირში ერთგულებას ეფიცება, ზურგს უკან მის უცხოელ მტრებთან გარიგებას აწარმოებს, ყოველ შემთხვევას — დიდი იქნება თუ პატარა, მოხერხებულად იყენებს თავის სასარგებლოდ. გრიშკა რასპუტინის წყალობით მეფეს პირველად რომ შეხვდა, მლიქვნელურად გაუწვა ფეხქვეშ, უერთგულეს მონად მოაჩვენა თავი, მღელვარებით მოუყვა თუ როგორ ჩაახშვეს კავკასიაში დიდი მღელვარება და არეულობა პირველ რევოლუციას რომ მოჰყვა: **„ჩვენშიც გაჩნდნენ ურიები და ეშმაკების მოციქულები,** — ეუბნება იგი მეფეს, — **მაგრამ შენი ერთგული მონები და ყმები არ შევუშინდით, შევებით, ვაჯობეთ, დავხოცეთ, ხოლო გადარჩენილნი ისეთ ჯურღმულებში ჩავყარეთ, რომ ეშმაკებიც ვერ იპოვნიან“...** და აიმედებს: **„შიში ნუღარ გაქვს, მეფევ, ნუ შედრკება შენი გული, დიდო ხელმწიფევ! მრავალი ვართ წმინდა რუსეთში შენი და ღვთის ერთგულნი, მაგრად დაეყრდენ ჩვენს მძლავს ზურგს, გამძლე და ძლიერია იგი, ვივლით და ბუმბულივით გატარებთ“.** ნაამბობით აღფრთოვნებულმა და მოხიბლულმა მეფემ ერთგული მონა გულში ჩაიკრა, ერთხელ კიდევ მადლობა გადაუხადა, თავადობა „აღუდგინა“ და ალერსით გამოეთხოვა. კვაჭის გონებაში კი ამ დროსაც სულ სხვა ფიქრები ბორიალობდნენ, მდგომარეობას სწონიდა, ახალ მაქინაციებს „აკვარახჭინებდა“. პირველი მსოფლიო ომის წინა დღეებში კვაჭი ამხანაგებითურთ ევროპაში მოხვდა, ბერლინში ატმოსფეროს გაეცნო, მოვლენები თავისებურად გააანალიზა, ომის მოახლოება დაყნოსა, მეგობრებს წინასწარმეტყველურად აუხსნა: „ — **ბესო, ლადო! დაიხსომეთ ჩემი სიტყვა და გადაეცით ისტორიას შემდეგი: ორი კვირაც არ გაივლის, რომ რუსეთი გერმანიას უჯიკავებს და გერმანია — რუსეთს. მერე ომი ატყდება და ღვთის რისხვა დატრიალდება. რუსეთს ინგლისი, საფრანგეთი, რუმინია და იტალია მოემხრობიან... კი! კი! იტალია გერმანიას გადაუდგება და ინგლისს — საფრანგეთს მიემხრობა — თქვა. გერმანიას ავსტრია, ბულგარეთი და ოსმალეთი მიუდგებიან, ბოლოს ამერიკაც ჩაერევა და ქვეყანა მთლიანად სისხლში შეიღებება. თუ მე დევიღუპე, ჩემი ნათქვამი ისტორიას გადაეცით. აბა, ამხანაგებო, აწი, გვჭირია ჩვენ ჭკუა, ფხიზლობა და სიფრთხილე“.**

კვაჭის მოხერხება და სიფრთხილე არ აკლდა და შექმნილი ვითარებაც თავის სასარგებლოდ კარგად გამოიყენა, თვალი ლითონისა და იარაღის აქციებს დაადგა, რაც ნაღდი ფული ჰქონდა, გაიაფებულ აქციებზე გადაახურდავა დ იმედიანად ამოისუნთქა, თუმცა თვალთმაქცურ პოლიტიკას დაადგა, მაგრამ ბერლინის ქუჩებში მაინც ბრბოს აჰყვა, ქუჩებსა, ყავახანებსა და სალონებში გააფთრებული მოუწოდებდა პარიზისა და მოსკოვისაკენ დაძრულიყვნენ. რამდენიმე დღის შემდეგ საფრანგეთში გადავიდა და იქ შეცვლილ მოტივზე დაიწყო სიმღერა — ხმაჩახლეჩით გაჰკიოდა: ბერლინისკენ! ბერლინისკენ! როცა შემდეგ რუსეთში დაბრუნდა, იქაც თითი ბერლინისა და კონსტანტინეპოლისკენ გაიშვირა.

მოვლენები თავისი გზით ვითარდებოდა, კვაჭი მოხერხებულად მისდევდა ცხოვრების ტალღებს და თავს მუდამ სამშვიდობოზე გრძნობდა. ის წვრილმანებიდან მსხილმანებზე გადავიდა, პირვლანდელი მასშტაბი აღარ აკმაყოფილებდა, ფართოდ გაშალა „მოღვაწეობა“, რუსეთის მტრებთან ბნელი საქმეების გარიგებასაც მოჰკიდა ხელი. რუსეთის მეფეს რომ პირში ერთგულებას ეფიცებოდა, ზურგს უკან გერმანიის ჯაშუშებთან საიდუმლო კავშირს ამყარებდა და ჯიბეს მილიონებით ისქელებდა. მეფის მთავრობა კვაჭის ამერიკაში გზავნის საიდუმლო ნახაზებით, იარაღისა და ყუმბარების შესაძენად. კვაჭი ამ საიდუმლო ნახაზებს გერმანიის ჯაშუშებს გადასცემს, მის ნაცვლად კი ამერიკაში შეცვლილი ყალიბის ნახაზს ჩაიტანს და იქ დამზადებული ყუმბარები რუსულ ზარბაზნებს აღარ გამოადგება. ამ იარაღის იმედით მეფის სარდლობა დიდ შეტევას წამოიწყებს და დამარცხდება.

მთავრობა კვაჭის ღალატზე ეჭვს მიიტანს, დაიწყება გამოძიება... კვაჭი საგონებელში ჩავარდება, ხედავს, რომ მახეშია მოქცეული, სასტიკი მხილება და სასჯელი მოელის; მაგრამ კვაჭი რის კვაჭია, რომ ასე უცბად დაჰყაროს ფარ-ხმალი, უიმედოდ ჩაიქნიოს ხელი და ბედს დანებდეს. გაქნილი ფარისეველი ამ განსაცდელსაც დააღწევს თავს.

კვაჭი კვაჭანტირაძემ შეუცდომლად დაყნოსა ისიც, რომ მეფის მთავრობის დღეები დათვლილია, ამიტომ ახალ მთავრობასთან შეგუების წინასწარი გეგმა შეიმუშავა. 1907 წლის თებერვალში რომ მშრომელთა შურისძიების ზღვამ გადმოხეთქა, კვაჭიმაც მკლავები მარჯვედ მოუსვა და ტალღებს „ზევიდან“ მოექცა. კვაჭიმ და მისმა ამალამ თავრიდის სასახლეში მოიკალათა. ასე იცვალა ფერი ქამელეონმა, მოინდომა კვლავ ესარგებლა შემთხვევით. კერენსკიმ რომ გაიმარჯვა, კვაჭი გაიბადრა, თავსი ამალა ჯგუფებად დაჰყო და ზამთრის სასახლისკენ გაეშურა ლოზუნგით: **„— მოქალაქენო! მხარი დაუჭირეთ დროებით მთავრობას! შემოგვიერთდით, მოიხადეთ თქვენი ვალი“!**

ერთხანს, არც მაშინ დაიბნა, როცა დროებითი მთავრობის აღსასრულის დღე მოახლოვდა. თავისი ნაცადი „ფილოსოფია“ კვაჭიმ ამჯერადაც სცადა გამოეყენებინა, „გაწითლდა“, ოქტომბერს მიეტმასნა და ბოლშევიკების რევოლუციური ლოზუნგები აიტაცა, მაგრამ ადრინდელი შინაგანი თვითდაჯერება და სიმშვიდე მაინც დაჰკარგა, ხედავდა, რომ ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა, მისი მოქმედების არეალი ვიწროვდებოდა და ფრთები ეცლებოდა; სულ მალე ნდობაც შეერყა; თუ ადრე, სადაც კარი დაკეტილი აღმოჩნდებოდა, ფანჯრიდან გადაძვრებოდა ხოლმე, ახლა იმავე ფანჯრიდან მოძულებული გადმოაგდეს...კვაჭიმ დაღუპვის გარდაუვალი საფრთხე იგრძნო და სამშობლოს მოაშურა, მენშევიკების მინისტრებს ამაყად ჩამოუარა და თავისი ვინაობა გააცნო: „ — კვაჭი კვაჭანტირაძე გახლავართ, ეს არის ეხლა დავბრუნდი, წითელი ჯოჯოხეთიდანო“... და ხელისუფლების თვალების ასახვევად წითლების ლანძღვა - გინებას მოჰყვა: „ — **რუსეთი დეიღუპა, ბატონო, დეიღუპა! ამ ქვეყანას ქრისტე ღმერთიც ველარ წამოაყენებსო!..“** — გაჰკიოდა და გულში ცინიკურად იღიმებოდა, თავის გეგმებს აწყობდა.

და აი, ვიდრე თავისებურად ფრთებს გაშლიდა, მენშევიკური რეჟიმი დაემხო. ახალ ვითარებაში კვლავ სცადა გარდასახვა, ფერისცვალება, მაგრამ ამჯერად კოვზი ნაცარში ჩაუვარდა... ამხილეს, დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში გამოკეტეს, მაგრამ კვაჭი რაღა კვაჭი იქნებოდა, რომ თავისი სიცოცხლე ასე უბრალოდ დაესრულებინა. გონებას ძალა დაატანა და ციხიდან გაქცევის გეგმა შეადგინა, დამშვიდებით შეუდგა მის განხორციელებას... ბედმა აქაც „გაუღიმა“: ერთ დღეს თავი კონსტანტინეპოლში ამოჰყო, სადაც თავისი შესაფერი ადგილი მონახა, სიმყრალის ორმოში მოხვდა და ძაღლუმადური ცხოვრება დაიწყო... ბოლოს და ბოლოს, ღირსეულ ადგილს მიაგნოო, — გვეუბნება მიხ.ჯავახიშვილი, გამოეთხოვა თავის „მრავალტანჯულ“ გმირს და გზა დაულოცა: **„მაშ, არხეინად დალპი მაგ ორმოში“!**

როგორც რომანის ავტორი ამბობს, კვაჭი „ნარევი ტიპია“, ე.ი. მას ერთი პროტოტიპი არა ჰყავს; შემკრები, იმავე დროს, მხატვრულად განზოგადებული, მწერლის ფანტაზიით შეფერილი ხასიათით, მაგრამ რეალური, ნამდვილი ცხოვრებისეულის სრული მიმსგავსებით.

მთავარი ამ შემთხვევაში ის არის, რომ რომანის სიუჟეტური ქარგა სინამდვილის ლოგიკას ემყარება, მისი ფილოსოფია კი რეალისტურია. მწერლის მოქალაქეობრივი პოზიცია პროგრესულია, მოვლენები და პრობლემები ისტორიული განვითარების ასპექტშია განჭვრეტილი და მართებულად გადაჭრილი.

პირველ რომანში თუ მწერალმა **„უკვე დამყარებულს და მკაფიოდ გამოსახულ ყოფას და ფორმას“** მიმართა, მომდევნო რომანში („ჯაყოს ხიზნები“), რომელიც თითქმის იმავე პერიოდში იწერებოდა, მისი გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, **„უფორმო“** მოვლენა აიღო და ფორმაში მოაქცია. ამ შემთხვევაში მიხ.ჯავახიშვილს ძველი დაკვირვებები და შთაბეჭდილებები აღარ ეყოფოდა. ახლა საჭირო იყო განსაკუთრებულად გამახვილებული მხატვრული თვალი და ფხიზელი ალღო, რომ ცხოვრებაში და ადამიანთა სულში მომხდარი უჩვეულო, უტრადიციო მოვლენები შეემჩნია, გაეაზრებინა, მართლაც, დამაჯერებლად .

# ტაშისკარის ბრძოლა

ჯაბა სამუშია

1578 წლის 2 იანვარს ოსმალებმა ირანის წინააღმდეგ ლაშქრობა დაიწყეს. სულთანმა კავკასიის დასალაშქრად სარდალი **ლალა მუსტაფა-ფაშა** გამოგზავნა, რომელმაც 1578 წლის აგვისტოში მთლიანად დაიპყრო სამცხე-საათაბაგო და თბილისი აიღო. კახეთის მეფემ **ალექსანდრე II-მ** ლალა მუსტაფა ფაშას მორჩილება გამოუცხადა და ყოველწლიური ხარკი იკისრა. კავკასიისათვის ირან-ოსმალეთის დაპირისპირების ერთი ეტაპი 1590 წლის ზავით დასრულდა. ირანის შაჰი **აბასს I** იძულებული გახდა თურქ-ოსმალთათვის კავკასია დაეთმო.

1603 წელს ირანმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას შეეცადა. აბას I-მა ერევნის ციხე აიღო, ხოლო 1605 წელს ურმიის ტბასთან სასტიკად დაამარცხა ოსმალები. აღმოსავლეთ კავკასიაზე კვლავ აღსდგა სეფიანთა გავლენა. სამცხე-საათაბაგოს მმართველები შეეცადნენ ახალი პოლიტიკური ვითარებით ესარგებლათ. სამცხის ათაბაგის ქვრივმა, სიმონ I-ს ასულმა **ელენემ** თავისი ვაჟი, მცირეწლოვანი **მანუჩარი** ირანის შაჰთან გააგზავნა. 1608 წლის მიწურულს ქართლის სამეფოსა და ირანელთა ჯარის დახმარებით ელენემ ახალციხიდან ოსმალები განდევნა და ქალაქი დაიკავა. სულთანმა სასწრაფოდ გამოაგზავნა დიდი ჯარი სამცხე-საათაბაგოში. ამ ლაშქარში ადგილობრივი თურქი ფაშების გარდა, მონაწილეობდნენ ყირიმელი თათრებიც, რომელთაც ქართული წყაროები „მგლის ტყაოსანთა“ სახელით მოიხსენიებს.

1609 წლის მაის-ივნისში სამცხეში თავი მოიყარა საკმაოდ მრავალრიცხოვანმა თურქთა ჯარმა. ქართლის სამეფოს მესვეურნი ეჭვობდნენ, რომ ამ რაოდენობის არმიის თავმოყრა ახალციხის რეგიონში შემთხვევითი არ იყო. შესაძლებელია თურქებს სამაგიეროს გადახდის მიზნით, მარბიელი ლაშქრობა განეხორციელებინა ქართლზე, როგორც ირანის მოკავშირე ქვეყანაზე. ამასთანავე, ეს იქნებოდა პასუხი ქართლის მეფის სამცხე-საათაბაგოს საქმეებში ჩარევაზე. **ლუარსაბ II** თავის საზაფხულო რეზიდენციაში – ცხირეთის ციხეში გამაგრდა, ხოლო თავისი ორი სარდალი **იარალი** და **ზაქარია** ქართლის სამეფოს საზღვრების ჩასაკეტად გააგზავნა. შემოსევის შემთხვევაში მათ უნდა შეეჩერებინათ მტერი, რაც საშუალებას მისცემდა მოსახლეობას გამაგრებულ ადგილებში გახიზნულიყო, ხოლო სამეფო კარს სამხედრო სამზადისი დაეწყო.


მღვდელი თევდორე

1609 წლის ივნისში ოსმალთა ჯარი უეცრად შემოიჭრა ქართლში. მტერი საკმაოდ მოხერხებულად მოქმედებდა. აშკარაა, რომ თურქებს დრო უქმად არ დაუკარგავთ. ისინი თითქმის ყველა საიდუმლო ინფორმაციას ფლობდნენ – სად იმყოფებოდნენ დარაჯად მდგარი ქართველები, სად იყო დაბანაკებული მეფე და სამეფო კარი და სხვა. ასეთი ინფორმაციის შეგროვება ჯაშუშური ქსელის გარეშე შეუძლებელი იყო. ეს გვაფიქრებინებს, რომ ოსმალებს, გარდა ჯარის შეკრებისა, სადაზვერვო სამუშაოებიც უწარმოებია. ამ ცნობების წყალობით თურქებმა მოახერხეს გვერდი აევლოთ იარალისა და ზაქარიას რაზმებისათვის და მანგლისს მისდგომოდნენ. მტერმა სასტიკად დაარბია მანგლისი და მისი მიმდებარე ტერიტორიები. ალაფით დატვირთულმა თურქებმა გეზი ცხირეთის ციხისაკენ აიღეს, სადაც მეფე ლუარსაბ II ეგულებოდათ. ოსმალთა განზრახვით, საჭირო იყო მეფის რეზიდენციამდე ფარული მისვლა, რომ ლუარსაბ II-ს გაქცევა არ მოესწრო. სოფელ კველთასთან ოსმალებმა მღვდელი **თევდორე** შეიპყრეს. სოფელ გოსთიბესთან მისვლისთანავე თურქებმა ხუცესს ფარული გზით ცხირეთამდე მეგზურობა უბრძანეს. თევდორე მღვდელმა მტერს გზა აუბნია და ცხირეთის მაგიერ მდ. თეზმის ხეობაში, სოფელ ქვენადრისაკენ წაიყვანა. თურქები გვიან მიხვდნენ თევდორე მღვდლის განზრახვას. მტერი ღრმად იყო შესული თეძმის


გიორგი სააკაძე

ხეობაში. ცხირეთის ციხისკენ გამობრუნებას აზრი არ ჰქონდა. საჭირო დრო დაკარგული იყო. გამძვინვარებულმა ოსმალებმა შური იძიეს თევდორე მღვდელზე და თავდადებულ ხუცესს თავი მოჰკვეთეს. ოსმალებმა შიდა ქართლისკენ სვლა განაგრძეს. ქართლის სამეფო კარი სამხედრო გეგმის შედგენას შეუდგა. იმ დროისათვის ლუარსაბ II-სთან იმყოფებოდნენ ცნობილი სარდლები **გიორგი სააკაძე** და **ზაზა ციციშვილი.** მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებას სათავეში ჩაუდგა გიორგი სააკაძე.

დასაწყის ეტაპზე სააკაძის სამხედრო გეგმა ითვალისწინებდა:

I. ქართლის სამხედრო პოტენციალის სრულ მობილიზაციას და,

II. მტრის შეჩერებას ძირითადი ძალების მოსვლამდე. სამეფო კარმა შიკრიკები დაუგზავნა **ამილახვარს, მუხრანბატონს, ქსნის ერისთავს,** თბილისის ირანელ ციხისთავს და საგანგებო მობილიზაციისაკენ მოუწოდა. ამ რაოდენობის ჯარის შეკრება მოკლე დროში შეუძლებელი იყო. გიორგი სააკაძის გეგმის მიხედვით ამ ძალების გამოყენება გადამწყვეტ ბრძოლაში უნდა მომხდარიყო. სარდლობის გადაწყვეტილებით, მტერზე პირველი იერიში ცხირეთში მეფესთან მყოფ ამალას და ადგილობრივ სოფლებში შეკრებილ 400 მეომარს უნდა მიეტანა. ამასობაში დასახმარებლად მოვიდა ბარათაშვილი თავისი რაზმებით. ქართველებმა მტერს გზა გადაუკეტეს სოფ. ნიაბის ბოლოს, სხერტის ჭალაში. მიუხედავად ძალთა არათანაბრობისა, ქართველებმა მოახერხეს თურქთა შევიწროვება. ბრძოლაში განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ზაზა ციციშვილმა. მან ერთ-ერთი თურქი სარდალი სიცოცხლეს გამოასალმა, მაგრამ მტრის შემოტევის გამო ბრძოლის გაგრძელება მოუხდა. ზაზა ციციშვილმა მოკლული სარდლის თავი კბილებით დაიჭირა და კვლავ ოსმალებს შეუტია. ამასობაში ბრძოლის ველზე შემოიჭრა იარალი და ზაქარია თავისი სამხედრო ნაწილებით. მტერმა უკან დაიხია. მართალია, იარალი და ზაქარია ბრძოლის ველზე დაეცნენ, მაგრამ მათმა მოულოდნელმა გამოჩენამ თურქებს თავზარი დასცა. ოსმალებმა ჯერ ყარაღაჯისკენ, შემდეგ კი დოესისაკენ დაიხიეს. აშკარა იყო, რომ თურქები ქართლიდან გასვლას ცდილობდნენ. რა გზით მოხდებოდა ეს ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო. მაგრამ ერთმა მოულოდნელმა ფაქტმა კიდევ უფრო დაამძიმა ოსმალთა საქმე. გორიდან მომავალმა სომეხმა მღვდელმა დაინახა რა თურქთა რაზმები, მტკვარზე გადებული ხიდი აყარა და მტერს საშუალება არ მისცა გადასულიყო მდინარის მეორე ნაპირზე, ამიტომაც მოწინააღმდეგის ლაშქარი იძულებული გახდა მტკვრის მარჯვენა ნაპირს აყოლოდა და ფონის პოვნისთანავე შედგომოდა მდინარის გადალახვას. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ მომენტში საბოლოო სახე მიიღო სააკაძისეულმა სამხედრო გეგმამ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამხედრო სტრატეგიის თვალსაზრისით, ქართულმა სარდლობამ შეიმუშავა ბრძოლის გაგრძელების იდეალური ვარიანტი – ჩასაფრება მოეწყოთ მტრისათვის შიდა ქართლიდან საათაბაგოში თუ დასავლეთ საქართველოში გადასვლამდე. ქართველთა მოქმედება სწორედ ამ გეგმის მიხედვით წარიმართა. მას შემდეგ, რაც თურქებმა ვერ მოახერხეს მდინარე მტკვრის გადალახვა და გორისკენ გაჭრა, უკვე ნათელი იყო, რომ ოსმალები იძულებული გახდებოდნენ ბრძოლა მიეღოთ ქართველთათვის ხელსაყრელ ადგილას, ასეთად კი მიჩნეული იქნა **ტაშისკარ-ქვიშხეთის** ზონა.


ლუარსაბ მეორე

სამხედრო გეგმა რამდენიმე დეტალისაგან შედგებოდა. პირველესად, საჭირო იყო ბორჯომის ხეობისაკენ და დასავლეთ საქართველოსაკენ გადასასვლელი გზების ჩაკეტვა. ამ მიზნით სარდლობამ ქსნის ერისთავი კორტანეთში გააგზავნა. ეს ადგილი ბორჯომის ხეობით, სამცხეში მიმავალ გზას კეტავდა. ქართველთა ლაშქრის ძირითადი ნაწილი მდინარე ფრონეს მტკვართან შეერთების ადგილას უნდა შეკრებილიყო, აქედან კი სურამისაკენ გადაადგილებულიყვნენ. თავად გიორგი სააკაძე კი თურქთა არმიის დევნას აწარმოებდა. უფრო სწორი ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ ქართველები თურქებს კვალში მიყვებოდნენ, რათა უკან დახევის საშუალება არ მიეცათ.

გიორგი სააკაძის ბრძანებით, ქართველებს აეკრძალათ მტერთან შებმა. მთავარი იყო თურქებს მტკვრის ფორსირება მოეხდინათ, ასეთი ადგილი კი შეიძლება ტაშისკარ-ქვიშხეთის ზონაში ყოფილიყო. ხაფანგიც იქ უნდა დაეგოთ.

ოსმალებმა გზად სასტიკად მოარბიეს საციციანო. სოფელ ბრბონას მისულმა თურქებმა კი მტკვარზე გადასვლა დაიწყეს. მათ ხის სახლები დაშალეს და სახელდახელო ხიდი ააგეს. წყაროების მიხედვით, თურქები ტაშისკრის ბოლოში – ნახვეტარში დაბანაკებულან. ეს ტოპონიმი დღესაც ცოცხალია. ადგილობრივები ნახვეტარით იხსენიებენ იმ ვრცელ მინდორს, რომელიც ხაშურ-ბორჯომის გზატკეცილის მარცხენა მხარესაა და ეკვრის მდ. მტკვარს. მართლაც, სოფ. ბრბონასთან, მდინარის გადალახვის შემდეგ, თურქები ნახვეტარის ველზე აღმოჩნდებოდნენ. ეს ადგილი ტაშისკარიდან 5-7 კილომეტრითაა დაშორებული. როგორც ჩანს, თურქებისთვის უკვე ცნობილი გახდა, რომ ახალციხისაკენ მიმავალი გზა ქართველებს ჩაკეტილი ჰქონდათ და ამიტომაც მათ საბრძოლო ბანაკის მშენებლობა დაიწყეს – თხრილების გათხრა დაიწყეს და სილით სავსე ტომრებით ხელოვნური ბარიერები შექმნეს. ამასობაში, ოსმალთა კვალდაკვალ მიმავალმა გიორგი სააკაძემ მტკვრის გადალახვის გადაწყვეტილება მიიღო. საფიქრებელია, რომ სააკაძემ დააცალა ოსმალებს სოფ. ბრბონასთან მდინარის გადალახვა და მხოლოდ ამის შემდეგ შეეცადა თავადაც გადასულიყო მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ქართველებმა მდინარის ფორსირება სოფ. ახალდაბასთან მოახდინეს, შემდეგ რამდენიმე კილომეტრი მტკვრის ნაპირით იარეს და დაახლოებით სოფ. ტაშისკართან გიორგი სააკაძის სარდლობით მოქმედ ჯარს მთებზე, ტყიანი მასივის გავლით მანევრი უნდა შეესრულებინა და სურამის თავზე მდგარ ქართველთა ძირითად ჯარს შეერთებოდნენ.

ამდენად, გადამწყვეტი ბრძოლის წინ ქართველთა დაქსაქსული ძალების შეერთება მოხერხდა. მოწინააღმდეგენი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ.

ქართველთა სამხედრო ბანაკში შემდგარ თათბირზე, სარდლებმა გიორგი სააკაძის გეგმა მიიღეს. აშკარა იყო, რომ მტერი შეშინებული იყო. ამას ადასტურებდა თურქებისაგან გამოქცეული ქართველი ტყვეც. ამ უკანასკნელმა ერთი სასიამოვნო ამბავიც მოიტანა, ოსმალები მხოლოდ მშვილდ-ისარისა და ხმლის ამარა იყვნენ დარჩენილნი.

ომი გარიჟრაზე დაიწყო. წინ ქართველ მეთოფეთა რაზმი ჩადგა. მათ ცხენოსანი არმია მოჰყვებოდა. გიორგი სააკაძის ფრთა პირველი შეიჭრა მტრის მიერ აგებულ ხელოვნურ სიმაგრეში. სააკაძეს ბრძოლის დროს სამი შუბი და ერთი ლახტი დაემტვრა. ბოლოს ხმლით განაგრძო ბრძოლა. ტაშისკარის ბრძოლაში თავი გამოიჩინა ასევე ახალგაზრდა ლუარსაბ II-ემ. ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. დამარცხებულმა თურქებმა თავი ტყეებს შეაფარეს. მტრის დევნა გვიანობამდე გრძელდებოდა. ქართველებს დიდძალი ალაფი დარჩათ. დამარცხებული თურქი ტყვეები და დახოცილთა თავები ლუარსაბ II-მ ირანის შაჰს აბას I გაუგზავნა. ამ უკანასკნელმა კი ტყვეები სასტიკად დასაჯა.

# სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური ისტორიიდან

◄ დასაწყისი გვ. 9

ენაზე იყვნენ გადასული, რომელთაგანაც მხოლოდ ზოგიერთია ქართული გვარით აღრიცხული: წულუკიძე, ჩხოკოძე, მახარაძე (2 ოჯახი), კაპჩაძე/კაპცაძე (4 ოჯახი), ჩხაიძე, დაგიანიშვილი, მოლაკიშვილი, ტალიშვილი, ტაკლანაშვილი, თრითინაშვილი (2 ოჯახი) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1845, გვ. 14-35, საქ. N 345, გვ.264). ამ სოფელში მახარაძეები 1863 და 1873 წელსაც იყვნენ დაფიქსირებულნი: „ჰუსეინ მამუდ ოღლი, იგივე მახარაძე“ (სცსსა, ფონდი 254, ან.3, საქმე N 282, გვ. 892-898). ადიგენის სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა ყველაზე პატარა სოფელი ოსიაური/ოსიეთი. ოსიაურში ორი კომლი მოსიძე (სოფელში მოსიძეების მკვიდრობა იმაზე მიუთითებს, რომ ოსიაურის/ოსიეთის თავდაპირველი სახელწოდება მოსიაური/მოსიეთი იყო. ცნობილია, რომ ქართული ტოპონიმების დიდმა ნაწილმა დროთა განმავლობაში სიტყვის თავში თანხმოვანი დაკარგა).

და ერთი კომლი მაკარიძე ცხოვრობდა. ეს უკანასკნელი 1876 წელს ადიგენიდან იყო გადმოსახლებული. ამ სოფლის მკვიდრნიც ეთნიკური ქართველები იყვნენ. ადიგენის სასოფლო საზოგადოების სხვა სოფლების ანალოგიურად ისინიც უკვე თურქულ ენაზე იყვნენ გადასული. აქვე მდებარეობდა სოფელი ფლატეც (31 კომლი, 275 სული). ამ სოფლის საოჯახო სიებში სამი ქართული გვარია შეტანილი: ზაზაშვილი (4 კომლი), წულუკიძე და ჯიჯინაშვილი (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1848, გვ. 127-143). სოფელ საირმეში (7 კომლი, 78 სული) მხოლოდ 4 კომლი მაჰმადიანი ქართველის გასწვრივაა ქართული გვარები დაფიქსირებული: დვალიშვილი (3 ოჯახი, მაგალითად, „იბრაიმ სელიმ ოღლი დვალიშვილი“) და ტეტაშვილი (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1849, გვ. 25-29).

1886 წლის საოჯახო სიებით, მაჰმადიანი ქართველები ცხოვრობდნენ ადიგენის სასოფლო საზოგადოების სოფელ უტყის-უბანშიც (12 კომლი, 100 სული). ამ სოფლის ქართული გვარებიდან დაფიქსირებულია შამანიძე (5 კომლი) და დემოშვილი (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1852, გვ. 31-38). „უტყისუბანში არიან სანიკიძეები 10 კომლი, ზოგი ქართულად ლაპარაკობს, აქვე შამანიძე“ (გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 86.). ამავე დროს სოფელ ციხისუბანში ათი ოჯახი (71 სული) მაჰმადიანი ქართველი ცხოვრობდა და ყველა მათგანი გვარად თადგირიძე იყო (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1853, გვ. 103-109).

სოფელ აწყურში ქართველებად იყვნენ ჩაწერილი პრივილეგირებული ფენის წარმომადგენლები, მაგრამ მათ ენას თურქული წარმოადგენდა. ეს გვარები იყვნენ: ყიფიანები (3 კომლი) და „ზადე მუხრანსკი“ (2 კომლი) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1837, გვ. 135). აქვე ქართველებად არიან ჩაწერილი მაჰმდიანები, რომელთა საოჯახო ენას ასევე თურქული წარმოადგენდა: „რაჯაბ იბრაიმ ოღლი გალიკაშვილი“, „მამუდ იუსუფ ოღლი ფაციევი“, „რაჯაბ იბრაჰიმ ოღლი კუპრაძე“, „საიდ სულეიმან ოღლი კუპრაძე“, „ოსმან მამედ ოღლი მამუკაძე“, „ხალილ უსეინ ოღლი გურგენიძე“, „მუსტაფა ბეზგუნ ოღლი გურგენიძე“, „ალი ბეზგუნ ოღლი გურგენიძე“, „იშიხ მამედ ოღლი ჩუბინიძე“ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1838, გვ. 15-72). ამ გვარების უმეტესობა, სხვა ქართულ გვარებთან ერთად, 1940-ანი წლების დასაწყისში იმდროინდელი ახალციხის რაიონის ხელმძღვანელის დოკუმენტშიც არის დაფიქსირებული, რომელშიც კიდევ ქართველ მაჰმადიანთა სხვა გვარებიცაა შეყვანილი (ბარათაშვილი, ორჯონიკიძე, ლომაშვილი, ლომიძე, ბაქრაძე, ჩხეიძე, მაღრაძე, ხალაძე, ნოზაძე, მესხიძე, ბარბაქაძე, კაპანაძე, პაპიძე, ჯანაშვილი, მაღალაშვილი, სამსონაძე, ხმალაძე, კუპრიაშვილი, მარინაშვილი, მამუკაძე, გურგენიძე, აზნაურაშვული) (საბჭოთა სამართალი. 1989. N7, გვ. 56.).

აწყურის საზოგადოებაში შედიოდა სოფელი ტყემლანა/ტყემლოვანი. ამ სოფლის მკვიდრნი ქართველებად იყვნენ ფიქსირებულნი, საოჯახო სამეტყველო ენას კი თურქული წარმოადგენდა (37 კომლი, 273 სული). დასახელებულია ქართული გვარიც ჩაკიძე (3 კომლი). 1873 წლის კამერალური აღწერის დავთრით ირკვევა, რომ ტყემლანაში ორი ოჯახის ქართული გვარი ყანჩაველი ყოფილა: „ქაირამ ყანჩაველ ოღლი“ და „ქიარიმ ქაირამან ოღლი, იგივე ყანჩაველ-ოღლი“ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N283, გვ. 390). 1850 წლის დავთარში კი დაფიქსირებული არიან: „მამად ჩერეკაძე“ და „ყარამან გურჯიოღლი“ (სცსსა, ფ. 254, ან.2, საქ. N2068, გვ.153-155). 1944 წლის დოკუმენტში ახალციხის რაიკომის მდივნის მიერ შედგენილ დოკუმენტში ტყემლანას მაჰმადიანურ ქართულ გვარებს შორის დასახელებულნი არიან აგრეთვე გვარამაძეები, ხმალაძეები და კორკოტაძეები. (საბჭოთა სამართალი. 1989. N7, გვ. 56.).“

გაგრძელება იქნება

## მატიანე



თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორი **დიმიტრი მჭედლიძე** და დირიჟორი **ოდისეი დიმიტრიადი** ახალქალაქის რაიონის სოფელ გოგაშენის მოსწავლეებთან. 1961 წელი. ფოტო **ნიკოლოზ ალელიშვილისა**. მოგვაწოდა **რეზო ალელიშვილმა**.

### მადლობა

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია მადლობას უხდის შპს $CO^{2+}$-ის დირექტორს ბატონ **ავთანდილ გელაძეს** გაზეთის წინა ნომრის აწყობა-დაკაბადონებისათვის გაწეული ფინანსური დახმარებისათვის.

### განცხადება

შეგახსენებთ გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ საბანკო რეკვიზიტებს:
GE72LBO113115795007000;
ს/კ223100908.
ლიბერთი ბანკის ასპინძის ფილიალი.

## ფოლკლორი

***

ცოლს ნუ ითხოვ შენზე მეტს,
თავს გამოიდებს ნაქებურს,
უდროოდ ჩამოგაბერებს,
და არ დაგილევს საყვედურს.

***

ვაიმე დედის ამაგსა,
ვერ გადავიხდი, რა ვუყო,
ზურგს მოვიკიდო, საბრალო,
რო ვერა ვზიდო, რა ვუყო?

***

კაცი თუ დაუფიქრდება,
ენა სჭრის, განა ხმალია,
ასჯერ სჯობს, კაცსა ეჭიროს
ხმლის ნაცვლად კალმისტარია.

***

ყველა ფრინველი ხეზე ზის,
მწყერი მიწაზე გოგდება,
ქალი რათ გინდა უცხო მხრის,
ის ხომ ტირილით მოკვდება.

### ზომიერი სმა

გულის გასაგრილებლად
ღვინის სმას არვინ დაგიშლის,
ცოტა რომ მოგიჭარბდება,
ჭკუას თავიდან წაგიშლის,
მოყვარეს მტრად გადაგიქცევს,
დავიდარაბას აგიშლის.

***

გაუმარჯოს იმ პირებს,
ვინც სიკეთეს გვიპირებს,
სიცოცხლეში გვაფასებს,
მოკვდებით და გვიტირებს.

### დალოცვა

ძროხის ჯიქანს,
ხარის რქას,
ცხენის მუხლს,
ძაღლის თვალ-ყურს,
ვაჟკაცის მარჯვენას,
ქალის ნამუსს
ვლოცავ...

***

ნუ მიხვალ ისეთთან,
მასპინძელს გული სტკიოდეს,
სტუმრის ნასვამ-ნაჭამზე
ცოლი ქმართან ჩიოდეს.

***

თუ ვინმე გაგაბრაზებს
ასე უთხარი:
შე არიფო, ახდილ თავში,
წვიმის წყალი ჩაგსვლიაო,
ერთი კარგად დაუკვირდი,
თავში ტვინი გაკლიაო.

### მესხეთს

ჩემო ლამაზო მესხეთო,
ეს სადღეგრძელო შენია,
კლდეში ნაკვეთო ქალაქო,
რა დიდი ძალა გქონია.

***

ამაზე ხალხი საუბრობს,
თამარს ორი ქმარი ჰყოლიაო,
არა, მეომარად რუსი ჰყავდა,
შეხება არ ჰქონიაო.

***

უფალმა გადმოიხედა,
ზღვაზე გადადო ყანთარი,[1]
რაც ქვეყანაზე ცოდვაა,
იმდენი მადლი სად არი.

***

კაცმა თქვა, გმირი მეც ვიყავ,
გულის წადილი ვისრულე,
სოფელში ამაყობასა,
ისევ დათრობა ვირჩიე.

***

ხან ვიტყვი, გაჭირვებასა,
მოვკვდე, რადა ვარ მთელია,
ხან ვიტყვი, ვიყო ცოცხალი,
მუდამ ვაჯავრო მტერია.

***

თუ მოყვარე ხარ, მითხარი,
კალთა გავაბათ კალთასა,
და თუ მტერი ხარ, მითხარი,
ან ბარს დაგიხვდე, ან მთასა.

***მთქმელი ევა მაისურაძე, 81 წლის, სოფელი ნაქალაქევი, ასპინძის მუნიციპალიტეტი. ჩაიწერა ავთანდილ ბერიძემ 2016 წელს***

[1] რკალი, რომელზედაც ორი სათლია

## სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული თურქულენოვანი ანდაზები

(გაგრძელება. დასაწყ. იხ. №3-10, 2016 წ.)

**ტ**

ტკბილი სიტყვა ფასდაუდებელიაო.
ტკბილის ჭამამ მწარე გაქარიანება იცისო.
ტრაბახი გმირისთვის შეუფერებელიაო.

**უ**

უანგარიშო (ანგარიშის არ მცოდნე) ყასაბს ხელში მშრალი მასალა შერჩებაო.
უარესი უკან არისო.
უილბლოდ ლუკმა არ იჭმევაო.
უკუღმართი შვილის ყველა საქმეც უკუღმართიაო.
უკუღმართი დროება დათვს სალამურს დააკვრევინებსო.
უნაკლო არავინ არ არისო.
უნახავმა ნახა და ჭკუიდან გადგაო.
ურჯულოს ურწმუნო მოუვლისო.
უსირცხვილოსგან შენ შეგრცხვესო.
უსირცხვილო უნამუსოც იქნებაო.
უსინათლოს შვილმა ჭიპი თვითონ უნდა მოიჭრასო.
უფროსი სულელი, უმცროსი დამთხვეული და შუათანაც თავს ასარსარებსო.
უქნარა და უსაქმური თავგასული იქნებაო.
უშნოსთან თაფლს ნუ სჭამ, მშვენიერთან ტაშ-ტაშიო.
უჭკუობის გამო ბაიყუში ნანგრევებში ზისო.
უჭკუო თავი ფეხებს მოსვენებას არ აძლევსო.
უძილოდ სიზმარიო,
უწყლოდ წისქვილიო?

**ფ**

ფარაში მგელი ჩავარდა და ვაი ერთის პატრონსაო.
ფარულად ბუღის ამღები აშკარად მოიგებსო.
ფაფისგან დაშინებული მაწონს უბერავდაო.
ფეხით მოსიარულე ცხენოსანს დასცინოდაო.
ფონს იკითხავენ და მდინარეში მერე გავლენო.
ფულით დარდი შევიძინეო.
ფულით მეჩეთში მოლასაც შეარცხვენენო.
ფრთხილი ვიყო და ვიცოცხლოო.
ფული ღმერთი არ არის, მაგრამ არც ნაკლებიაო.
ფუტურო ფიცარი ლურსმანს არ დაიჭერსო.
ფქვილიანი მნახე და მეწისქვილე გეგონეო.

**ქ**

ქათამი წყალს რომ დალევს, ღმერთს შეხედავსო.
ქალის სარი, მშრალი სარიო.
ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო.
ქალთან მგზავრობა ხიფათს შეგყრისო.
ქერის დამთესი ქერს მოიმკის, ხორბლისა — ხორბალსაო.
ქვაბი ის არის, რომელიც დღეს დუღს.
ქვეყნის ქონება ქვეყანას დარჩებაო.
ქვეყანას როგორც შეეწყობი, ისეც წავაო.
ქვეყნის გემოვნება მარილშია და ისიც ყველაზე იაფიაო.
ქვეყნის პალო მომძვრალაო (იტყვიან საზოგადო აშლილობისა და გაუგებრობის დროს).
ქვეყანა რომ დაიწვეს, ერთი ხორომი (ერთი შეკვრა) თივა არ დაიწვისო (იტყვიან უდარდელ კაცზე).
ქვეყანა წისქვილია, ადამიანი — მარცვალიო.
ქინქლა თვითონ არაფერია, მაგრამ მადას წაახდენსო.
ქოჩი ქოჩს მიადგა და ბედოვლათმა ახლა გაიღვიძაო.
ქვეყანას როგორ იცნობ და ჩემი გუნებისადო.
ქვეყნის ოდენი ქონება არ მინდა, ფეტვის ოდენა ბედი მქონდესო.
ქონება ალაპარაკებს გასპარასაო.
ქრისტიანის ბოლო ჭკუა ჩემი იყოსო.
ქურდი თუ სახლიდან არის, ხარს ბანიდან აიყვანსო.

ჩაიწერა **არსენ კარაპეტიანმა** 1989 წელს, მოგვაწოდა **ნარცის კარაპეტიანმა**

(გაგრძელება იქნება)

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcook: ლიტერატურული მესხეთი

**დამფუძნებლები:** ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ქ. თბილისში გაზეთ "ლიტერატურული მესხეთის" შეძენა შეგიძლიათ თავისუფლების მოედანზე — ალ. პუშკინის ქ. №5–ის წინ, მეტრო "თავისუფლების" გამოსასვლელთან და საქართველოს რაიონებში — "საქპრესის" ჯიხურებში

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
მერაბ ბერიძე, დურმიშხან ბერიძე, ვახტანგ ინაური

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com